პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 თებერვალი **სამშაბათი** 2013
№028 (13 944) ფასი 80 თეთრი

## ნაკრები ალბანეთთან ამისულაშვილის გარეშე



„კრილია სოვეტოვმა" სოციალური ქსელის მეშვეობით გამოაცხადა, რომ ალექსანდრე ამისულაშვილმა კვირას სერბულ „ვოივოდინასთან" საკონტროლო შეხვედრაში ტრავმა მიიღო. ამ დაზიანების გამო, ამისულაშვილი ვერ დაეხმარება საქართველოს ნაკრებს ალბანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც 6 თებერვალს გაიმართება.




# ცინცაძე ოლიმპიაკოსში?

გამოცემა „ევროჰუპსმა" ჩვენთვის მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: შესაძლოა, საქართველოს ნაკრებისა და უკრაინული „ბუდიველნიკის" ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** (1986 წელსაა დაბადებული) საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში" გადავიდეს.

პირეოსული კლუბის ხელმძღვანელობა ტრავმირებული **ვაგელის მანაძრისის** შემცვლელს ეძებს და ცინცაძის გარდა სამ ვარიანტს განიხილავს: **ჯერემი პარგოს, კრის ქუინსა** და **ჯასტინ დენტმონს**.

ცნობილია, რომ ახალ კალათბურთელთან ოლიმპიაკოსელები კონტრაქტს 20 თებერვლამდე გააფორმებენ.

შეგახსენებთ, პირეოსელთა შემადგენლობაში იანვარში ჩაირიცხა 23 წლის ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი**.

EXCLUSIVE



## ნაბიჯი წინ

12

**გალათასარაი უფრო მდიდარი კლუბია და უფრო მაღალ მიზნებსაც ისახავს... ასე რომ, წინ გადავდგი ნაბიჯი**

*ექსკლუზიური ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან*

# გასვრილი ევროპა

9

**400-მდე მანიპულირებული მატჩი, 425 გასვრილი ფეხბურთელი, მსაჯი და სხვა ოფიციალური პირები! ჩაწყობილი თამაშები ჩემპიონთა ლიგაში, ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებში...**






## პალერმო უმწვრთნელოდ

„პალერმოს" მთავარი მწვრთნელი **ჯანპიერო გასპერინი** პოსტიდან დაითხოვეს, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ამ სეზონში სიცილიურ კლუბში უკვე მეორე მწვრთნელი გაანთავისუფლეს. „პალერმოს" ახალი დამრიგებლის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი.

ამ მომენტისთვის გუნდი ბოლო ადგილზეა სერია A-ში და გადამრჩენ მე-17 ადგილამდე ოთხი ქულა აშორებს.

# გაზა კვდება



ბოლო ორი დღეა, ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა სკანდალურად ცნობილი პოლ გასკოინი. მისმა აგენტმა ტერი ბეიკერმა შემდეგი განაცხადა: *„მისი სიცოცხლე საფრთხეშია და მან ეს ძალიან კარგად იცის. თუმცა პოლის გადარჩენა, ალბათ, არავის შეუძლია".*

მაგრამ გუშინ ESPN-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „გაზას" გადარჩენას ამერიკელები ეცდებიან. კერძოდ, ყოფილი ინგლისელი ნახევარმცველი აშშ-ის სპეციალიზირებულ ცენტრში გაივლის ალკოჰოლური დამოკიდებულისგან სამკურნალო კურსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U21. პრესკონფერენცია

# მიზანი ერთია: ორში უნდა მოვხვდეთ



ალექსანდრე ჩივაძე ფოტო: www.gff.ge

**გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელმა ალექსანდრე ჩივაძემ პრესკონფერენცია გამართა.**

**ახლახან ნიონში, უეფას ოფისში 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა და კალენდარიც დადგინდა. ჩვენი მეტოქეები ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი იქნებიან.**

**ჩივაძე ორჯერ იყო ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი, შარშან კი ახალგაზრდული ნაკრები მაშინ ჩაიბარა, როცა გუნდს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გადაწურული ჰქონდა. ახალ შესარჩევ ეტაპს კი ყველანი ახალი იმედებით ვხვდებით...**

- ჟურნალისტებს ადრეც უნდა შევხვედროდით, მაგრამ მოგეხსენებათ, თუ რა ხდებოდა ჭიდაობის ფედერაციასთან დაკავშირებით და სპორტული ჟურნალისტებიც ალბათ ამ თემის გაშუქებით იყავით დაკავებული.

**- ევროშესარჩევის კენჭისყრით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- უკმაყოფილო არ ვარ, ამ ჯგუფში ჩვენი მიზანი ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრაა.

**- კალენდარიც ისეთია, რომ უკმაყოფილების საბაბი არ არსებობს?**

- კალენდარზე შეთანხმებას ორი საათი მოვუნდით, ვფიქრობ, ცუდი კალენდარი არ უნდა იყოს.

**- მაინც, რა შანსი, ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს, რომ ასეთ ჯგუფში ორ საუკეთესო გუნდში მოხვდეს?**

- ნაკრები შარშან რომ ჩავიბარე, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ იყო და ამიტომ აქცენტი მომდევნო ციკლისთვის ავიღე, მეტწილად 1992-94 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებზე ვაწარმოებდით სელექციას. სულ ორმოცდათი ფეხბურთელის სია გვაქვს. ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ორგზის ჩემპიონია, წინა შესარჩევის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. რაც შეეხება შოტლანდიასა და სლოვაკეთს, წინა შესარჩევ ეტაპზე თავის ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ. ამ ჯგუფში ფავორიტი ჰოლანდიაა, თუმცა თამაში ყველასთან შეიძლება.

**- შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ახალგაზრდული ნაკრების უცხოური შეკრება დაგეგმილია?**

- 18-27 მარტს ავსტრიაში გვექნება შეკრება, სამ ამხანაგურ შეხვედრასაც გავმართავთ, ვითამაშებთ ავსტრიასთან და რუმინეთთან, შესაძლოა ალბანეთთანაც. 14 აგვისტოს კი ციკლის დაწყების წინ ბოლო ამხანაგური შეხვედრის გამართვას ვაპირებთ.

**- ახალგაზრდული ნაკრების ასაკის იმ ფეხბურთელებს, რომელთაც ეროვნულ ნაკრებში იძახებენ, მიიწვევთ თქვენს გუნდში?**

- გადამწყვეტი მატჩებისთვის ეროვნული ნაკრების ასეთ ფეხბურთელებსაც გამოვიყენებთ, არა მგონია, რომ მათი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება პრობლემა იყოს.

**- უკრაინასა და რუსეთში ქართული გვარის არაერთი ისეთი ფეხბურთელია, საინტერესო რომ უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის...**

- დავუკავშირდი უკრაინის ნაკრების მწვრთნელს და შევიტყვეთ, რომ აქუბარდიას, მესხიას და იაშვილს უკრაინის სახელით სურთ თამაში, იგივე ვითარებაა რუსულ კლუბებში მოთამაშე ჭეჟიას და ურიდიას შემთხვევაშიც.

**- ამ ბოლო დროს ერთხელაც გაიჟღერა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების თემამ - როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?**

- ფეხბურთის ფედერაცია რიგიანად რომ არ მუშაობდეს, ამაზე პირველად მე ამოვიღებდი ხმას, ალბათ იმავეს გააკეთებდნენ მურთაზ ხურცილავაც და რევაზ არველაძეც. ჩემი პოზიცია ასეთია - ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები დათქმულ დროს უნდა გაიმართოს.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი


პატრიკ მილხრაუმი

# დინამო მეორე შეკრებაზე მიემგზავრება

## პლუს მილხრაუმი, მინუს: ტრავმირებული ხიზანეიშვილი

გუშინ თბილისის "დინამო" თურქეთში მეორე შეკრებაზე გაემგზავრა, რომელიც 15 თებერვლამდე გასტანს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** შეკრებაზე 22 ფეხბურთელი წაიყვანა: **თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი, ჯაბა დვალი, გიორგი გველესიანი, გივი კვარაცხელია, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი სეთურიძე, ჯაბა ჯიღაური, ლევან ხმალაძე, გიორგი რეხვიაშვილი, ნიკა დიასამიძე, დავით ხოჭოლავა, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი პაპავა, გიორგი მერებაშვილი, ლაშა შინდაგორიძე, ემანუელ მენდი, პატრიკ მილხრაუმი, დარკო გლიშიჩი, ჩისკო, კარლეს კოტო და მიკელ ალვარო.**

"დინამოს" პრეს-სამსახურის ცნობით, გუნდს დააკლდება პოლტავის "ვორსკლასთან" სპარინგში დაშავებული **ოთარ ხიზანეიშვილი**, ხოლო **გიორგი ლორია** და **ირაკლი ძარია** გუნდს ალბანეთი-საქართველოს ამხანაგური მატჩის შემდეგ, 7 თებერვალს შეუერთდებიან. როგორც უკვე გაცნობეთ, ანთალიაში დინამოელები ოთხ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ.

ცნობილი გახდა, რომ "დინამომ" **პატრიკ მილხრაუმთან** კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის გერმანელი მარცხენაფლანგელი ბოლოს "ზესტაფონში" გამოდიოდა და მიმდინარე სეზონში მისი ფორმა 17-ჯერ მოირგო.

"ზესტაფონამდე" მილხრაუმს უთამაშია გერმანულ კლუბებში: "კარლსრუეში", "აუეში", "ალემანიაში", "მიუნხენ 1860"-სა და "შტუტგარტ კიკერსში".

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

# კვლავ სამნი: დილა, მეტალურგი, ზესტაფონი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. 425-გუნდიან ჩამონათვალში საქართველოს მხოლოდ სამი წარმომადგენელი ჰყავს, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიცია გორის "დილას" უკავია – საქართველოს თასის მფლობელი წინა თვის რეიტინგში 145-ე იყო, ახლა კი 139-ეა.

ქართული კლუბებიდან მეორე საფეხური რუსთავის "მეტალურგს" უკავია. ქვემოქართლური კლუბი იანვრის დასაწყისში 338-ე ადგილზე იყო, დღეისთვის კი 328-ე პოზიცია უკავია; მცირედი წინსვლა აქვს "ზესტაფონსაც" – საქართველოს მოქმედი ჩემპიონი 393-ედან 386-ე საფეხურამდე ავიდა.

რეიტინგში კვლავაც არ არის საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი თბილისის "დინამო". ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს 2012-13 წლების ევროტურნირებზე მონაწილეობა არ მიუღია და სარეიტინგო ქულები ამიტომაც ნაკლებად დაერიცხა.

რეიტინგის ლიდერობას კვლავ "ბარსელონა" ინარჩუნებს. საუკეთესო ათეულში ყველაზე მეტი, სამი წარმომადგენელი ესპანეთს ჰყავს. ზეათეულში შვიდი ევროპული და სამი სამხრეთამერიკული კლუბი მოხვდა.

**1. ბარსელონა (ესპანეთი)**
**2. ატლეტიკო (ესპანეთი)**
**3. ჩელსი (ინგლისი)**
**4. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**
**5. ბაიერნი (გერმანია)**
**6. კორინთიანსი (ბრაზილია)**
**7. რეალი (ესპანეთი)**
**8. ლიონი (საფრანგეთი)**
**9. დორტმუნდი (გერმანია)**
**10. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქართული კლუბებიდან გორის დილა მეწინავეობს

U15


გოჩა ტყებუჩავა

# უმცროსებმა უფროს ყაზახებს სძლიეს

ყაზახეთის 16-წლამდელთა ნაკრებმა თბილისში მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შეგახსენებთ, ყაზახებმა პირველი შეხვედრა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებთან გამართეს და ფრედ, 0:0 ითამაშეს, რის შემდეგაც სტუმრები **გოჩა ტყებუჩავას** მიერ გაწვრთნილ ქართველ 15-წლამდელებს შეხვდნენ.

ეს მატჩი, რომელიც წინას მსგავსად, "მიხეილ მესხზე" გაიმართა, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა **გიორგი არაბიძის** დუბლით მოიგო.

შეგახსენებთ, საქართველოსა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც ამ ქვეყნების ასაკობრივი ნაკრებების ერთმანეთთან სტუმრობასა და საწვრთნელი შეკრებების გამართვას ითვალისწინებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# მზადება მესამე სპარინგისთვის

"ზესტაფონი" თურქულ შეკრებას განაგრძობს და მორიგი საკონტროლო მატჩისთვის ემზადება. **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე უკრაინული "ვორსკლა" იქნება.

ორიოდე სიტყვით ფეროელთა დღევანდელი მოწინააღმდეგის შესახებ – უკრაინულ პრემიერლიგაში 18 ტურის შემდეგ პოლტავური კლუბი მე-13 ადგილზეა და გასავარდნ ზონას 9 ქულით უსწრებს. "ვორსკლას" 50 წლის უკრაინელი სპეციალისტი **სერგეი სვისტუნი** წვრთნის. გუნდის ბირთვს ადგილობრივი ფეხბურთელები შეადგენენ.

"ვორსკლა" 1955 წელს დაარსდა და არსებობის ისტორიაში ერთადერთი ტიტული მოიპოვა – 2009 წელს უკრაინის თასი მოიგო. ქვეყნის ჩემპიონატში პოლტაველებმა საუკეთესო შედეგი 1996-97 წლების სეზონში აჩვენეს, როცა ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. გასულ სეზონში კი "ვორსკლამ" ევროპის ლიგაზე გამოიჩინა თავი, სადაც ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია.

რაც შეეხება "ზესტაფონს", ფეროელები ორჯერად ვარჯიშებს განაგრძობენ. სავარაუდოდ, ოპტიმალური შემადგენლობით კაჭარავას გუნდი ვერც დღეს იასპარეზებს. "ზესტაფონის" რიგებში, სავარაუდოდ, დღესაც ითამაშებს 31 წლის ესპანელი მცველი **ორიოლ ლოსანო ფარანი,** 20 ალჟირელმა ფორვარდმა **მოჰამედ რეკრუკმა** კი, როგორც იცით, საქართველოს მოქმედ ჩემპიონთან უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი.

"ზესტაფონი" 9 თებერვალს პოლონურ "ლეხიას" გაეჯიბრება, ბოლო თურქულ სპარინგს კი 12 თებერვალს გამართავს და სამშობლოში გამობრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სავარაუდო ტრანსფერები

# ქვილითაია: ზაფხულამდე, ალბათ, დიორში


გიორგი ქვილითაია

საქართველოს პირველი ლიგის "ა" ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი "სასკო" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. თუმცა, გუნდის და პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი **გიორგი ქვილითაია** ანთალიაში „დიორი ეტოს" შეუერთდა.

19 წლის თავდამსხმელმა უნგრულ კლუბში საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა. "დიორი ეტომ" ყაზახურ „თარაზთან" შეხვედრა 2:2 დაასრულა, ქვილითაია კი მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა – მან გუნდის ქართველი თავდამსხმელი **რატი ალექსიძე** შეცვალა.

*"გიორგი გასინჯვაზეა და მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი იმაზეა დამოკიდებული, თავს როგორ გამოიჩენს. თუმცა, "დიორ ეტოში" დარჩენის დიდი შანსი აქვს, ზაფხულამდე მაინც"* – გვითხრა ფეხბურთელის მენეჯერმა, Players Agents-ის წარმომადგენელმა **ბესიკ აბაშიძემ**.

აბაშიძის თქმით, ქვილითაიას სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება თბილისის "დინამომ" და "ზესტაფონმა" შესთავაზეს, ზაფხულამდე გადასვლა - გორის "დილამ", რუსთავის "მეტალურგმა" და ბათუმის "დინამომ", მაგრამ ევროპულ კლუბში გადასვლაზე ჯერ არც ერთ ქართველ ფეხბურთელს უარი არ უთქვამს და გამონაკლისი არც გიორგია.

„დიორი" უნგრეთის ჩემპიონატის ლიდერია, 17 ტურში 28 ქულა დააგროვა და მეორეადგილოსან ბუდაპეშტის მტკ-ს 6 ქულით უსწრებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხურციძე ისევ ამერიკაშია
## ჯგერენაია კონტრაქტს მალე გააფორმებს

**ირაკლი ხურციძე** "გაგრას" ფეხბურთელი აღარ არის. მან, კლუბთან შეთანხმების, საფუძველზე, კონტრაქტი გაწყვიტა. *„ირაკლი გუნდიდან თბილად გააცილეს, "გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა ზვიად ჯელაძემ წარმატებები უსურვა და გზა დაულოცა"* - გვითხრა კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხეილ აფხაზავამ**. 22 წლის ირაკლი ხურციძე "გაგრას" კაპიტანი გახლდათ და მიმდინარე სეზონში გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 16 შეხვედრაში 2 ბურთი გაიტანა.

აფხაზავას თქმით, ირაკლი კარიერას უცხოეთში გააგრძელებს. შევიტყვეთ, რომ ხურციძე ისევ ამერიკაში წავიდა. ის შარშან მეიჯორ ლიგის "კოლამბუს ქრიუში" ვარჯიშობდა, მაგრამ უკან გამობრუნება მოუხდა. ახლაც ამერიკაში გაემგზავრა, მაგრამ კონკრეტულად სად, ეს ჯერ უცნობია.

ერთი თვეა, რაც "გაგრას" 19 წლის მცველი **გიორგი ჯგერენაია** უკრაინის პრემიერლიგის „ილიჩივეცში" ისინჯება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი პავლოვმა** აღნიშნა, რომ ქართველ ახალგაზრდაში დიდ პერსპექტივას ხედავს, მარიუპოლელთა კლუბი კი გაგრას" ხელმძღვანელობას ჯგერენაიას იჯარაზე უკვე შეუთანხმდა - ის გუნდში მაისამდე დარჩება..

მარიუპოლის „ილიჩივეცმა" ჯგერენაია იალტის შეკრებაზეც იახლა, თურქულზეც და მან ახალი კლუბის ფორმით რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. თუმცა, თბილისის "დინამოსთან" მატჩი მცირე ტარვმის გამო გამოტოვა.

კვლავ ლუცკის "ვოლინში" ითამაშებს "გაგრას" კიდევ ერთი ფეხბურთელი, **აბაიომო სეუნი ოვონიკოკო**. დარჩება თუ არა საბოლოოდ უკრაინულ კლუბში 20 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი, ამის შესახებ კლუბები მაისის შემდეგ ხელახლა დაილაპარაკებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

სამტრედიაში ერთმანეთს ამხანაგურად უმაღლესი ლიგის ორი ბინადარი, ფოთის "კოლხეთი" და მარტვილის "მერანი" შეხვდა. **თორნიკე მოსიაშვილის** მიერ მატჩის ბოლოს გატანილი გოლით "კოლხეთმა" 1:0 გაიმარჯვა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

კოლხეთი: **ბუბუტეიშვილი, კილასონია, ფარულავა, კრასოვსკი, ლორია, გოგონაია, როსინი, წაბრია, ჯანაშია, ქორჩილავა, კვანტალიანი**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***გულუა, კაკულია, რუსია, ცხვიტარია, ხოშტარია, სარსანია, მოსიაშვილი, ბარამიძე, ცაავა***

მერანი: **შეროზია, მელიავა, ქარქუზაშვილი, ხუმარაშვილი, გეგია, დიდავა, ბუკია, ნოზაძე, კუჭუხიძე, ტორონჯაძე, ს. ლომია**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ბერია, ჯღამაია, გაბისონია, სიჭინავა, ლურსმანაშვილი, ნინიკაშვილი, შულაია, კრისი***

"კოლხეთის" შემადგენლობაში ითამაშა 24 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ვიტორ როსინი და კუნიამ**, რომელიც

# ბრაზილიელმა ზესტაფონიდან კოლხეთში გადაინაცვლა

ცოტა ხნის წინ "ზესტაფონში" ისინჯებოდა და იქ ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, სავსებით რეალურია იმის ალბათობა, რომ მან კარიერა ფოთელთა შემადგენლობაში გააგრძელოს.

"მერანის" სატრანსფერო სატრანსფერო სიახლეების შესახებ კი უკვე გიამბეთ – **მალხაზ ჟვანიას** გუნდი ორი თავდამსხმელით, 20 წლის ნიგერიელი **კრისით** და 35 წლის გამოცდილი **გიორგი მეგრელაძით** გაძლიერდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

# სიონი ატლანტისშია

გუშინ ბოლნისის "სიონი" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა **არმაზ ჯელაძემ** შეკრებაზე შემდეგი ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **მირზა მერლანი, მინდია ბობღიაშვილი, ვახტანგ ლობჟანიძე**

მცველები: **დაჩი ფოფხაძე, დავით სვანიძე, რევაზ ქემოკლიძე, სერგო ორბელაძე, ზაალ ელიავა, გალ საპირი, მირიან ფალავანდიშვილი.**

ნახევარმცველები: **გიორგი ბიბილეიშვილი, ლადო უგრეხელიძე, გიორგი ოქროპირიძე, გიორგი მანწკავა, ლადო ჯოჯუა, ვაჟა ნემსაძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ჩივაძე, პაველ ჰაიდუჩეკი, ზურაბ ხურციძე, მირიან ფალავანდიშვილი, ირაკლი ლექვთაძე**

თავდამსხმელები: **კოკა მიკუჩაძე, ლადო ახალაია, ვილი ისიანი**

ბოლნისელები ბელექში სასტუმრო "ატლანტისში" დაბინავდნენ, იქვე მდებარე სპორტულ კომპლექსში ივარჯიშებენ და 4 საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# სტატისტიკით გაჩენილი საფიქრალი

ერთი რიგითი სტატისტიკური მაჩვენებელი ჩვენთვის საინტერესო და დამაფიქრებელი აღმოჩნდა. სიმფეროპოლის "ტავრიას" ოფიციალურ ვებგვერდზე ყველა იმ ლეგიონერის სია გამოაქვეყნეს, რომელთაც ამ უკრაინული კლუბის ფორმა მოურგია.

უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატების ისტორიაში (1992–2013) "ტავრიაში" სულ 70-მა ლეგიონერმა ითამაშა. საინტერესოა, რომ სიმფეროპოლურ კლუბში ყველაზე მეტი უცხოელი საქართველოდან და რუსეთიდანაა – 11-11 მოთამაშე, ანუ საერთო რაოდენობის 15,7-15,7 პროცენტი.

პირველი, ვინც კლუბის ფორმა მოირგო, დღეისათვის ცნობილი საფეხბურთო მენეჯერი **მამუკა ჯუღელი** გახლავთ, რომელიც "ტავრიაში" 1996-1997 წლებში თამაშობდა და საკმაოდ შედეგიანადაც - 26 მატჩი, 6 გოლი. თუმცა ლეგიონერებთაგან გამორჩეული **ვასილ გიგიაძე** იყო, რომელიც 2000-2011 წლებში კლუბში სამჯერ დაბრუნდა და 166 შეხვედრაში გატანილი 37 გოლით ლეგიონერებში მეორე ადგილზეა – მას მხოლოდ ნიგერიელი **ლაკი იდახორი** უსწრებს (127 მატჩი, 38 გოლი).


ვასილ გიგიაძე

სხვადასხვა დროს "ტავრიას" ფორმა მოურგიათ **გოჩა ტრაპაიძეს** (2000-2003), **შოთა ჩომახიძეს** (2001-2003), **გია ჭანტურიას** (2003-2004), **გია იმედაძეს (2004), ზურაბ იონანიძეს** (2003-2004), ძმებს **კახა** და **ზვიად ჩხეტიანებს (2004), ალექსანდრე ამისულაშვილს** (2006), **ლადო ბურდულს** (2008). 2004 წელს კი "ტავრია" ლამის "გაქართულდა" და ერთდროულად, ექვსი ქართველი თამაშობდა – გიგიაძე, ჭანტურია, იმედაძე, იონანიძე, ძმები ჩხეტიანები.

და კიდევ კლუბისა და საქართველოს კავშირზე: სიმფეროპოლში ბათუმის "დინამოდან" გადავიდა ნიგერიელი თავდამსხმელი **უჩუ უკვავე** (2001-02). ორიოდე დღის წინ ბოლნისის "სიონში" **პაველ ჰაიდუჩეკი** ჩაირიცხა - 2008-09 წლებში პოლონელმა ნახევარმცველმა ამ უკრაინულ კლუბში 37 შეხვედრა ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. ეს ამბავი სწორედ მასზე ინფორმაციის მოძიების დროს აღმოვაჩინეთ.

დღეს სიმფეროპოლის კლუბში ქართველი არ თამაშობს. რა თქმა უნდა, სიმფეროპოლის "ტავრია" "რეალი" და "ბარსელონა" არ არის, იქ ქართველების არმოხვედრა რომ ვიგლოვოთ. მაგრამ პრაგმატულად, დასაფიქრებლად ღირს: არც ისე დიდი ხნის წინ, საშუალო უკრაინული დონის კლუბში ქართველ მოთამაშეებზე დიდი მოთხოვნა იყო, ახლა კი ასეთში ჩვენებურების გამოჩენა მოვლენაა. წლების წინ უკრაინაში ქართველები მთავარ როლებში იყვნენ და ერთმანეთს ბომბარდირობასაც ეცილებოდნენ (**გიორგი დემეტრაძე** და ვასილ გიგიაძე), ახლა კი მათი ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა გვახარებს, გამორჩეულებში კი ორიოდეს თუ ასახელებენ.

რა თქმა უნდა, უკრაინული ჩემპიონატი ბოლო ხუთ წელიწადში გაიზარდა და ძველებზე უკეთესი ლეგიონერების ჩაყვანას ახერხებენ. მაგრამ მეორეც არის - ალბათ, ქართული ფეხბურთიც ისე "გაიზარდა", რომ ჩვენს მოთამაშეებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა და ახლა რომელიმე საშუალო დონის უკრაინული კლუბის ძირითად შემადგენლობაში 3-4 ქართველის გამოჩენა ზღაპარს ჰგავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# ბენატი და იბერია მსოფლიოში მეხუთეები

გუშინ ჟურნალმა "ფუტსალპლანეტმა" (სახეობაში ყველაზე პოპულარული გამოცემაა) ფუტსალში 2012 წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად "ბარსელონა" აღიარა.

ერთ-ერთი ნომინანტი საქართველოს ჩემპიონი და უეფას თასის მიმდინარე გათამაშების ოთხთა ფინალის მონაწილე „იბერია სტარი" იყო.

საბოლოოდ, მწვრთნელის დარად, "იბერიაც" მსოფლიოში მე-5 ადგილზე გავიდა, ხოლო ევროპაში მე-3 კლუბად დაასახელეს. დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში, მსგავსი აღიარება არც ერთ ქართულ კლუბს არ ღირსებია.

საუკეთესოთა ხუთეული ასე გამოიყურება:

**1. "ბარსელონა" (ესპანეთი)**
**2. "კარლოს ბარბოსა" (ბრაზილია)**
**3. "დინამო" (რუსეთი)**
**4. "ორლანდია" (ბრაზილია)**
**5. "იბერია სტარი" (საქართველო)**

წინა დღეს კი "ფუტსალპლანეტმა" მსოფლიოს 2012 წლის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობა გამოაცხადა. გაიმარჯვებული „ბარსელონას" მწვრთნელი **მარკ კარმონა** (276 ქულა) გახდა. კატალონიელებმა 2012 წელს უეფას თასი (ფუტსალის ჩემპიონთა ლიგა) სწორედ ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ „იბერია სტარის" მწვრთნელი **სერჟიო ბენატი** ასევე იყო დასახელებული მსოფლიოს 10 საუკეთესო მწვრთნელს შორის და საბოლოოდ, ხმების დათვლის შემდეგ ის მეხუთე ადგილზე გავიდა.

საინტერესოა, რომ ხუთეულში სამი მწვრთნელი ესპანელია, ორიც – ბრაზილიელი. საუკეთესო ხუთეული კი ასე გამოიყურება:

**1. მარკ კარმონა ("ბარსელონა", ესპანეთი)**
**2. დუდა ("ელპოსო", ესპანეთი)**
**3. ტინო პერესი ("დინამო", რუსეთი)**
**4. სიდაო ("ორლანდია", ბრაზილია)**
**5. სერჟიო ბენატი ("იბერია სტარი", საქართველო)**

ამასობაში, საქართველო აპრილში გასამართი ფუტსალის ოთხთა ფინალისთვის ემზადება. საქართველოს „ევროსპორტის" წარმომადგენლები ესტუმრნენ, რომელსაც ოთხთა ფინალის ჩვენების ექსკლუზიური უფლება აქვს. ტელეარხის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს თბილისის სპორტის სასახლე, შეხვდნენ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებსა და ტექნიკურ ჯგუფს. აპრილამდე, "ევროსპორტის" დელეგაცია კიდევ რამდენჯერმე ჩამოვა.

"იბერიას" მენეჯერის, გიორგი დარჯანიას თქმით, ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე კი, ტელეარხის ეთერში იტრიალებს ტურნირთან დაკავშირებული და გაცნობითი სახის სარეკლამო რგოლებიც, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოსა და თბილისს.

ასევე გასულ კვირას, უეფამ საორგანიზაციო ჯგუფის წევრები სამუშაო ვიზიტით გამოაგზავნა - **კრისტოფ ფონ ვოტენვილი, კიმო ბელმანი, ლორან მორელი, დავით პეტრიაშვილი და ენდრიუ სკოტი**. მათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებთან ერთად, დეტალურად დაგეგმეს შესასრულებელი სამუშაოები.

ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტის სასახლის, სასტუმროების, კვების ობიექტებისა და ზოგადად, ქალაქში არსებული და მათთვის საინტერესო ადგილების დათვალიერება-შესწავლა. შემაჯამებელ შეხვედრაზე, ქართულმა საორგანიზაციო ჯგუფმა ფეხბურთის ფედერაციისგან კონკრეტული დავალებები მიიღო, სფფ-ისა და უეფას საორგანიზაციო ჯგუფების მორიგი სამუშაო ვიდეოკონფერენცია კი მარტის პირველ დასაწყისში გაიმართება.

წერილს სანაკრებო ინფორმაციით დავასრულებთ: ფუტზალის ასოციაციის გენერალური მდივნის, ბექა კვიციანის ინფორმაციით, მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებს სპარინგი ოფიციალურად შესთავაზა. ბალკანელები თამაშების თარიღად 25 და 26 თებერვალს ასახელებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ტორპედო ნახევარფინალშია
## მიგინეიშვილის აღებული და გატანილი პენალტები

გუშინ "ტორპედომ" "მარბელას თასზე" მეოთხედფინალი შეხვედრა ბუქარესტის "რაპიდთან" ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაოფიციალური მატჩი იყო, ქუთაისელებმა ცნობილ რუმინულ კლუბთან საპატიო გამარჯვება მოიპოვეს.

ანგარიში 24-ე წუთზე **ნიკოლაე გრეგორემ** კუთხურის გათამაშების შემდეგ გახსნა. მეორე ნახევარში ქუთაისელებმა ანგარიში გაათანაბრეს: 63-ე წუთზე მეტოქის კარი **გიორგი ფანცულაიამ** აიღო, რომელმაც მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში მეტოქეთა კარი 8-ჯერ (?1) აიღო. დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც ქუთაისელებმა 4:3 იმარჯვეს. რუმინელებმა ორი პენალტი გააფუჭეს, მათგან ერთი **შტეფან მარდარეს** საქართველოს ნაკრების კანდიდატმა, **ომარ მიგინეიშვილმა** აუღო. ბოლო საჯარიმო "ტორპედოს" კიპერმა თავად შეასრულა და გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც ქუთაისელებს რუმინეთის ბუქარესტის "დინამოს" და პოლონეთის პოზნანის "ლეხს" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** განკარგულებაში იყო ყველა მოთამაშე, გარდა **გიორგი დათუნაიშვილისა** – მან ტრავმა მოიშუშა, თუმცა თამაშისთვის ჯერ მზად არ არის.

| ტორპედო–რაპიდი | 2:1 |
|---|---|

**1:0 გრიგორე (24), 1:1 ფანცულაია (63).**

„ტორპედო": **მიგინეიშვილი - რიგვავა (55. ტაბატაძე), ცინცაძე (46. ფირცხალავა), ონიანი, გურული - დოლიძე (46. ბოლქვაძე), ჭელიძე, კუხიანიძე (46. გიგაური), გრიგალაშვილი (46. ფანცულაია) - საბანაძე (46. ტულუში), ბერიაშვილი (46. კვარაცხელია)**

„რაპიდი": **პეჩანია, აბრუდანი, გრიგორე, მატეი, კიოლაკუ, ოროსი, კომანი, გრიგორიე, დიკა, ვასილე, მარტინი**

**მერაბ მამულაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | **კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (?), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ)** | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), ლოპესი (გვატემალა) | **10 იანვრიდან - ზესტაფონში**<br>სპარტაკი 0:2, დინამო ბთ 5:0<br>**29 იანვრიდან - ანთალიაში**<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:2<br>რუხი (პოლონეთი) 0:0 |
| მეტალურგი<br>გიორგი ყიფიანი | ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), დ. ჯანელიძე (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი) | **12 იანვრიდან - რუსთავში**<br>სტუ 5:0, ვიტ ჯორჯია 2:1<br>**1 თებერვლიდან - ანთალიაში** |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (?) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) | **18 იანვრიდან - ქუთაისში**<br>სამტრედია 0:2,<br>საპოვნელა 13:0, შუქურა 2:0,<br>სამგურალი 7:0<br>**1 თებერვლიდან - ესპანეთში**<br>რაპიდი (რუმინეთი) 1:1, პენ 4:3 |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი (უმცროსი) | ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), გოგუა (დილა) | შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), რადოვანოვიჩი (?) | **15 იანვრიდან - თბილისში**<br>**21 იანვრიდან - ანთალიაში**<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1,<br>ვორსკლა (უკრაინა) 0:2<br>ილიჩივეცი (უკრაინა) 2:2<br>**5 თებერვლიდან - ანთალიაში** |
| დილა<br>ვალდას ივანაუსკასი | **გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია),** სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (?), გ. ონიანი (ტორპედო), ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა) | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი)** ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), გოგუა (დინამო თბ), თოთაძე (დინამო ბთ), იკსტენსი (ლატვია), ი. ლომიძე (?), ალვარო (?), ალექსი (?), ლობე (?), ტატაულინი (?), მურატოვი (?) | **17 იანვრიდან - თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია 2:0<br>**21 იანვრიდან - თურქეთში**<br>ნოიშტადტდი (ავსტრია) 1:1<br>ბარუერი (ბრაზილია) 2:1 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი), | ზამ. ჯანაშია (?) | **19 იანვრიდან - ფოთში**<br>სამტრედია 2:1, გურია 2:2,<br>სქური 1:0, მერანი 1:0 |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ვიტორ როსინი და კუნია (ბრაზილია) | **გ. მეგრელაძე (უგუნდოდ),** სიჭინავა (დინამო ბთ), **კრისი (ნიგერია)** | **20 იანვრიდან - მარტვილში**<br>**12 თებერვლიდან - ურეკში**<br>კოლხეთი (ფ) 0:1 |
| სიონი<br>არმაზ ჭელიძე | ქუცურუა (დინამო ბთ), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (?), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (იჯარა დაუმთავრდა) | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ო. გველესიანი (უგუნდოდ), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი) | **18 იანვრიდან - თბილისში**<br>ზოოვეტი 2:1, სასკო 4:0, ჩიხურა 2:1<br>გაგრა 0:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ღანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | **16 იანვრიდან - მცხეთაში**<br>სტუ 3:0, დილა 0:2, ჩიხურა 2:1 |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა კომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზეტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერფლანი, ფოფხაძე (ოროივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | **23 იანვრიდან - ზუგდიდში**<br>კოლხეთი (ხ) 3:2 |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), შ. კაშია (დილა), ჭედია (სიონი) | **16 იანვრიდან - საჩხერეში**<br>სიონი 1:2, ვიტ ჯორჯია 1:2<br>**4 თებერვლიდან - თურქეთში** |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (მერანი), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია), ქუცურუა (სიონი), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი), შალამბერიძე (პოლონეთი), მუჯრიშვილი (?) | **16 იანვრიდან - ბათუმში**<br>გურია 3:0 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის შეჯამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინიშის კონტურებიც გამოჩნდა



XXV ტურის ფოტო: ჩაბნელებული ქრეივენ კოტეჯი

## ცოცხალია თუ არა ინტრიგა?

„მანჩესტერ სიტი"-„ლივერპულის" შეხვედრას გვერდს ვერ ავუვლით. მიზეზი მარტივია: „ეტიჰადზე" ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მართალია, **რობერტო მანჩინი** ამტკიცებს, 9-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ შეგვიძლიაო, მაგრამ მასავით ოპტიმისტი, ვეჭვობთ, რომ ბევრი არ უნდა იყოს. ეს ის სხვაობა არ არის, როცა ბრძოლა უნდა შეწყვიტო და დამარცხება აღიარო, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარად დგას. „მანჩესტერ იუნაიტედს" მთელი წელიწადი თავდასხმას უქებდნენ და დაცვას უძაგებდნენ. „ეშმაკების" უკანა ხაზმა თამაში, როგორც იქნა, გამოასწორა, რისი დასტურიც იყო ბოლო ტურის შეხვედრა „ფულჰემთან". მასპინძელს მთელი თამაში ხელთ ეპყრა ინიციატივა, მაგრამ მეტოქეს მაინც ვერაფერი დააკლო. „სიტის" თამაშში კი უკეთესობა არ შეინიშნება. „ქალაქელებმა" ზედიზედ ორი შეხვედრა დაასრულეს ფრედ, რაც შეიძლება საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდეს ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. ერთი სიტყვით, სიტუაციაში, როცა ყველაფერი **ალექს ფერგიუსონსა** და მის ბიჭებზეა დამოკიდებული, ძნელად წარმოგვიდგენია მათი მარცხი. ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური პოზიციაა და შესაძლოა ჭეშმარიტებასთან მას საერთო არაფერი ჰქონდეს.

## მთავარია სტაბილურობა

„ლივერპულს" ბოლო 6 შეხვედრაში 3 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება აქვს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ 6-დან 3-ჯერ ის მოქმედ ჩემპიონს, ვიცე-ჩემპიონსა და მესამეადგილოსანს შეხვდა (ყველას გასვლაზე), შედეგი ნამდვილად მისაღებია. თუმცა საკითხს მეორე მხრიდანაც უნდა შევხედოთ. „წითლებს" არც შარშან უშავდათ რამე ჩემპიონატის ლიდერებთან და ქულებს ძირითადად აუტსაიდერებთან და საშუალო კალიბრის გუნდებთან კარგავდნენ. **ბრენდან როჯერსს** სწორედ უკანასკნელებთან მართებს ფეხბურთელების დამუხტვა, თუკი სურს, რომ ცხრილში ნელ-ნელა ზემოთ აინაცვლოს. თუმცა მე-3 ადგილი და 9-ქულიანი ჩამორჩენა მაინც გადაულახავი დაბრკოლება გვგონია ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე. მერსისაიდელებს უკეთეს შემთხვევაში ევროპა ლიგის საგზურით მოუწევთ დაკმაყოფილება. *„მნიშვნელოვანი იყო, დამენახა ფეხბურთელების თვითდაჯერება, მონდომება და ეფექტურობა. მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ მოგებას ვიმსახურებდით. სამწუხაროდ, ეს მატჩიც მიმდინარე სეზონში ჩვენს სხვა გამოსვლებს ჰგავდა, რადგან ელემენტარული შეცდომა 2 ქულის დაკარგვად დაგვიჯდა. იმედგაცრუებული ვარ, რადგან მოსაგებად ფეხბურთელებმა ყველაფერი გაილეს. შეცდომების გამო არავის ვსაყვედურობ, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, ისინი დღეს ძალიან კარგები იყვნენ. აუცილებლად დადგება დრო, როცა შეცდომებს აღარ დავუშვებთ და ფრეები მოგებებად გადაიქცევა. მაშინ ჩვენ უკვე რეალური ძალა ვიქნებით,"* – განაცხადა თამაშის დასრულების შემდეგ ბრენდან როჯერსმა.

### ბომბარდირები

18 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
17 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)
13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

### ასისტენტები

9 - **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **ხუან მატა** (ჩელსი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)
7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ედენ აზარი** (ჩელსი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **თეო ულკოტი** (არსენალი)

### გოლი+პასი

24 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 18+6
20 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 17+3
19 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 10+9
18 - **თეო ულკოტი** (არსენალი) 11+7,

### გაფრთხილებები

8 - **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
5. **მარუან ფელაინი** (ევერტონი)

### ზოგადი სტატისტიკა ღლეისთვის

**250 მატჩი**
**171 მოგება**
**79 ფრე**
**127 მშრალად შენახული კარები**
**24 უგოლო მატჩი**
**710 გოლი**
**6 ჰეთთრიკი**
**42 პენალტი**
**22 ჯარიმა**
**133 თავით**
**513 ფეხით (+სხვა)**
**2.84 საშუალო შედეგიანობა**
**32 ავტოგოლი**
**508 ფეხბურთელი**
**26.0 საშუალო ასაკი**
**330 ლეგიონერი**
**70 ეროვნების მოთამაშე**
**769 ყვითელი ბარათი**
**30 წითელი ბარათი**
**8 გაძევება ორი ყვითლით**
**22 გაძევება წითელი ბარათით**

### ტურის მწვრთნელი

**ალან პარდიუს** „ნიუკასლმა" ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შარშანდელივით ლაღად ითამაშა, რასაც ვუფასებთ კიდეც. 51 წლის სპეციალისტმა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მაღალ დონეზე იმუშავა და გუნდი პრაქტიკულად ყველა რგოლში გააძლიერა. შედეგი სახეზეა: „კაჭკაჭებმა" „ჩელსის" ყველა კომპონენტში აჯობეს. აი, რა თქვა მან ლონდონელებთან მატჩის დასრულების შემდეგ: *„მეტოქემ უძლიერესი შემადგენლობა გამოგვიყვანა. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, მათ კომფორტის შეგრძნება არ ჰქონოდათ, რაც კარგად შევასრულეთ. ინიციატივას თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ვფლობდით, თუ არ ჩავთვლით მეორე ტაიმის საწყის მონაკვეთს, რომელიც მთლიანად ჩავაგდეთ. როდესაც დიდ გუნდებთან ანგარიშში ჩამორჩები, მერე ძალიან ძნელია საკუთარი ძალების რწმენა შეინარჩუნო და ბოლომდე იბრძოლო. ფეხბურთელებმა ეს მოახერხეს. აქამდე ხშირად მესმოდა ხოლმე, რომ ფრანგ ფეხბურთელებს ბრძოლის ჟინი არ აქვთ. ვფიქრობ, დღეს პასუხი ამ შეკითხვასაც გავეცით, როცა მეტოქეს 3 ქულა კბილებით გამოვგლიჯეთ".*

» მე-5 გვერდზე

ინგლისის პრემიერლიგა XXV ტურის შეჯამება


ტურის გმირი მუსა სისოკო

« მე-4 გვერდიდან

### ტურის გმირი

23 წლის **მუსა სისოკოს** „ნიუკასლის" რიგებში სულ 167 წუთი აქვს ნათამაშები, მაგრამ ფრანგმა საყრდენმა ნახევარმცველმა მაინც მოასწრო 2 გოლისა და 1 შედეგიანი გადაცემის აქტივში ჩაწერა. საქმე მხოლოდ გოლები და პასები არ არის, მით უფრო ინგლისში, სადაც მაყურებელი ყოველ დეტალს ამჩნევს და აფასებს. დიახ, მუსამ „ჩელსისთან" ძალიან ბევრი იშრომა და დაიმსახურა ეს ალიარება. ბოლო წამებზე, როცა პარდიუმ ის მინდვრიდან გაიყვანა, „სენტ ჯეიმს პარკი" მას ფეხზე დაუდგა. *„100%-ით დავიხარჯე. გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო და ვიცი, რომ „ნიუკასლმა" ჩემი ტრანსფერი სწორედ ამიტომ გამოისყიდა. დღეს განსაკუთრებულად ბედნიერი ვარ, მაგრამ პირველ რიგში გუნდი არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან რაც დღეს ვაკეთე, მხოლოდ თანაგუნდელების დახმარებით. იმედია, მომავალშიც ყველაფერი ასე გაგრძელდება,"* – განაცხადა მუსა სისოკომ.

### მომდევნო ტური

**9 თებერვალი:** ტოტენჰემი-ნიუკასლი, ჩელსი-უიგანი, ნორვიჩი-ფულჰემი, სტოკი-რედინგი, სანდერლენდი-არსენალი, სუონსი-ქუინზ პარკი, საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი

**10 თებერვალი:** ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ევერტონი,

**11 თებერვალი:** ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი

**ლევან ბიბილაშვილი**

## სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

უროვნული ბიბლიოთეკა

### ჰოჯსონის დანაკლისი

6 თებერვალს „უემბლიზე" ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიას უმასპინძლებს. პრინციპულ დაპირისპირებაში **როი ჰოჯსონს** სამი ფეხბურთელი დააკლდება. ლაპარაკია **დენიელ სტარიჯზე, ჯერმეინ დეფოსა** და **მაიკლ კერიკზე**. ყველა მათგანი გასულ უქმეებზე ჩემპიონატის შეხვედრებში დაშავდა. პირველმა „მანჩესტერ სიტისთან" მუხლის მყესები დაიჭიმა. 23 წლის ფორვარდმა თამაში ჩაამთავრა, თუმცა ახლა 2-3 დღით მოუწევს დასვენება. დეფომ „ვესტ ბრომვიჩთან" მუხლი იტკინა და 2-3 კვირა ვერ ითამაშებს. არც კერიკის ტრავმირებული ბარძაყი იძლევა სერიოზული ნერვიულობის საფუძველს, თუმცა „პენტაკამპეონებთან" ის მაინც არ იქნება. **ჰოჯსონი** მათ ნაცვლად ახალი ფეხბურთელების გამოძახებას არ აპირებს.

### ჩელსიმ მოურინიოსთან მოლაპარაკებები დაიწყო


ჟოზე მოურინიო

**DAILY MAIL**-ის ინფორმაციით, „ჩელსი" **ჟოზე მოურინიოს** 2013/14 წლების სეზონიდან „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნებას სთავაზობს. ლონდონურ კლუბს ამჟამად **რაფა ბენიტესი** ხელმძღვანელობს, ვისი მუშაობაც თითქმის არავის აკმაყოფილებს. ესპანელი ძალიან არ უყვართ გულშემატკივრებსაც. ფანკლუბის ნაწილი „ლივერპულის" ყოფილი დამრიგებლის გამო საყვარელი გუნდის საშინაო შეხვედრებს აღარც კი ესწრება. ასე რომ, ყველანაირი წინაპირობა არსებობს, „ჩელსი" მომდევნო სეზონიდან ახალმა მწვრთნელმა რომ ჩაიბაროს. თავის მხრივ რა პრობლემები აქვს „განსაკუთრებულ კაცს" „რეალის" ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებთან, ამის შესახებ „ლელო" არაერთხელ წერდა და ამ თემაზე წერით თქვენს ყურადღებას აღარ გადავღლით.

### ოუენი არ დაისჯება

„არსენალი"-„სტოკ სიტის" შეხვედრის ბოლო წუთებზე **მიკელ არტეტასა** და **მაიკლ ოუენს** შორის მომხდარ ინციდენტზე უკვე ვწერდით. სტუმართა ვეტერან თავდამსხმელს ესპანელისგან ფეხებში მტკივნეულად მოხვდა, რის გამოც გაბრაზდა და საქმის გარჩევაში მუშტები ჩარია. გუშინ საფეხბურთო ასოციაციამ ამ საკითხზე იმსჯელა და გადაწყვიტა, ოუენის წინააღმდეგ დისციპლინური სანქციები არ გამოეყენებინა. დარწმუნებით ვერ გეტყვით, რა გახდა ამის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ მაიკლი ხულიგნურ ქმედებებში კარიერის განმავლობაში არასოდეს ყოფილა შემჩნეული. ამრიგად, ოუენი 9 თებერვალს „ბრიტანიაზე" „რედინგთან" მატჩს არ დააკლდება.

### სიმპსონი გაილახა

„სანის" ინფორმაციით, „ნიუკასლის" 26 წლის მარჯვენა მცველი **დენი სიმპსონი** შაბათ ღამეს ქუჩაში გაილახა. გამოცემამ ვებგვერდზე ამის დამადასტურებელი ვიდეოც განათავსა. თვითმხილველების განცხადებით, ფეხბურთელი ნასვამი გახლდათ და მაღაზიის რიგში მასთან ერთად მდგარ ადამიანს მუშტები დაუშინა, მერე ტაქსი გააჩერა და მიმალვა სცადა, თუმცა მესამე პიროვნებამ ის მანქანიდან გადმოათრია და სასტიკად გაუსწორდა. სასწრაფო დახმარების მისვლამდე ის ასფალტზე უგონოდ ეგდო. „ნიუკასლის" პრესსამსახურმა ინციდენტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. შეგახსენებთ, რომ სამართალდამცავებთან კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები აქვს სიმპსონის თანაგუნდელ **ნილ რეინჯერს**. უკანასკნელი გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალია. სერია A. XXIII ტურის გამოხმაურება

# სუპერ მარიოს დებიუტი

**XXIII ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა: „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“ კიდევ უფრო გაიჭრნენ წინ, რასაც „ინტერისა“ და „ლაციოს“ ნაფორხილებამ შეუწყო ხელი; „რომადან“ ზდენეკ ზემანი გაათავისუფლეს, „პალერმოდან“ ჯამპიერო გასპერინი, სუპერ მარიო ბალოტელის კი „მილანში“ ფანტასტიკური დებიუტი ჰქონდა. ქვემოთ, განვლილ ბატალიებს კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით...**

## ალეგრი: გაგვიმართლა

"მილანი"-"უდინეზეს" მატჩის დაწყებიდან 35 წამი იყო გასული, როდესაც **მარიო ბალოტელიმ** შორიდან დაარტყა და რომ არა კიპერის თავგანწირული ნახტომი, ანგარიში გაიხსნებოდა. თუმცა, მარიომ დიდხანს მაინც არ გვალოდინა, 25-ე წუთზე, მარცხენა ფეხით მძლავრად დაჰკრა ბურთს და კარის ბადეში გაახვია. შეხვედრის გმირი სწორედ ბალოტელი გახდა, რომელმაც მატჩის მიწურულს თერთმეტმეტრიანით იხეირა და "მილანს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

საგულისხმოა, რომ ბალოტელი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მატჩისწინა ვარჯიშზე **ჯამპაოლო პაცინიმ** კუნთი გაიჭიმა და **მასიმილიანო ალეგრის** სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი. მოკლედ, ბალოტელის გაუმართლა, მან კი თავის მხრივ "მილანს" გაუმართლა.

მილანური მატჩი კვირას გვიან საღამოს შედგა და ტურის მიმოხილვაში მასზე არაფერი გვითქვამს. **მასიმილიანო ალეგრიმ** შემტევთა ახალგაზრდა ტრიო დააყენა ძირითად შემადგენლობაში **მბიაე ნიანგის, სტეფან ელ შაარავის** და **მარიო ბალოტელის** შემადგენლობით. ნახევარდაცვაში **ანტონიო ნოჩერინო, რიკარდო მონტოლივო** და **მატია ფლამინი** ირჯებოდნენ. მთლიანობაში, "როსონერიმ" დიდი ვერაფერი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა იგრძნობოდა, რომ შეტევაში მილანურ გრანდს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. სამაგიეროდ, დაცვაშია უამრავი პრობლემა, რამაც "უდინეზესთანაც' იჩინა თავი. სტუმართა ერთადერთი გოლი "მილანის" მცველთა შეუთანხმებელ ქმედებას მოჰყვა, რაც ლომბარდიელთათვის კინაღამ ფატალურად დასრულდა.

ის, რომ მასპინძლებმა სამი ქულა მოიპოვეს, ბალოტელისთან ერთად, მატჩის არბიტრის დამსახურებაცაა. მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო მიმდინარეობდა, როდესაც სტეფან ელ შაარავი მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შეიჭრა და მცველთან ჭიდილისას მინდორზე მოცელილივით დაეცა... მთავარ მსაჯ **დავიდე მასას** დიდხანს არ უყოყმანია და ხელი თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა, რომელიც ბალოტელიმ გოლად აქცია. მთავარი კი ამ ისტიორიაში ისაა, რომ ელ შაარავის წინაალმდეგ თამაშის წესები არ დარღვეულა და ეს თვით მასიმილიანო ალეგრიმ აღიარა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე...

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი):** *"გაგვიმართლა და ეს უნდა ვაღიაროთ. მართალია, პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მეორეში უკვე მეტოქემ გვაჯობა და რომ არა მსაჯის შეცდომა, ქულებს დავკარგავდით. დიახ, პენალტი ალბათ არ იყო და რეფერის რომ სხვა გადაწყვეტილება მიეღო, მას არც არავინ გააკრიტიკებდა. გაგვიმართლა იმაშიც, რომ თადარიგში გამწესებული ბალოტელი ბოლო მომენტში ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. მოკლედ, ფორტუნა ჩვენ მხარეს იყო და დიდწილად, ქულებიც ამად ავიღეთ. რაც შეეხება ბალოტელის, მან ბრწყინვალედ ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ დიდი მომავალი აქვს. უნიკალური თვისებების მოთამაშეა, რომელიც კიდევ უფრო მოუმატებს".*

**მარიო ბალოტელი (მილანი):** *"ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ასე კარგად დაიწყო. ბედნიერი ვარ იმით, რომ ასეთ დიდ გუნდში მოვხვდი, სადაც უდიდესი სითბო მაგრძნობინეს. არნახულად მოტივირებული ვარ და მგონი, ეს იგრძნობოდა კიდეც. მართალია, უთამაშებლობის გამო ფეხები დამძიმებული მაქვს, მაგრამ ამ პრობლემას მალე მოვაგვარებ. ფიზიკურად მოსამატებელი მაქვს და შემდეგ, ნამდვილ ბალოტელის იხილავთ".*

## ზემანი: პენსია? - ჯერ მომკალით

65 წლის **ზდენეკ ზემანი** "რომაში" დიდი გეგმებით მივიდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ჩეხ სპეციალისტს თავისი ფილოსოფიისთვის არ უღალატია, მისი "ჯალოროსი" თავზეხელაღებულ ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. არადა, ზდენეკმა "რომას" გამო "პესკარა" დატოვა, გუნდი, რომელიც მთლიანად მან შექმნა და ელიტაში აიყვანა. ზემანს იტალიელი ჟურნალისტები დაუკავშირდნენ და ასეთი შეკითხვა დაუსვეს: *"ხომ არ აპირებთ პენსიაზე გასვლას"?* - აქვე ჩეხის პასუხი:

*"პენსია? - ჯერ მომკალით და პენსიაზე შემდეგ გამიშვით... ეს გამორიცხულია, რადგან ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. გული მწყდება იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს ვცვლი. მატჩის შემდეგ, მალევე მითხრეს, რომ პოსტის დატოვება მომიწევდა და მივხვდი, რომ "რომას' საბოლოოდ გავეყარე. არადა, ეს გუნდი ისე ახლოა ჩემს გულთან, როგორც არც ერთი სხვა. მადლობა გულშემატკივრებს, რომელთა მხარდაჭერასაც დღემდე ვგრძნობ".*


ჯამპიერო გასპერინი არც პირველია და არც უკანასკნელი

იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად განიხილება ზდენეკ ზემანის შემცვლელის საკითხი. ყველაზე ხშირად **ლორან ბლანის** კანდიდატურას ასახელებენ და ამბობენ, რომ მისთვის უკვე


მარიო ბალოტელი თერთმეტმეტრიანის შემდეგ

ხელშეკრულებაც მზადდება. დიახ, "გაძეტა დელო სპორტი" "ჯალოროსიში" სწორედ ფრანგი სპეციალისტის დანიშვნას ვარაუდობს, აი "კორიერეს" კი სხვა ინფორმაცია აქვს - ლაპარაკია **აურელიო აბდრეაცოლის** სეზონის ბოლომდე დატოვებაზე, რომელსაც თანაშემწედ "რომას" ექსფეხბურთელი **კრისტიან პანუჩი** ეყოლება. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც სწორედ პანუჩი იქნება მთავარი მწვრთნელი. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გარკვევა.

## ლაციოს და ინტერის დაღმასვლა

სულ რაღაც ერთი თვის წინ, "ლაციო" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, დღეს კი რომაული გუნდი ბევრს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც აღარ ემეტება. "ბიანკოჩელესტე" ჯერ კიდევ მესამე ადგილზეა, მაგრამ "მილანი" დააჯდა კუდზე და თან როგორი "მილანი", მარიო ბალოტელით გაძლიერებული. მოკლედ, "იუვენტუსთან" და "ნაპოლისთან" ერთად, სამეულისთვის ბრძოლაში ფავორიტად უკვე მასიმილიანო ალეგრის გუნდი მიიჩნევა და თუ "ლაციოს" ბოლოდროინდელ შედეგებს გავითვალისწინებთ, სრულიად დამსახურებულადაც. მართალია, **ვლადიმირ პეტკოვიჩის** შეგირდებმა იტალიის თასის ფინალში გააღწიეს, მაგრამ ამას სერია A-ს რამდენიმე მატჩი შესწირეს... ბოლო ორი შეხვედრა რომაელებმა პირწმინდად წააგეს და მკვეთრად გაიუარესეს სატურნირო ვითარება. "ბიანკოჩელესტეს" მდგომარეობას ერთ-ერთი ლიდერის, **ერნანესის** ტრავმა ამძიმებს, რომელსაც მინიმუმ ერთი თვე გაუცდება.

კიდევ უფრო მძიმე დღეშია "ინტერი", რომელიც "სიენასთან" შერცხვა და კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა. თავად განსაჯეთ, ერთი ხანობა "ინტერი" თანაქალაქელ "მილანს' 15 ქულით უსწრებდა, დღეს კი ამ გუნდებს თანაბარი რაოდენობის ქულები აქვთ და ბურთების უკეთესი შეფარდებით წინ სულაც "როსონერია". აი ასე გაფლანგა **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდმა დაგროვილი აქტივი და დღეს, ჩემპიონთა ლიგის საგზური აქვს ოცნებად ქცეული.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, **მასიმო მორატიმ** და **მარკო ბრანკამ** მეტად უცნაური ტრანსფერები გაჩარხეს, რომლის გვირგვინი 35 წლის ფორვარდის **ტომაზო როკის** გადაბირება იყო. სადებიუტო შეხვედრაში ვერც **კუზმანოვიჩმა, კოვაჩიჩმა** და **სკელოტომომ** გამოიჩინეს თავი. რთული სათქმელია, საერთოდ რა პერსპექტივა აქვს ამ ფორმაციის "ნერაძურის"...

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *"ყველა ფრონტზე თანაბარი წარმატებით თამაშს სხვა რესურსი და პოტენციალი სჭირდება, ჩვენ კი იქამდე ბევრი თუ არა, ცოტა მაინც გვიკლია. სკუდეტოზე თუ ვფიქრობ? - მაშინაც არ ვფიქრობდი, როდესაც სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ვიყავით და "იუვენტუსამდე" ორი ქულა გვაშორებდა. ჩვენი მიზანი ყოველი მომდევნო შეხვედრისთვის მზადებაა, დანარჩენი კი ისედაც გამოჩნდება".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *"დამნაშავის ძებნას არ დავიწყებ და არც თავის მართლებას აქვს აზრი. საშინელი მატჩი ჩავატარეთ, რაზეც პასუხისმგებლობა ყველამ ერთად უნდა ავიღოთ. ბევრი ქულა გავატანეთ ქარს, მაგრამ უცნაური სეზონი კიდევ გვაძლევს დაკარგულის ანაზღაურების საშუალებას. სეზონის წინ, იტალიის თასის მოგება, ევროპის ლიგაზე გამარჯვება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დავისახეთ მიზნად - ფაქტია, რომ სამივე მიმართულებით შანსები გვაქვს და შესაბამისად, ბრძოლას ვაგრძელებთ".*

## იუვენტუსი VS ნაპოლი

ისეთი პირი უჩანს, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ორ გუნდს შორის გაგრძელდება. ერთი ხანობა, "იუვენტუსი" თითქოს წინ გაიჭრა, რასაც ნეაპოლელთათვის ქულების ჩამოკლება მოჰყვა, მაგრამ ვითარება მალევე შეიცვალა და დღეს, დაძაბულობა პიკს აღწევს. ტურინელებს 3-ქულიანი ფორა აქვთ, მაგრამ **ანტონიო კონტეს** გუნდს არასტაბილურობა დასჩემდა, სამხრეთელებს კი პირიქით, აღმავლობის პერიოდი აქვთ. ორთა ბრძოლაზე მომდევნო ნომრებში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, დღეს კი თითო ინფორმაცია ორივე ბანაკიდან...

"კიევოსთან" შეხვედრაში "იუვენტუსს" **სებასტიან ჯოვინკო** დაუშავდა, რომელსაც გუშინ დეტალური გამოკვლევა ჩაუტარეს, დღეს კი ექიმთა ვერდიქტი გაცხადდება. წინასწარი პროგნოზები არ გაკეთებულა და შესაბამისად, ვარაუდის დონეზეც ვერ ვამბობთ რამდენი ხანი გაუცდება სებას.

"ნაპოლის" **მარეკ ჰამშიკი** დაუშავდა, თუმცა აქედანვე ცნობილია, რომ მსუბუქად. სლოვაკს კუნთი აქვს გაჭიმული და მაქსიმუმ ერთი შეხვედრა გამოტოვოს. მომდევნო მატჩი "ნაპოლის" "ლაციოსთან" ელის გასვლაზე.

## ძამპარინი ჩვეულ სტიქიაში

გაგიკვირდებათ და... მაურიციო ძამპარინიმ კიდევ ერთი მწვრთნელი დაითხოვა. ამიერიდან, ჯამპიერო გასპერინი "პალერმოს" მთავარი მწვრთნელი აღარაა. გამოცდილი სპეციალისტი სექტემბერში ჩაუდგა გუნდს სათავეში და როგორც მაშინ ძამპარინი აცხადებდა, მწვრთნელს წლების განმავლობაში აღარ გამოცვლიდა. მოკლედ, პრეზიდენტმა გასპარინის დიდი ნდობა გამოუცხადა, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭი გამოდგა. სექტემბრიდან მოყოლოებული, სიცილიურმა გუნდმა მხოლოდ სამი მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილის ფსკერზე განისვენებს. მოკლედ, სენიორ ჯამპიერომ ვერაფერი შედეგი აჩვენა და პოსტის დატოვებაც მოუხდა. ბოლო ინფორმაციით, გასპერინის ან **ალბერტო მალეზანი** შეცვლის, ანაც **პასკუალე მარინო**.

აღსანიშნავია, რომ გასპერინისთან ერთად, მაურიციო ძამპარინიმ კლუბის სპორტული დირექტორი პიეტრო ლო მონაკოც გაათავისუფლა. ამასაც ბევრი ელოდა, რადგან ბოლო პერიოდში, "პალერმოს" სატრანსფერო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ლო მონაკოს რეკომენდაციების მიხედვით, ძამპარინი გასულ ზაფხულსაც გვარიანად დაიხარჯა - სამხრეთამერიკელ ტალანტებში დიდძალი თანხა დახარჯა, მაგრამ შედეგი კატასტროფული მიიღო. მოკლედ, ლო მონაკოს წყალი ჰქონდა შემდგარი და მასაც მოუწევს ახალი სამსახურის მოძებნა.

## სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




იტალიის ნაკრები

## პრანდელის რჩეულები



6 თებერვალს, იტალიის ეროვნული ნაკრები 2013 წლის პირველ შეხვედრას გამართავს და ამსტერდამში ჰოლანდიის უმთავრეს გუნდს დაუპირისპირდება. ტრადიციულად, **ჩეზარე პრანდელიმ** შემადგენლობა თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე დაასახელა. განაცხადში **სებასტიან ჯოვინკოც** იყო, თუმცა ტრავმის გამო "იუვენტინო" ჰოლანდიაში ვერ მიემგზავრება. სიაში 23 ფეხბურთელია, რომლებსაც აქვე გაგაცნობთ...

**მეკარეები:** ბუფონი (იუვენტუსი), დე სანქტისი (ნაპოლი), მარკეტი (ლაციო).

**მცველები:** აბატე (მილანი), ასტორი (კალიარი), ბარცალი (იუვენტუსი), გასტალდელო (სამპდორია), პელუზო (იუვენტუსი), რანოკია (ინტერი), სანტონი (ნიუკასლი, ინგლისი).

**ნახევარმცველები:** კანდრევა (ლაციო), დე როსი (რომა), დიამანტი (ბოლონია), ფლორენცი (რომა), ჯაკერინი (იუვენტუსი), მონტოლივო (მილანი), ნოჩერინო (მილანი), პირლო (იუვენტუსი), ვერატი (პსჟ, საფრანგეთი).

**თავდამსხმელები:** ბალოტელი (მილანი), ელ შაარავი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია), ოსვალდო (რომა).

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტურის შეჯამება

# არაგრანდული ტური

## პირველად ლა ლიგაში...


ტურის მოულოდნელი ტრიუმფატორი - გრანადა

თქვენ წინაშეა ლა ლიგის 22-ე ტურის მოკლე შეჯამება, ტურისა, რომელშიც ვერც „ბარსელონამ" იმარჯვა და ვერც „რეალმა". ჟოზე მოურინიოს გუნდმა საერთოდ წაგება „მოახერხა" ერთ-ერთ აუტსაიდერთან.

### ბარსა-რეალობა

ლა ლიგის დასრულებამდე 16 ტურით ადრე 16 ქულა აშორებს „ბარსელონასა" და „რეალს". ამიტომ დროებით ტურის ტრადიციული შეჯამების ამ რუბრიკას ვწყვეტთ. იმდენად დიდი გახდა კატალონიელთა უპირატესობა, რომ ამ ორი კლუბის დაპირისპირებას აზრი დაეკარგა.

### მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „ვალენსიასთან" 1:1 დასრულებულ მატჩში. მან 5-ჯერ დაარტყა კარისკენ, 1-ხელ ზუსტად და 1 გოლი გაიტანა. მის წინააღმდეგ 3-ჯერ იუხეშეს.

კრიშტიანო რონალდომ 90 წუთი ითამაშა „გრანადასთან" 0:1 წაგებულ მატჩში. მან 8-ჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ, 3-ჯერ ზუსტად, მის წინააღმდეგ ერთხელ იუხეშეს. გაიტანა ავტოგოლი.

რა თქმა უნდა, ეს ტური მესიმ მოუგო და მესი 16:9 დაწინაურდა. მართალია, არგენტინელის უპირატესობა უკვე აშკარაა, ამ რუბრიკას ჯერჯერობით მაინც დარჩა ინტრიგა.

### იცით, თუ არა რომ...

* 28 წლის კრიშტიანო რონალდომ (დღეს გახდა) კარიერაში პირველი ავტოგოლი გაიტანა.

* ლიონელ მესიმ ზედიზედ 12 ტურში გაიტანა გოლი ლა ლიგაში

### ტურის ფრაზები

**მიროსლავ ჯუკიჩი:** *„რად უნდა ლაპარაკი - ადურისი გასაძევებელი იყო. მეოთხე მსაჯმა მითხრა, გაძევება ტრავმის სიმძიმეზეა დამოკიდებულიო, ეტყობა ორი ნაკერი ეცოტავათ"*, „ვალიადოლიდის" თავკაცი

**მარსელო ბიელსა:** *„მეტოქემ გაგვაკვირვა, თუმცა მეორე ტაიმში მხოლოდ მოგებაზე ვითამაშეთ და შეგვეძლო კიდევაც მოგება"*, - „ბილბაოს" დამრიგებელი.

**ლუის გარსია:** *„ბარადამ ლიდერობა იტვირთა, გაამართლა მეკარე კოდინამაც. უბრალოდ, ვერ გამიგია, როგორ ვერ გავიტანეთ მე-4 გოლიც"*, „ხეტაფეს" მთავარი მწვრთნელი.

**დომინგუშ პასიენსია:** *„თითქოს ყველაფერს ვაკონტროლებდით, მაგრამ შემდეგ თამაში შეიცვალა და ამაში ჩვენ ვართ დამნაშავენი"*, - „დეპორტივოს" მწვრთნელი.

**ხავიერ აგირე:** *„ბოლოს ძალიან გავრისკეთ და სავსებით შესაძლებელი იყო, მატჩი ფრედ დასრულებულიყო, გადავრჩით"*, - „ესპანიოლის" მექსიკელი თავკაცი.

**ხუან იგნასიო მარტინესი:** *„მეტოქის მე-2 და მე-3 გოლები ძალიან მნიშვნელოვან დროს გავიდა. ძალიან ცუდია, 2 გოლი სტუმრად გავიტანეთ, ერთი ამდენი საგოლე მომენტიც გვქონდა და შინ 0-ით მივდივართ"*, - „ლევანტეს" დამრიგებელი.

**ხოსე ლუის მენდილიბარი:** *„ახლა იმის მეშინია, არ მოვეშვათ და ტემპი არ დავკარგოთ"*, - „ოსასუნას" მთავარი მწვრთნელი.

**პაკო ერერა:** *„ასე ცუდად ჩემს გუნდს არასოდეს უთამაშია"*, - „სელტას" მესაჭე.

**ლუკას ალკარასი:** *„ერთადერთი, რაც ამ კვირის განმავლობაში ბიჭებს ვუჩიჩინებდი, იყო ფრაზა, რომ მათ მოგება შეეძლოთ და მათ ეს შეძლეს"*, - „გრანადას" დებიუტანტი მწვრთნელი.

**ჟოზე მოურინიო:** *„როცა კარგად ვთამაშობთ და ვიგებთ, ინდივიდების დამსახურებაა, როცა არა - მწვრთნელის? ფეხბურთელების ნაწილი გადაღლილი იყო, რატომ? გაუგებარია - უმთავრესად ეს იმ ფეხბურთელებს ეხებათ, რომლებიც თასზე ან სკამზე ისხდნენ, ან - ტრიბუნებზე. შედეგი ძალიან მაფიქრებს და თან პირველად მოხდა, რომ გუნდი საშინლად თამაშობდა"*, - ვის ერჩოდა „რეალის" მწვრთნელი?

**მანოლო ხიმენესი:** *„მალაგასთან" სტუმრად, შეიძლება ითქვას, 2 ქულა დავკარგეთ. სადღაც ეს სასიამოვნო შეგრძნებაცაა"*, - „სარაგოსას" ხელმძღვანელი.

### ტურის მსხვერპლ(ნ)ი

**რაფაელ ვარანი (რეალი)**
**ჩავი (ბარსელონა)**
**ჩაბი ალონსო (რეალი)**

ამ ფეხბურთელებმა მიკროტრავმები მიიღეს და სანაკრებო ბატალიებს დააკლდნენ.

### ტურის საუკეთესო გოლი

**ოსკარ დე მარკოსი** (ბილბაო) „ვალიადოლიდის" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**სერხიო გარსია** (ესპანიოლი) საგოლე პასი **კრისტიან სტუანის.**

### ტურის სტატისტიკა

26 გოლი ტურში (2,6 მატჩში). 7 თამაშში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა. პირველად მოხდა ამ სეზონში, რომ სტუმრებს თამაში არ მოუგიათ. მსაჯებმა 61 ყვითელი ბარათი 5 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **არავინ.**

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **აიმერიკ ლაპორტე** (ბილბაო, 18 წლის).

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **50 000 - „ვისენტე კალდერონი"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **18 - ბილბაო, რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **11 - რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **19 - გრანადა, ვალენსია**

ყველაზე მეტი კუთხური: **12 - სევილია, ოსასუნა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **7 - მალაგა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **70% - რეალი**

### მომდევნო ტური

9 თებერვალი: **მალიორკა-ოსასუნა, სელტა-ვალენსია, ლევანტე-მალაგა, რეალი-სევილია, დეპორტივო-გრანადა.**

10 თებერვალი: **ბარსელონა-ხეტაფე, სარაგოსა-რეალ სოსიედადი, ბილბაო-ესპანიოლი, რაიო ვალეკანო-ატლეტიკო.**

11 თებერვალი: **ბეტისი-ვალიადოლიდი.**

ტურის გმირი
ევერ ბანეგა (ვალენსია)



კაცი, რომელმაც უქმეები უცნაურად და სულელურად დაიწყო და დიდებულად დაასრულა - არგენტინელმა ნახევარმცველმა „ვალენსიას" ვარჯიშზე დაიგვიანა. არათუ დაიგვიანა, ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, ნასვამიც კი იყო, მაგრამ ერნესტო ვალვერდემ აპატია და „ბარსელონასთან" ათამაშა. არგენტინელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, ვალდესის კარში გოლიც გაიტანა. სხვათა შორის, თავისუფლად შეიძლებოდა სწორედ „ბარსას" მეკარე გამხდარიყო ტურის გმირი.

უცნაური ტურის სიმბოლური ნაკრები გამოგვივიდა: არც მესია და არც რონალდო, ის კი არა, რომ არა ვალდესის ყოჩაღობა, არც „რეალის" ფეხბურთელი იქნებოდა და არც „ბარსელონასი". მოკლედ, არა-გრანდული ტური გამოვიდა ესპანეთში.

### ბომბარდირები

34 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### ასისტენტები

12 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

42 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
25 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**ადრიან კოლუნგა (ხეტაფე)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




დოპინგ-სკანდალი

## რეალ სოსიედადში დოპინგ-სკანდალია

ბასკური კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა **ინიაკი ბადიოლამ** განაცხადა, რომ კლუბში ფეხბურთელები დიდი ხნის განმავლობაში იღებდნენ აკრძალულ პრეპარატებს. ბადიოლამ თქვა, რომ ეს 2001 წლიდან 2008 წლამდე გრძელდებოდა.

*„2008 წელს ჩვენმა კლუბმა გაყარა ექიმები ედუარდ ესკობარი და ანტონ გოროჩატეგი, რომლებიც ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულები. ჩვენს მოსვლამდე, 6 სეზონის განმავლობაში ეს ექიმები ფეხბურთელებს მაშინ აკრძალულ მედიკამენტებს აძლევდნენ, რომლის ფულსაც კლუბის „შავი სალაროდან" იღებდნენ და შემდეგ გადამყიდველებთან ყიდულობდნენ"*, - განაცხადა ბადიოლამ.

ესპანეთის ნაკრები


ჩავი 15 დღე დაისვენებს

## ტრავმების ეპიდემია ფურია როხაში: ჩაბი ალონსოს შემდეგ, ჩავიც

ესპანეთის ნაკრებმა **ჩაბი ალონსოს** შემდეგ, კიდევ ერთი ნახევარმცველი დაკარგა ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის - **ჩავი ერნანდესმა** „ვალენსიასთან" შეხვედრაში მუხლის ხრტილი დაიზიანა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს.

ჩავი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გამოცვალეს „ვალენსიასთან 1:1 დასრულებულ შეხვედრაში. ის 15 დღით დაისვენებს, 6 თებერვალს დოჰაში ის ნამდვილად არ გაემგზავრება და „მილანთანაც" საეჭვოა მისი თამაში. **ვისენტე დელ ბოსკემ** ჩაბი ალონსოს ნაცვლად „ატლეტიკოს" ნახევარმცველი **მარიო სუარესი** გამოიძახა, 32 წლის ჩავის შემცვლელი კი ჯერ არ დაუსახელებია.

საფრანგეთის ნაკრები

## რაფაელ ვარანი გერმანიასთან არ იქნება

ესპანეთის ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩში „გრანადას" წინააღმდეგ 19 წლის **რაფაელ ვარანმა** ტრავმა მიიღო და ამით საფრანგეთის ნაკრებს გამოაკლდა. შეგახსენებთ, რომ 6 თებერვალს პარიზში, **დიდიე დეშამის** გუნდი გერმანიის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. გამოძახებულთა შორის „რეალის" მცველიც იყო, მაგრამ მისი თამაში გამოირიცხა.

ვარანი საფრანგეთში ჩავიდა, ეროვნული ნაკრების ექიმებს გაესინჯა და მათაც დაადასტურეს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ტრავმირებულია.


რაფაელ ვარანი

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის შეჯამება

# ახალმა ცოცხებმა კარგად დაგვავეს!

## დებიუტანტების ტური და ექვსი დუბლი

რაკი „ბაიერნის" ბატონობა გრძელდება და იზრდება, ისლა დაგვრჩენია, ბუნდესლიგაში სხვა რამე-რუმეებზე გავამახვილოთ ყურადღება და ამ მხრივ მე-20 ტურმა უჩვეულოდ ბევრი გემრიელი ლუკმა შემოგვთავაზა. თავად განსაჯეთ: დებიუტანტების უმრავლესობამ თავი კარგი თამაშით გამოიჩინა, მიშელ ბასტოსმა (შალკე) სულაც ულამაზესი გოლი გაიტანა, სრდიან ლაკიჩმა (აინტრახტი) კი დუბლი შეასრულა. ზოგადად, მე-20 ტურში ექვსმა ფეხბურთელმა გაახერხა დუბლი - აქედან ხუთი ფორვარდია, ერთი კი... საყრდენი ნახევარმცველი!



აინტრახტის" ახალმა თავდამსხმელმა სრდიან ლაკიჩმა (მარჯვნივ) ჰამბურგთან (2:0) დუბლი შეასრულა

### სოფლელების ახალი მეკარე

„ჰოფენჰაიმმა" უმძიმესი, მეტიც, კოშმარული პერიოდი გადაიტანა. წაგებების სერიას და მწვრთნელის შეცვლას პირველ წრეში არაერთხელ შემცდარი მეკარის, **ტიმ ვიზეს** დეგრადირება მოჰყვა და თანაც, „ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელებმა თქვეს, ეს ტიმისთვისვე სასარგებლოდ გავაკეთეთო. არადა, ვიზეს სარეზერვო გუნდში გადასროლამდე ორი კვირით ადრე, „ჰოფეს" ახალი მწვრთნელი **მარკო კურცი** ამბობდა, ჩვენი ძირითადი მეკარე სეზონის მეორე ნახევარშიც ვიზე უნდა იყოსო. მაგრამ კურცი ორი თამაშის შემდეგ მიხვდა, რომ ასე ვერ იქნებოდა, რადგან ერთ დროს გერმანიის ნაკრების (თუნდაც) სათადარიგო გოლკიპერი თამაშს უშეცდომოდ არ ამთავრებდა.

ვიზეს დეგრადირებას ახალი მეკარის გადაბირება მოჰყვა: „ჰოფენჰაიმმა" „ტოტენჰემის" მესამე კიპერი, **ეურელიო გომეში** ჩაიგდო ხელში და „სოფელში" მაინც ნერვიულობდნენ, რადგან „იუთუბიზე" უდიდესი პოპულარობით სარგებლობს კლიპი, რომელსაც The Best Of Heurelio Gomes ეწოდება და რომელიც ამ 31 წლის მეკარის შეცდომების საკმაოდ სახალისო მიმოხილვაა. თუმცა „ფრაიბურგთან" მატჩში, რომელიც „ჰოფენჰაიმმა" 2:1 მოიგო, გომესმა ძალიან კარგად, შესაშურად ითამაშა და იმდენი მოახერხა, რომ უკვე შეგვიძლია, მას „ჰოფეს" ფანების ახალი ფავორიტი ვუწოდოთ.

### უვე ზეელერის შვილიშვილი

გასული უქმეები ყველაზე კოშმარული „ჰამბურგის" ფანებისთვის იყო: შაბათს HSV-მ ფრანკფურტის „აინტრახტთან" საკუთარ მოედანზე 0:2 წააგო, ხოლო კვირას, ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგებმა შეიტყვეს, რომ **ლევინ იოზთუნალი** ლევერკუზენის „ბაიერში" გადადის. ვინ იოზთუნალი? ბუნდესლიგის მოყვარულებს და ჩვენი გაზეთის მუდმივ მკითხველებს აუცილებლად ეცოდინებათ, რომ ეს ბიჭი თვით **უვე ზეელერის** შვილიშვილია და ხომ იცით, რასაც ნიშნავს ზეელერი „ჰამბურგისთვის"?

მართალია, ლევინი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და ისიც საკითხავია, გამოვა თუ არა მისგან ხეირიანი ფეხბურთელი, მაგრამ ფაქტია, „ჰამბურგის" ფანებისთვის სერიოზული დარტყმაა ის, რომ მათი ცოცხალი ლეგენდის შვილიშვილი გუნდიდან მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ „ლევერკუზენში" იბურთაოს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „ჰამბურგში" ყველაფერი ცუდადაა. ცხადია, ამ თემას თავად ზეელერიც გამოეხმაურა: *„აშკარაა, რომ „ჰამბურგის" ბოსები ასეთ სიტუაციებში რეაგირებას აგვიანებენ ხოლმე!"* - თქვა უვემ კლუბის შეფებზე, რაშიც სწორედ ის იგულისხმა, რომ მისი შვილიშვილი სათანადოდ ვერ დააფასეს.

### გოლეადორი რაინარტცი

„ლევერკუზენის" საყრდენი ნახევარმცველი **შტეფან რაინარტცი** ნაღდად არაა ის კაცი, ვისაც ბევრი გოლი უნდა გაჰქონდეს - ამ ტურამდე მას 147 შეხვედრაში მხოლოდ 7 გოლი ჰქონდა გატანილი, დორტმუნდის „ბორუსიასთან" ტოპ-მატჩში კი ერთბაშად დუბლი გაახერხა! ცუდი მხოლოდ ისაა, რომ მიუხედავად ასეთი, ჩამშლელი ნახევარმცველისთვის სენსაციური შედეგისა, შტეფანი მაინც წაგებული დარჩა, რადგან თანაგუნდელებმა მის ორ გოლს ვერაფერი შემატეს, დორტმუნდელებმა კი „ბაიერის" კარი სამჯერ დალაშქრეს. შედეგად, „ლევერკუზენი" მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა და „ბაიერნის" ნომერ პირველი მდევრის სტატუსი „დორტმუნდს" დაუთმო.

### ნაღდი გოლეადორი

ორი აზრის არსებობა შეუძლებელია: დღესდღეობით ბუნდესლიგის ყველაზე მოდური თავდამსხმელი დორტმუნდის „ბორუსიას" ცენტრფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკია**. პოლონელი ყველაზე უკეთ ეძებს ხვრელებს, ყველაზე მოხდენილად იგებს ორთაბრძოლებს, გამთამაშებლის ფუნქციებსაც ხშირად ითავსებს და რაც მთავარია, გოლებიც გააქვს. საკმარისია, ლევანდოვსკის განსაკუთრებით კარგი დღე გაუთენდეს, რომ მისი გოლი ან გოლები თითით საჩვენებელია ხოლმე - ზუსტად ისეთი, როგორიც „ლევერკუზენის" კარში იყო გატანილი, რომლითაც რობერტმა საბოლოო ანგარიში (2:3) დააფიქსირა.

### სრდიან ლაკიჩი

**სრდიან ლაკიჩზე** ბუნდესლიგაში ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული და სწორედ ამ დროს მოისურვა ყველასგან დავიწყებული და მიტოვებული თავდამსხმელის გადაბირება „აინტრახტის" მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეჰმ** და მანაც იმედები გაუმართლა - „ჰამბურგს" ორივე გოლი სრდიანმა გაუტანა. შეგახსენებთ, რომ „კაიზერსლაუტერნიდან" წასვლის შემდეგ, „ვოლფსბურგში" 18 მატჩში ერთი გოლიც არ ჰქონდა შეგდებული და „ჰოფენჰაიმშიც" ოდენ 6-ჯერ ათამაშეს (ასევე 0 გოლი). ახლა ლაკიჩი ფრანკფურტში „მეორე ცხოვრებას იწყებს".

### ისევ მანჯუკიჩი

ადრე „ბაიერნში" ყოველთვის ასე ხდებოდა: როდესაც მიუნხენური გრანდი საკმაოდ ნიჭიერ და შემდგარ, მაგრამ არა მსოფლიო დონის თავდამსხმელს შეიძენდნენ, მას აუცილებლად **ადოლფო ვალენსიას**, **რუჯერო რიციტელის** ან **ემილ კოსტადინოვის** ბედი უნდა გაეზიარებინა, რაც იმას გულისხმობდა, რომ უმეტესად სამადლოდ (არასამართლიანად) უნდა ეთამაშა და მიუნხენის პუბლიკაც მალე დაივიწყებდა. იდეაში, **მარიო მანჯუკიჩსაც** ასეთი ბედი „ექყანებოდა", მაგრამ როგორც ხედავთ, ხორვატი გოლეადორი სულ სხვანაირი, განსაკუთრებული შემთხვევაა. მანჯუკიჩი „ბაიერნში" სეზონის დასაწყისში, „ვოლფსბურგიდან" გადაბარგდა და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ექსპერტები „კოსტადინოვობას" ლოგიკურად უწინასწარმეტყველებდნენ.

„მაინცთან" მორიგი გოლების გატანის შემდეგ კი მანჯუკიჩი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ბომბარდირთა დავას 14 გოლით ლიდერობს. შედარებისთვის: რიციტელიმ „ბაიერნის" ფორმით გაცილებით მეტი, 45 თამაში ჩაატარა და ოდენ 12 გოლი შეაგდო. მანჯუკიჩის შედეგიანობა ორმაგად გასაოცარია იმ ფონზე, რომ მას **მარიო გომესისა** და **კლაუდიო პისაროს** სახით ორი უსერიოზულესი კონკურენტი ჰყავს - გომესიცა და პისაროც ხომ ბუნდესლიგის გამოცდილი ბომბარდირები არიან. მაგრამ, როგორც ჩანს, მანჯუკიჩს ეს ხელს ოდნავადაც არ უშლის...

### მიშელ ბასტოსი

„ლიონიდან" გელზენკირხენში გადაბარგებულმა ძვირფასმა ბრაზილიელმა „შალკეს" ფორმით პირველივე მატჩში ულამაზესი გოლი გაიტანა. თუმცა: გაუტანა „ფიურტს"! და „უფრო თუმცა": „შალკემ" ბოლოადგილოსანთან 1:2 წააგო.

ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, რაც **ბასტოსმა** მატჩისშემდგომ ინტერვიუში გერმანულ ენაზე თქვა: *„გუთე ნახთ"!* ანუ, ღამე მშვიდობისაო - საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დროა, „შალკე" ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაემშვიდობოს.

### არც პერუელი, არც ბრაზილიელი, არც იტალიელი...

...**კევინ ვოლანდი** 20 წლის გერმანელია და ამ ტურამდე ნებისმიერი ექსპერტი გეტყოდათ, რომ ასეთი ფეხბურთელები არათუ პირველ, არამედ მეორე ბუნდესლიგაშიც კი „ვედრო მანეთად" ყრია. ვაღიარებთ, რომ ეს განცხადება არ იქნებოდა ალოგიკური, რადგან ვოლანდს განსაკუთრებული ნიჭი არ აქვს. სამაგიეროდ, აქვს ჟინი, მონდომება, მოტივაცია, ზომიერი აგრესია და ა.შ. ამით ის საკმაოდ საინტერესო მოთამაშეა და რაკი ღმერთმა ცოტაოდენი ნიჭიც გამოაყოლა (წინააღმდეგ შემთხვევაში პირველ ბუნდესლიგაში არავინ ათამაშებდა), ცდას არ აკლებს, რომ კარგი ფეხბურთელი გაიზარდოს. „ფრაიბურგთან" სენსაციური და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება „ჰოფენჰაიმელთა" მხრიდან მისი დამსახურებაა - ვოლანდმა დუბლი შეასრულა და თამაში „სოფლელების" სასარგებლოდ შეატრიალა.



„ჰოფენჰაიმის" ახალი მეკარე ეურელიო გომეში

### ნილს პეტერსენი

ამ ტურში მანაც დუბლი შეასრულა და მართალია, გვიან, მაგრამ (სჯობს გვიან, ვიდრე...) პარასკევს „ვერდერს" „ჰანოვერთან" 2:0 მოაგებინა. მანამდე ბრემენელები უაზროდ აწყდებოდნენ ჰანოვერელთა კედელს, 85-ე წუთზე კი **პეტერსენი** დიახაც საიდანღაც გამოტყვრა და ანგარიში გახსნა, მერე კი, ზუსტად სამ წუთში მეორეც შეაგდო - დუბლი სამ წუთში, არსაიდან! ბრავო!

### ზამერი უკვე სასაცილოა!

გასაგებია, რომ „ბაიერნის" სუპერ-ბოსებმა **მათიას ზამერს** დაავალეს, გუნდი ყოველთვის ტონუსში გყავდესო, მაგრამ „მოტცკის" ქცევები უკვე მართლა სასაცილოა. მაინცში 3:0-ზე მოგებულ მატჩში, რაც რეკორდმაისტერის ზედიზედ მესამე გამარჯვება გახლდათ, რომლითაც მიუნხენურმა გრანდმა ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა, ზამერს შეეძლო, უბრალოდ მშვიდად, კარგ ხასიათზე ყოფილიყო. მაგრამ მათიასი თამაშის დროსაც და საფინალო სასტვენის შემდეგაც ისე იქცეოდა, როგორც დამსახურებული პენსიონერი, რომელსაც ეს-ესაა ახალთახალ ხალიჩაზე მოუშარდეს!

ზამერმა თვით 3:0-ზე მოგებულ თამაშშიც კი იპოვა ისეთი რამე (უფრო სწორად ვინმე), რითაც თავისი მოჩვენებითი უკმაყოფილება უნდა გამოეხატა. ამჯერად მისი განრისხების ობიექტი „მაინცის" მთავარი მწვრთნელი **თომას ტუხელი** გახლდათ. ეს უკანასკნელიც ძალიან ემოციური ტიპია, რომელმაც გაბედა და ერთ-ერთი ორთაბრძოლის შემდეგ ლაინსმენის საჯარო ლანძღვას მოჰყვა. ზამერს შეეძლო, სკამზე დარჩენილიყო, მაგრამ ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა: ტუხელთან მიიჭრა და მასთან მრისხანე დიალოგი გააჩაღა.

კარგია, რომ მათიასი ტონუსშია. ამით ტონუსშია „ბაიერნიც", მაგრამ საკმარისია! ზამერს უკვე ზედმეტები მოსდის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XX ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 20 | 2.23 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 15 | 2.23 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 20 | 2.48 |
| 4. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 18 | 2.50 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 17 | 2.62 |
| 6. სებასტიან როდე | აინტრახტი | 20 | 2.68 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 19 | 2.69 |
| 8. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 20 | 2.75 |
| 9. ტონი კროოსი | ბაიერნი | 20 | 2.76 |
| 10. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 17 | 2.76 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 19 | 11 | 10 | 21 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 20 | 13 | 6 | 19 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 19 | 13 | 6 | 19 |
| 4. ჟაბოლკ ჰუშტი | ჰანოვერი | 18 | 7 | 9 | 16 |
| 5. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 16 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 20 | 8 | 8 | 16 |
| 7. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 20 | 7 | 7 | 14 |
| 8. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 16 | 9 | 5 | 14 |
| 9. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 18 | 7 | 6 | 13 |
| 10. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 17 | 10 | 3 | 13 |

ტურის გმირი

### სრდიან ლაკიჩი (აინტრახტი)



29 წლის თავდამსხმელისთვის ფრანკფურტული კარიერა შესანიშნავად დაიწყო: „ვოლფსბურგსა" და „ჰოფენჰაიმში" გატარებული საშინელი პერიოდის შემდეგ, **სრდიან ლაკიჩი** „აინტრახტში" გადავიდა და „ჰამბურგთან" ტურის ტოპ-მატჩში დაამტკიცა, რომ ტყუილად ჩამოწერეს - ფრანკფურტელებმა 2:0 გაიმარჯვეს და ორივე გოლი მის ანგარიშზეა. ვნახოთ, როგორი გაგრძელება ექნება ამ ისტორიას.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



● ახალი სკანდალი



ჩაწყობილი თამაშები ალარავის უკვირს, მაგრამ ასეთი მასშტაბი მაინც წარმოუდგენელი იყო

# ევროპოლმა ბომბი გახეთქა!

## 400-მდე მანიპულირებული მატჩი, 425 გასვრილი ფეხბურთელი მსაჯი და სხვა ოფიციალური პირები! ჩაწყობილი თამაშები ჩემპიონთა ლიგაში, ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებში...

ბოლო წლებში ჩაწყობილი თუ მანიპულირებული მატჩების არაერთი მასშტაბური სკდანდალი გვახსოვს, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ის, რაც აქამდე გავიგეთ, ზღვაში წვეთია. გუშინ ევროკავშირის პოლიციამ (ევროპოლი) სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც გაცხადდა, ევროპელმა სამართალდამცავებმა, მათივე თქმით, ყველა დროის ყველაზე დიდი საფეხბურთო სკანდალი გამოააშკარავეს. პირველი ცნობების თანახმად, საუბარია 400-მდე მანიპულირებულ მატჩზე, რომელთა შორის თვით ჩემპიონთა ლიგის თამაშებიცაა.

უფრო ზუსტები რომ ვიყოთ, ევროპოლმა დენ ჰააგში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ საქმე ეხება 380 ჩაწყობილ თამაშს. საერთო ჯამში ამ სკანდალში 425 ფეხბურთელი, მსაჯი და სხვა ოფიციალური პირები არიან გარეული. სერიოზული ეჭვები არსებობს კიდევ 300-მდე მატჩზე აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში - გამოძიება მიმდინარეობს.

ევროპოლის ოფიციალური ინფორმაციით, ახალ სკანდალში, რომელიც თავისი მასშტაბით ყველა სხვა სკანდალზე გაცილებით სერიოზულია, ევროპის ელიტარული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის ორი შეხვედრაცაა. ასევე სიაშია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპების რამდენიმე შეხვედრაც. საქმე ეხება 2008-დან 2011 წლის ჩათვლით გამართულ შეხვედრებს.

როგორც იცით, ბოლოს ჩაწყობილი თამაშების მასშტაბური სკანდალი გერმანელებმა, კერძოდ, ბოხუმის პროკურატურამ გამოააშკარავა, თუმცა მაშინ საქმე მხოლოდ 51 შეხვედრას ეხებოდა. *„ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ გაგრძელება და უფრო მასშტაბური განხილვაა იმ სკანდალისა, რომელიც ჩვენ წამოვწიეთ. ჩვენ უბრალოდ ასეთ მასშტაბზე ვერ გავიდოდით,“* - აცხადებს ბოხუმის მთავარი პროკურორი **ბერნდ ბიენოსეკი** საინფორმაციო სააგენტო SID-თან ინტერვიუში. მისი დენ ჰააგელი კოლეგა **ანდრეას ბახმანი** კი ამბობს, რომ ახალ სკანდალში არაერთი გერმანელი სპორტსმენია გარეული.

თავის პირველ ოფიციალურ კომენტარში ევროპოლის დირექტორმა **რობ ვაინრაიტმა** განაცხადა, რომ მანიპულირებულ მატჩებში ეჭვი ოდნავადაც აღარ ეპარება: *„ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ ყველა დროის ყველაზე მასშტაბურ სკანდალთან გვაქვს საქმე, თუმცა მაინც დავძენთ, რომ ეს ჯერ კიდევ აისბერგის მწვერვალია! სამწუხაროდ, დღევანდელი დღე ევროპული ფეხბურთისთვის ტრაგიკულია და ახლო მომავალში ევროპის საფეხბურთო საზოგადოება კიდევ უფრო დამთრგუნველ ცნობებს მიიღებს!“*

როგორც ირკვევა, 15 ქვეყანაში მატჩების ჩაწყობით მანიპულატორებმა 8 მილიონი ევრო იშოვეს. ცნობილი ხდება ისიც, რომ დანაშაულებრივი ქმედებების კვალი აზიაში მიდის.

*„ერთ-ერთი მაფიის ცენტრი სინგაპურია, საიდანაც ურთიერთობა მყარდება რამდენიმე ევროპულ ქვეყანასთან,“* - განაცხადა გუშინ ევროპოლის შეფმა. მისივე თქმით, მანიპულაციების მასშტაბის ხარისხი წარმოუდგენლად დიდია - აქამდე ასეთ რამეს ვერც კი წარმოიდგენდითო. აქვე გეტყვით, რომ ხსენებული 8 მილიონის საშოვნელად ჯამში 2 მილიონ ევრომდე თანხა დაიხარჯა - ეს ის ფულია, რომლითაც მაფიამ მსაჯები, ფეხბურთელები და სხვადასხვა ოფიციალური პირები მოისყიდა.

**გოტფრიდ ლენცი**

● გერმანიის ნაკრები

# ლიოვის დანაკლისი

## შვაინის შემდეგ ბუნდესგუნდს შმელცერი, გიოტცე და როისიც გამოაკლდნენ

ხვალ გერმანიის ნაკრები საფრანგეთს ამხანაგურად ეთამაშება და ბუნდესგუნდის განაცხადი შაბათის ნომერში გამოვაქვეყნეთ, თუმცა ბუნდესლიგის მე-20 ტურმა ბევრი რამ შეცვალა. „მაინცისა“ და „ბაიერნის“ შეხვედრაში, რომელიც რეკორდმაისტერმა 3:0 მოიგო, **ბასტიან შვაინშტაიგერი** (97 მატჩი ნაკრებში) დაშავდა და ბუნდესგუნდს ვერ დაეხმარება, გუშინ კი გაირკვა, რომ გერმანიის ნაკრებს საფრანგეთში ვერც დორტმუნდის „ბორუსიას“ ტრიო გაჰყვება - **მარსელ შმელცერს**, **მარიო გიოტცეს** და **მარკო როისს** ვგულისხმობთ.

შმელცერი და როისი „ლევერკუზენთან“ ტურის ცენტრალურ შეხვედრაში (3:2 „ბორუსიას“ სასარგებლოდ) დაშავდნენ, ხოლო გიოტცემ ნაკრებთან ერთად გამგზავრებაზე ვირუსის გამო თქვა უარი. აქვე გეტყვით, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა **მიროსლავ კლოზეს** („ლაციო“, მუხლის ტრავმა) და **ლარს ბენდერის** (ლევერკუზენი) ასპარეზობაც. თუმცა კლოზეს და ბენდერს დღეს ბუნდესგუნდის მთავარი ექიმი **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი** შეამოწმებს და სანამ ეს უკანასკნელი საბოლოო დიაგნოზს დასვამს, ლიოვმა ნაკრების სხვა მოთამაშეებით შევსება არ ისურვა.

შეგახსენებთ, რომ ლიოვმა ოფიციალურად გამოაცხადა, საფრანგეთთან გერმანიის ნაკრების კარს „ჰამბურგის“ მეკარე **რენე ადლერი** დაიცავსო, რაზეც ბუნდესგუნდის პირველმა ნომერმა **მანუელ ნოიერმა** უკმაყოფილო კომენტარი გააკეთა: *„ჩემი აზრით, საფრანგეთთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და არ დავმალავ, უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებდი. ისე არ გამიგოთ, თითქოს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მეთაკილებოდეს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს,“* - უთხრა ნოიერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**



დორტმუნდელები მარიო გიოტცე, მარსელ შმელცერი და მარკო როისი საფრანგეთთან ვერ ითამაშებენ

● U 20 კოპა ამერიკა. ფინალური ჯგუფი. ბოლო ტური

# კოლუმბია გ[illegible]დ

**ურუგვაი-ეკვადორი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნ. ლოპესი (6).

**ჩილე-პერუ 1:1**

**გოლები:** 0:1 ე. ფლორესი (7), 1:1 რაბელიო (34).

**კოლუმბია-პარაგვაი 2:1**

**გოლები:** 1:0 კინტერო (25), 2:0 ვერგარა (55), 2:1 ხ. როხასი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***1. კოლუმბია*** | ***5*** | ***4*** | ***0*** | ***1*** | ***6-3*** | ***12*** |
| 2. პარაგვაი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 3. ურუგვაი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 4. ჩილე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 5. პერუ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 6. ეკვადორი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 – ნ. ლოპესი (ურუგვაი); 5 – კინტერო (კოლუმბია), ნ. კასტილიო (ჩილე), ი. რეინა (პერუ); 4 – დერლის გონსალესი (პარაგვაი), როლანი (ურუგვაი), ჯ. კორდობა (კოლუმბია), ესტერილია (ეკვადორი).

არგენტინაში 2013 წლის ახალგაზრდული კოპა ამერიკა დასრულდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს კოლუმბია და პარაგვაი დაუპირისპირდნენ. ფრის შემთხვევაში, ჩემპიონის ტიტულს პარაგვაელები მოიპოვებდნენ, კოლუმბიას კი ხელს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა.

„ფინალურ“ მატჩამდე, სხვა ოთხმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურების ბედი გაარკვია. ურუგვაის ნაკრები, რომელიც გადამწყვეტი ჯგუფის სტარტის წინ, მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, უმოტივაციოდ დარჩენილ ეკვადორს 1:0 მოუგო და მუნდიალის საგზური მოიპოვა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ნიკოლას ლოპესმა** გაიტანა, რომლისთვისაც ეს ბურთი მე-6 იყო და „რომას“ ფორვარდი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ამის შემდეგ, მოედანზე ჩილე და პერუ გამოვიდნენ. აქაც კოლუმბია-პარაგვაის მსგავსი სიტუაცია იყო: ფრე ჩილეს აწყობდა, აი მარცხის შემთხვევაში, მუნდიალზე მათ მაგივრად პერუ გაემგზავრებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. თავიდან დაწინაურება პერუელებმა შეძლეს, თუმცა **მარიო სალასის** შეგირდებმა წონასწორობა პირველივე ტაიმში აღადგინეს – თავი „სევილიას“ ნიჭიერმა ნახევარმცველმა **ბრიან რაბელიომ** გამოიჩინა. მეორე ტაიმში, ბევრი მცდელობის მიუხედავად, პერუმ მეორე გოლი ვერ გაიტანა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ბოლოს კი მოედანზე კოლუმბია და პარაგვაი გამოვიდნენ. წყვილში ფავორიტად კოლუმბია მიიჩნეოდა და საბოლოოდ, **კარლოს რესტრეპოს** გუნდმა ეს სტატუსი გაამართლა. ეს გუნდები, წლევანდელ კოპა ამერიკაზე ერთ ჯგუფში იყვნენ და მაშინ გამარჯვება კოლუმბიას დარჩა (1:0, გოლი **ჯონ კორდობამ** გაიტანა). კორდობას თავი ამჯერად არ გამოუჩენია (37-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა), სამაგიეროდ, შეხვედრის 25-ე წუთზე ანგარიში „პესკარას“ ნახევარმცველმა **ხუან კინტერომ** გახსნა. კინტეროსთვის ეს მეხუთე გოლი იყო და ამ შედეგით, ის საკუთარი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (კორდობას გაასწრო).

შეხვედრის მეორე ტაიმის დებიუტში (55-ე წუთზე), კოლუმბიელებმა საკუთარი უპირატესობა ორამდე გაზარდეს – ბურთი **ჟერსონ ვერგარამ** გაიტანა. ამის შემდეგ, უპირატესობას პარაგვაი დაეუფლა, მაგრამ კოლუმბიელები თავს საკმაოდ კარგად იცავდნენ. ფავორიტის დაცვის ხაზი ერთხელ, 89-ე წუთზე შეცდა, რითიც **ხორხე როხასმა** ისარგებლა. მეტის გასაკეთებლად პარაგვაელებს დრო არ ეყოთ და საბოლოოდ დამარცხდნენ.

კოლუმბია ახალგაზრდული კოპა ამერიკას გამარჯვებული მესამედ გახდა (წინა ორი 1987 და 2005 წლებში მოიგო). მათთან ერთად, ზაფხულში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ღირსებას პარაგვაი, ურუგვაი და ჩილე დაიცავენ.

**ტატო ბაციკაძე**



კოლუმბიელი ახალგაზრდები ჩემპიონობას ზეიმობენ



## უცხოური ფეხბურთი

**ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. კარიოკა და პაულისტა**

# მფრინავი ჰოლანდიელი

### კარიოკა. ტაკა გუანაბარა. V ტური

**მაკაე-ბოტაფოგო 1:3**

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (5), 1:1 ზეედორფი (9), 1:2 ზეედორფი (78-პენ), 1:3 ზეედორფი (87-პენ).

**კისამა-ფლუმინენსე 0:3**

**გოლები:** 0:1 ჟეანი (45), 0:2 ვაგნერი (73), 0:3 ფრედი (85-პენ).

**ფლამენგო-ნოვა იგუასუ 1:0**

**გოლი:** 1:0 ერნანი (67).

**ვასკო-ბანგუ 0:1**

**გოლი:** 0:1 უგო (54).

**რესენდე-ოლარია 1:1**

**ვ. რედონდა-დუკე დე კაშიასი 0:0**

**მადურეირა-აუდაქს რიო 1:2**

**ბოავიშტა-ფრიბურგენსე 1:0**

**A ჯგუფი:** 1. ბოტაფოგო – 11 ქულა, 2. ვასკო და გამა – 9, 3. მადურეირა – 8, 4. ფრიბურგენსე – 7, 5. ვოლტა რედონდა – 5, 6. ნოვა იგუასუ – 4, 7. ოლარია – 2, 8. კისამა – 1.

**B ჯგუფი:** 1. ფლამენგო – 13 ქულა, 2. ფლუმინენსე -11, 3. აუდაქს რიო – 10, 4. ბანგუ – 8, 5. ბოავიშტა – 7, 6. რესენდე – 6, 7. დუკე დე კაშიასი – 4, 8. მაკაე – 3.

**ბომბარდირები:** 5 – ერნანი (ფლამენგო); 4 – ფრონტინი (ვოლტა რედონდა), ბერნარდო (ვასკო და გამა).

### პაულისტა. V ტური

**სანტოსი-სან პაულო 3:1**

**გოლები:** 1:0 მირალიესი (39), 2:0 ნეიმარი (49-პენ), 2:1 ჟადსონი (65), 3:1 მირალიესი (70).

**კორინთიანსი-ოესტე 5:0**

**გოლები:** 1:0 გერერო (10), 2:0 გერერო (13), 3:0 პაულინიო (41), 4:0 დანილო (70), 5:0 პატო (74).

**XV დე პირას.-პალმეირასი 3:3**

**გოლები:** 1:0 მარსიო დიოგო (2), 1:1 ენრიკე (39), 1:2 მარსიო არაუჟო (53), 2:2 დიგინიო (75-პენ), 3:2 ვინისიუს ბოვი (82), 3:3 ენრიკე (90).

**მირასოლი-იტუანო 0:1**

**ლინენსე-პაულისტა 3:0**

**პონტე პრეტა-პენაპოლენსე 2:0**

**ბოტაფოგო სპ-გუარანი 3:1**

**სან ბერნარდო-სან კაეტანო 4:1**

**ატლ. სოროკ.-უნიაო ბარბარ. 4:0**

**მოჟი მირიმი-ბრაგანტინო 4:1**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სანტოსი – 13 ქულა, 2. პონტე პრეტა – 13, 3. ლინენსე – 11, 4. მოჟი მირიმი – 10, 5. კორინთიანსი – 10, 6. ბოტაფოგო სპ – 10, 7. პენაპოლენსე – 9, 8. პალმეირასი – 8, 9. სან პაულო (3თ) – 6, 10. ბრაგანტინო – 6, 11. ატლ. სოროკაბა – 5, 12. XV დე პირასიკაბა – 5, 13. პაულისტა – 5, 14. იტუანო – 5, 15. სან ბერნარდო – 4, 16. სან კაეტანო (4თ) – 4, 17. უნიო ბარბარენსე (4თ) – 4, 18. მირასოლი – 1, 19. გუარანი – 1, ოესტე – 1.

**ბომბარდირები:** 5 – ნეიმარი (სანტოსი); 4 – ბრუნინიო (ატლ. სოროკაბა), მირალიესი (სანტოსი), ფაუსტო (ლინენსე), გუარუ (პენაპოლენსე).

**ტურის** მთავარი სენსაცია „სან ჟანუარიოზე“ დაფიქსირდა, სადაც „ვასკო და გამამ“ „ბანგუსთან“ წააგო. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის ეტაპზე ჯგუფის ორი გამარჯვებული გადის.

შტატის ჩემპიონატში, „ვასკო და გამას“ მეტოქე ზედიზედ 5-ჯერ ჰყავდა დამარცხებული და ამჯერადაც ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ **უგოს** მიერ 54-ე წუთზე გატანილ გოლს, **გაუჩოს** შეგირდებმა ვერაფრით უპასუხეს და „ბანგუსთან“ 2002 წლის შემდეგ პირველად დამარცხდნენ.

მორიგი მატჩები მოიგეს „ფლამ“ და „ფლუმ“. „ფლამენგოს“ მხრიდან ისევ **ერნანმა** გაიტანა, რომელიც 5 გოლით ბომბარდირთა დავის ლიდერია. „ფლუმინენსემ“ „კისამა“ გაანადგურა, მაგრამ პირველ ტაიმში გაუჭირდა. სტუმრებმა ანგარიშის გახსნა 45-ე წუთზე მოახერხეს (**ჟეანი**). მეორე ტაიმში კი კიდევ ორი გოლი გაიტანეს (**ვაგნერი** და **ფრედი**).

ტურის მთავარი გმირი კი, რა თქმა უნდა, **კლარენს ზეედორფი** გახდა, რომელმაც ჰეთთრიქი კარიერაში პირველად შეასრულა (36 წლის ასაკში). „ბოტაფოგოს“ მეტოქე სერია C-ს წევრი „მაკაე“ გახლდათ, რომელმაც ფავორიტთან შეხვედრაში დაწინაურება შეძლო, მაგრამ მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს ჰოლანდიელ ვეტერანს, ვინც მართალია, სამი გოლიდან ორი პენალტით გაიტანა, მაგრამ ეს მის მიღწევას ოდნავაც ვერ აკნინებს.

„ტაკა გუანაბარას“ ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 3 ტური დარჩა, რის შემდეგაც, ჯგუფების ორი გამარჯვებული ერთმანეთს 1/2-ფინალში დაუპირისპირდება.

## ბრწყინვალე ნეიმარი

მეხუთე ტურში, „სანტოსის“ და „სან პაულოს“ 243-ე დერბი გაიმართა. უშუალოდ პაულისტას ჩემპიონატში ეს გუნდები ერთმანეთს 168-ედ შეხვდნენ და „სანტოსმა“ 48-ე გამარჯვება მოიპოვა.

წლევანდელი დერბის გმირი **ნეიმარი** გახდა, რომელმაც, გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა (პენალტით), ასევე ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. „ვუნდერკინდ“ თანაგუნდელს არ ჩამორჩა **ესეკილ მირალიესი**, რომელმაც დუბლი შეასრულა.

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა „კორინთიანსმა“. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონმა აუტსაიდერი „ოესტე“ გაანადგურა. **ტიტეს** გუნდში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა **ალეშანდრე პატომ**, რომელმაც გოლი ცვლილებაზე შემოსვლიდან 3 წუთში გაიტანა. პატომ **პაოლო გერერო** შეცვალა, ვინც მანამდე დუბლი გაიფორმა. თითო გოლი **პაულინიომ** და **დანილომ** გაიტანეს, **ემერსონ შეიკმა** კი 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, თორემ ანგარიში კიდევ უფრო დიდი იქნებოდა.

ძლივს გადაურჩა მარცხს „პალმეირასი“, ვინც მცველმა **ენრიკემ** იხსნა – „ბარსელონას“ ყოფილმა ფეხბურთელმა (კატალონიურ გუნდში ერთი მატჩიც არ უთამაშია), ორი გოლი გაიტანა, აქედან მეორე არბიტრის მიერ დამატებულ დროში. გოლი არ გაუტანიათ **ხორხე ვალდივიას** და **ერნან ბარკოსს**, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერად აქტიურნი იყვნენ.

**ამბები**

## ოლიმპიაკოსში მიჩელი დაინიშნა

„სევილიადან“ 14 იანვარს გაგდებული **მიჩელი**, კვირას „ოლიმპიაკოსის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ბერძნული კლუბის ხელმძღვანელებმა, ორი კვირის წინ, თანამდებობიდან **ლეონარდო ჟარდიმი** გაათავისუფლეს, რამაც გულშემატკივართა გულისწყრომა გამოიწვია, რადგან პირეოსის კლუბი, პორტუგალიელის ხელში საკმაოდ კარგად თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალის“ ლეგენდა, 49 წლის მიჩელი, სამწვრთნელო კარიერას „რაიო ვალეკანოში“ იწყებდა, რასაც „ხეტაფეში“ საკმაოდ წარმატებული პერიოდი მოჰყვა, რის შემდეგაც ის „სევილიაში“ მიიწვიეს, სადაც მიჩელმა იმედები ვერ გაამართლა.

## ადებაიორმა სიქსი გააკრიტიკა

ბურკინა ფასოსთან განცდილი მარცხის შემდეგ (0:1, დამატებით დროში), ტოგოს ნაკრების ლიდერმა **ემანუელ ადებაიორმა** ეროვნული გუნდის მწვრთნელი **დიდიე სიქსი** გააკრიტიკა.

*„ჩვენ მწვრთნელის გარეშე ვთამაშობდით. მოედანზე ყოფნის დროს ვცდილობდი, რომ ორივე როლი შემეთავსებინა, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. მე ყველაფერი ვცადე, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. მიუხედავად ამისა, ახლა წუწუნის და განტევების ვაცის ძებნის დრო არ არის. მნიშვნელოვანია, რომ სახლში მშვიდად დავბრუნდეთ და სათქმელი მერე ვთქვათ“.*

ნაკრების ლიდერს მეკარე, **კოსი აგასაც** აჰყვა, რომელიც კიდევ უფრო შორს წავიდა და სიქსის გადადგომა მოითხოვა: „სამწვრთნელო შტაბი უნდა გამოვცვალოთ, თანაც ახლავე,“ – განაცხადა „რეიმსის“ კიპერმა.

დიდიე სიქსი ტოგოს ნაკრებს 2011 წლის ნოემბრიდან უდგას სათავეში.

**ტატო ბაციკაძე**

## ქართული სპორტი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ვეხი ემრეს მემორიალი**




# ნადარეი[illegible] ვითარება არია

### ორი მედალი სტამბოლიდან

**გასულ უქმეებზე სტამბოლმა ვეხი ემრეს ხსოვნის „ოქროს დიდი პრიზის“ პირველ ტურნირს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც ტრადიციულად, ფრიად წარმომადგენლობითი შეჯიბრება აღმოჩნდა. ჩვენმა ნაკრებმა იქ 2 მედალი მოიპოვა - ვერცხლი და ბრინჯაო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი რევაზ ნადარეიშვილი (84) გახდა, მესამეზე კი მიხეილ ქაჯაია (96) გავიდა.**

ნადარეიშვილი ფინალში მასპინძელთა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **სელჯუკ ჩებისთან** დამარცხდა ძირითად დროში. ეს თურქი აქამდე 74-ში ჭიდაობდა, ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ კი 84-ში ამოინაცვლა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მასპინძელს აჯობა ქაჯაიამ, რომელსაც **ახმედ ილკერთან** მოსაგებად დამატებითი დრო დასჭირდა.

სტამბოლში ჩვენგან 16 ფალავანი გამოდიოდა, თუმცა დანარჩენებს ხელი მოეცარათ. ჩვენები იქ მეორე შემადგენლობით გამოდიოდნენ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, 19-22 მარტს თბილისში გასამართ ევროპის პირველობაზე მთავარ ნაკრებში ვინმე ამ გუნდიდანაც მოხვდეს. უპირველესად ნადარეიშვილს ვგულისხმობთ, რადგან ამ წონაში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი **რობერტ ქობლიაშვილი** ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია და წლეულს იმ გუნდშიც უწევს ასპარეზობა. ნადარეიშვილი ქვეყნის პირველობაზე სწორედ ქობლიაშვილთან დამარცხდა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა, მაგრამ ამჯერად აჯობა სხვა კონკურენტებს. მათ შორის - ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ **ვალერი მურვანიძეს**. სამწუხაროდ, ტურნირის დეტალები ვერ მოვიძიეთ და არ ვიცით, შეხვდა თუ არა ნადარეიშვილი თურქეთში ან მას, ან კიდევ ერთ კონკურენტ **გიორგი ცირეკიძეს**, მაგრამ საერთო შედეგით კი აჯობა მათ. ვფიქრობთ, ამით ნაკრებში მოხვედრის შანსი კვლავ დაიბრუნა, თუმცა ნურც ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსან **ვლადიმერ გეგეშიძეს** დავივიწყებთ. ტრავმის გამო ის ქვეყნის ჩემპიონატში არ გამოსულა, მაგრამ მწვრთნელი შანსს მაინც აძლევს და 23-24 თებერვალს უნგრულ სომბათჰეიში, „ოქროს დიდი პრიზის“ მეორე ტურნირზე მიჰყავს.

გუნდის მთავარ მწვრთნელ **ბეგი დარჩიას** ამჯერად სტამბოლში ქობლიაშვილის წაყვანაც სურდა, მაგრამ ის ახლა 20-წლამდელებთან ერთად ემზადება. არადა, კარგი იქნებოდა, იქ მასაც ესასპარეზა ანუ კონკურენტები საქმეში ერთად კიდევ ერთხელ გვენახა. დარჩიას უნგრეთში ქობლიაშვილის წაყვანაც სურს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა გარკვეული, საბოლოოდ კი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა კონსულტაციების შემდეგ გადაწყდება.

ქობლიაშვილის დღეშია **ედნარ შავაძეც** (55), საქართველოს კიდევ ერთი ჩემპიონი, რომელიც ჯერაც ახალგაზრდულის წევრია და მასთან ერთად ვარჯიშობს. სტამბოლში ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონთაგან მხოლოდ **საჩინო დავითაია** (66) გამოდიოდა. დარჩია მასაც უპირებს უნგრეთში წაყვანას, ოღონდ გააჩნია, როგორ გაივლის იმ ტურნირის წინა შეკრებას მინსკში და ფიზიკური მდგომარეობა თუ მისცემს ჭიდაობის საშუალებას.

ამათგან განსხვავებით, გარკვეულია, რომ სომბათჰეიში **ლაშა გოგიტაძე, რევაზ ლაშხი** (ორივე - 60), **ზურაბ დათუნაშვილი, მანუჩარ ცხადაია** (74), **სოსო ჯაბიძე, ირაკლი ქაჯაია** (96), **სერგო გოგისვანიძე, გურამ ფერსელიძე** (120) იასპარეზებენ.

შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ ეს ტურნირიც ფრიად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი საევროპო გუნდის დასაკომპლექტებლად. მაგალითად, საინტერესოა, რა მოხდება 74-ში - შეძლებს თუ ვერა ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ცხადაია საქართველოს ჩემპიონ დათუნაშვილის წინააღმდეგობის დაძლევას?! დარჩიას თავიდან სტამბოლში ირაკლი ქაჯაიას წაყვანაც სურდა, მაგრამ მერე საუნგრეთო შემადგენლობაში გადაიყვანა ანუ მას და ჯაბიძეს ერთად გამოცდის. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის პირველობის ფინალში ჯაბიძემ მოუგო ქაჯაიას. მძიმე წონაში გოგისვანიძე ლიდერია, თუმცა მწვრთნელი შანსს ფერსელიძესაც აძლევს, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა.

საუნგრეთო გუნდში საინტერესოა 60 კილოგრამში ორი მონაწილის გამოჩენა, როცა 55-ში არავინაა. ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ლაშხი ქვეყნის პირველობაზე 66-ში დროებით რომ გამოდიოდა და წონას არ იცვლიდა, იმთავითვე იყო ცნობილი. არადა, ამ წონაში საქართველოს ჩემპიონი გოგიტაძე გახდა, თუმცა როცა 55-ში გამარჯვებული შავაძე ჯერ ისევ ახალგაზრდულ ნაკრებში რჩება, გოგიტაძე საევროპოდ ხომ არ დაიკლებს და დაუბრუნდება ძველ წონას?

ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს, გუნდი კი ამ დღეებში დაბრუნდება სტამბოლიდან და საუნგრეთო სიაში ჩაწერილი ფალავნები 7 თებერვალს მინსკში გაემგზავრებიან, სადაც „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე ერთობლივ ვარჯიშებს გაივლიან. ჩვენები უნგრეთშიც ბელარუსიდან წავლენ, მანამდე კი თურქეთს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც მოივლიან - ისინი 9-10 თებერვალს ანკარაში იაშარ დოგუს მემორიალზე გამოვლენ. ესეც ტრადიციულად ძლიერი შეჯიბრებაა და, იმედია, ბიჭებს საშინაო კედლებში გასამართი ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად დიდადაც წაადგებათ. **რევაზ მინდორაშვილს** ანკარაში პირველი შემადგენლობა მიჰყავს: **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120). 16-17 თებერვალს მეორე გუნდი კიევის საერთაშორისო ტურნირში გამოვა, მესამე შემადგენლობა კი 21-22 თებერვალს თეირანში მსოფლიოს თასზე შეეცდება ქვეყნის სახელის დაცვას.

**ირაკლი თავაძე**

**სუმო**



# შავი ზღვის დაისი

### ტოკიოში კოკაის თმის შეჭრის ცერემონიალი გაიმართა

**ლევან ცაგურიამ**, რომელიც **კოკაის** საბრძოლო სახელით ასპარეზობდა პროფესიულ სუმოში, სპორტული კარიერა სექტემბრის ბაშოზე დაასრულა.

2 თებერვალს კარიერის დასრულების (ინტაი) ოფიციალური ცერემონიალის ერთ-ერთი ნაწილი გაიმართა, რომელსაც დანპაცუ-შიკი ეწოდება და თმის მოჭრის ცერემონიალია. ეს ღონისძიება ტოკიოს ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა და 200-მდე ადამიანი დაესწრო.

კოკაის პატივი დასდო ორივე დიდმა ჩემპიონმა, ორმა მონღოლმა **ჰაკუჰომ** და **ჰარუმაფუჯიმ**. ბოლო კულული, როგორც წესია, კოკაის კლუბის მწვრთნელმა და ხელმძღვანელმა **ოიტეკაძემ** შეჭრა.

აი, რა თქვა ჩვენებურმა თმის შეჭრის ცერემონიალზე: *„სუმომ მასწავლა ადამიანისთვის ასე საჭირო თვისება - მოთმინება. ახლა ჩემი სურვილია, საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობების გაღრმავებას შევუწყო ხელი“.*

იაპონური მედიის ცნობით, კოკაი სამოყვარულო სუმოს განვითარებაზე იზრუნებს საქართველოში, ასევე მას საკუთარი იაპონური რესტორანი ექნება. ასევე, იაპონელები კოკაის პოლიტიკით დაინტერესებაზეც საუბრობენ.

ლევან ცაგურია 31 წლისაა. მას დებიუტი 2001 წლის მაისში ჰქონდა პროფესიულ სუმოში, მისი შიკონა იყო **კოკაი ფუტოში.** ლევანმა სულ 68 ბაშოზე მიიღო მონაწილეობა: 902 ორთაბრძოლაში (446 გამარჯვება, 458 მარცხი, 10 ტრავმა). ერთხელ გახდა ვიცე-ჩემპიონი; ორჯერ მოიგო მებრძოლი სულის პრიზი; 2-ჯერ დაამარცხა დიდი ჩემპიონი (ორჯერვე **ასაშორიუ**); კომუსუბის რანგში ორ ბაშოზე იასპარეზა.

მოგებული აქვს: ძურიოს, მაკუშიტას, სანდანმეს, ჯონიდანის და ჯონოკუჩის დივიზიონები. იყო პირველი ევროპელი სუმოისტი ელიტაში და პირველი ქართველი პროფესიონალი სუმოისტი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელოზე

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

● მძლეოსნობა

# ზოგ რეგიონში სპორტის დედოფალს არ სწყალობენ

გასულ უქმეებზე დიდუბის მანეჟმა მძლეოსნობაში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლა. სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრი არ მონაწილეობდა. სიმაღლეზე მხტომელი **ზურაბ გოგოჭური,** რომელმაც ერთი კვირის წინათ ბელარუსის ზამთრის ჩემპიონატზე მე-2 ადგილი დაიკავა, ისევ მოგილიოვშია და იქ განაგრძობს ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის მზადებას. გუშინწინ ჩვენებური მოგილიოვის საერთაშორისო ტურნირზე 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და ამჯერადაც ვერცხლის მედალი ერგო. ასევე, მეორე იყო 60 მეტრზე თარჯრბენში (8.16) საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე **დავით ილარიანი.** მისი შეგირდი - სიგრძეზე მხტომელი **ბოლესლავ სხირტლაძე** საფრანგეთშივე ორი დღის შემდეგ იასპარეზებს.

საქართველოს ჩემპიონატში არ გამოსულა სამმხტომელი **ლაშა ღულელაურიც.** 18 თებერვალს იგი ბაქოში გაემგზავრება და ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის იქ მოემზადება.

- აზერბაიჯანის დედაქალაქში ღულელაურთან ერთად ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან მაიკო გოგოლაძე, დენის ჟვანია და გიორგი აზარაშვილი, რომლებიც იქაურ ღია ჩემპიონატშიც მიიღებენ მონაწილეობას, - გვითხრა მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა.** - გოგოლაძეს ჯერ კიდევ აწუხებს ტრავმა, ამიტომ სიგრძეზე ხტომას მოერიდა და რბენებში მოსინჯა ძალები. 60 მეტრზე თარჯებითა და 200 მეტრზე რბენაში პირველი იყო. მეექ-



ვება, რომ ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის სპორტული ფორმის აღდგენა მოასწროს, ამიტომ ბაქოში უფრო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მოემზადება.

ეროვნულ ჩემპიონატში სიურპრიზი შემოგვთავაზა 19 წლის სპრინტერმა ბაჩანა ხორავამ: მან ჯერ 60 მეტრზე რბენა მოიგო, მერე მისთვის უჩვეულო სიგრძეზე ხტომაშიც აჯობა ყველას, თანაც დებიუტისთვის არცთუ ურიგო შედეგით - 715 სანტიმეტრით.

წლეულს უტრეხტი (ჰოლანდია) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მძლეოსანთა ნაკრების ძირითადი ბირთვი ამ შეჯიბრებისთვის კარგა ხანია ემზადება. ბოლო დროს გამოჩნდა იმედისმომცემი ქუთაისელი სამმხტომელი, 1998 წელს დაბადებული გოგა მალლაკელიძე. სპეციალისტების აზრით, მას უტრეხში საპრიზო ადგილებზე გასვლისა და ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს. სამმხტომში მსოფლიოს პირველობის სალიცენზიო ნორმატივია 14,50 მეტრი, გოგას საუკეთესო შედეგი ამ მაჩვენებელს მხოლოდ 15 სანტიმეტრით ჩამორჩება. ფესტივალამდე კი ხუთი თვეა დარჩენილი.

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში 15 წლამდე სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. თუმცა გამონაკლისი ჭოკით მხტომელებისთვის დაუშვეს. მეოთხედი საუკუნეა, ეს მძლეოსნური დისციპლინა ჩვენთან დავიწყებას მიეცა. ახლა იწყებენ აღორძინებას. ჯგუფში რვა ბიჭი და ორი გოგო მეცადინეობს. ამჯერად სარბიელზე 12 წლის მიხეილ ცანავა და მისი თანატოლი ლაშა ქარქუსაშვილი გამოვიდნენ. მართალია, მოკრძალებული შედეგი აჩვენეს - 240 და 210 სანტიმეტრი, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია და 2015 წლის თბილისის ოლიმპიური ფესტივალისთვის, ვფიქრობთ, წარმატებებით გაგვახარებენ...

დიდუბის მანეჟში მეორე ჯგუფის გუნდური შეჯიბრება ოზურგეთელებმა მოიგეს.

- უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რეგიონში „სპორტის დედოფლის" წარმომადგენლებს სავარჯიშოდ ელემენტარული პირობები მაინც რომ გვქონდეს, - გვითხრა გურიის მხარის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **მარინე კოტრიკაძემ.** - ჩვენი აღზრდილია საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ნიკა კარტავცევი, რომელსაც მსოფლიოს და ევროპის პირველობებშიც უასპარეზია. ოზურგეთში პირობები რომ არ გვქონდა, სავარჯიშოდ თბილისში გადმოვიყვანეთ. ახლა „თბილისი-2015"-ის პროგრამაშია ჩართული 1999 წელს დაბადებული ოზურგეთელი ელენე ტოლსტოვა, რომელსაც, როგორც პერსპექტიულ სპორტსმენს, მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ სტიპენდია დაუნიშნა. ეს სხვებისთვის სტიმული გახდა და მომეცადინეთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ სად ვავარჯიშოთ ისინი? კიდევ კარგი, რომ შეთავსებით ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში ინსტრუქტორად ვმუშაობ. ამ ორგანიზაციის მესვეურები დამიდგნენ გვერდით და რამდენიმე წარმატებულ მძლეოსანს ტრენაჟორების დარბაზში უფასოდ ვარჯიშის უფლება დართეს. ამიტომაც ბოლო დროს აქცენტი უფრო ტყორცნებზე გადავიტანეთ, სადაც ყოველთვის გვქონდა წარმატებები. ახლაც, ბირთვის კვრაში სოფიო შათირიშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ადგილობრივი თვითმმართველობა ოდნავ მაინც რომ გადმოგვხედავდეს მოწყალე თვალით და მინიმალურ სავარჯიშო პირობებს შეგვიქმნიდეს, შედეგებს საგრძნობლად გავაუმჯობესებთ...

ჩვენთან საუბარში სავარჯიშო პირობების უქონლობაზე დაიჩივლა სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **რევაზ ბუკიამ.** არადა, ამ ბოლო დროს ზუგდიდში საკმაოდ გამოჩნდნენ იმედისმომცემი ახალგაზრდა სპორტსმენები.

### კვარცხლბეკი

**ქალები. 60 მ.** 1. სოფო ჩალაშვილი (თბილისი, 8,04), 2. სალომე ჩირაძე (ქუთაისი, 8,25), 3. დეა საზუაშვილი (თბილისი, 8,28). **60 მ/თარჯრბენი.** 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 9,29), 2. მარი ძაგნიძე (ვანი, 9,98), 3. დეა საზუაშვილი (თბილისი, 10,16). **200 მ.** 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 26,75), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 27,55), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 28,88). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.00,96), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.02,06), 3. მარი მარტინენკო (ახალციხე, 1.02,93). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.19,93), 2. სალომე კოპალეიშვილი (ვანი, 2.42,43), 3. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 2.45,99). **1500 მ.** 1. ნუემ პაპიკიანი (5.30,72). 2. მარინა სირაკანიანი (ორივე - ახალციხე, 5.31,82), 3. მარი ჭეიძე (თბილისი, 6.00,61). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.58,60), 2. ნუემ პაპიკიანი (12.10,99), 3. მარინე სირაკანიანი (ორივე - ახალციხე, 12.14,80). **5000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 18.51,24), 2. ნინო კიფილაძე (თბილისი, 25.05,31). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ნინო კობალაძე (თბილისი, 145). **სიგრძეზე ხტომა.** 1. თათია პაიკიძე (530), 2. მარი ძაგნიძე (ორივე - ვანი, 511), 3. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 485). **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 11,92), 2. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,85), 3. ნანი სირაძე (ქუთაისი, 10,43). **შუბი.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 29,90), 2. ია რეხვიაშვილი (25,65), 3. ვერონიკა გალუზინსკაია (ორივე - თბილისი, 23,05). **ბადრო.** 1. სალომე რიგიშვილი (48,74), 2. ნათელა უშიკიშვილი (ორივე - თიანეთი, 33,79), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 22,02). **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 14,10), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 10,24), 3. სოფო შათირიშვილი (ოზურგეთი, 10,06). **ესტაფეტა. 4X200.** 1. თბილისი-I (1.54,34), 2. თბილისი-II (1.58,01), 3. ახალციხე (2.00,59).

**ვაჟები. 60 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 7,00), 2. ირაკლი აშორდია (ზუგდიდი, 7,17), 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 7,18). **60 მ/თარჯრბენი.** 1. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 9,40), 2. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 9,42). **200 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 22,42), 2. დენის ჟვანია (ზუგდიდი, 22,59), 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 23,17). **400 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 49,86), 2. სოსო მარუქაშვილი (თბილისი, 50,26), 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 50,98). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.55,08), 2. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 2.00,85), 3. თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი, 2.04,60). **1500 მ.** 1. თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი, 4.04,16), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 4.11,81), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.23,46). **3000 მ.** 1. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 9.20,07), 2. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.21,00), 3. გელა ტაბატაძე (ახალციხე, 10.07,06). **5000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 15.49,17), 2. გიორგი გოჩალეიშვილი (ქუთაისი, 19.05,02), 3. გიორგი ბაციკაძე (გარდაბანი, 20.32,93). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 165), 2. სანდრო ჟამერაშვილი (160), 3. ირაკლი კენჭუაშვილი (ორივე - თბილისი, 160). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 715), 2. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 713), 3. თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 686). **სამხტომი,** 1. გოგა მალლაკელიძე (14,14), 2. ირაკლი ხაჭაპურიძე (ორივე - ქუთაისი, 13,57). **შუბი.** 1. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი, 67,60), 2. დავით ნოზაძე (ბორჯომი, 41,10), 3. გიორგი კოსტავა (ხობი, 34,27). **ბადრო.** 1. კობა ტატულაშვილი (სიღნაღი, 37,30), 2. თემურ აბულაშვილი (თბილისი, 34,55), 3. ზაზა გიგაია (მარტვილი, 33,08). **ბირთვი.** 1. ზაზა გიგაია (მარტვილი, 11,62), 2. კობა ტატულაშვილი (სიღნაღი, 10,91), 3. კახა მორგოშია (ზუგდიდი, 9,96). **ესტაფეტა. 4X200.** 1. ზუგდიდი (1.32,09), 2. ახალციხე (1.34,32), 3. თბილისი (1.36,06).

**საერთო გუნდური. I ჯგუფი.** 1. ახალციხე (364 ქულა), 2. თბილისი (352), 3. ქუთაისი (286). **II ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (77), 2. ბორჯომი (64), 3. მარტვილი (43).

მომდევნო უქმეებზე დიდუბის მანეჟში ახალგაზრდები მოსინჯავენ ძალებს.

● სამთო თხილამურობა

# იასონი - პირველზე, ნინო - მეორეზე




**ევროპის ზამთრის ტრასებზე გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ქართველი სპორტსმენებიც.**

გერმანიის ქალაქ იენერში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა **იასონ აბრამაშვილმა,** რომელმაც სლალომში 1.33,95-ით პირველი ადგილი დაიკავა. იასონს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური დაბევებული აქვს და ახლა რეიტინგში დაწინაურებას ლამობს. იენერში მეორე-მესამე ადგილებზე ავსტრიელი მანუელ კარელი (1.34,03) და ფინელი იენს ჰენტინენი (1.34,04) გავიდნენ. მე-18 ადგილი **ალექსი ბენიაიძემ** (1.36,30) დაიკავა.

იტალიურ ზოლდო ალტოში საქართველოს ქალთა გუნდის ლიდერმა - **ნინო წიკლაურმა** იყოჩაღა: გიგანტურ სლალომში მას (2.10,80) მეორე ადგილი ერგო. პირველი იყო მასპინძელი მარტინა გნეჩი (2.09,68). მისი თანამემამულე დიედრე ბელოდისი (2.10,88) მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

საგულისხმოა, რომ წიკლაური ბოლო დროს ევროპულ კვარცხლბეკს გაუშინაურდა. თავად განსაჯეთ: 31 იანვარს იტალიურ პიანკავალოში მესამე იყო (1.16,36), გიგანტურ სლალომში. ჩვენებურს მაშინ მასპინძლებმა - ილენა საბიდუსიმ (1.15,84) და კაროლინა ბიანკიმ (1.15,96) აჯობეს. წიკლაურმა, ასევე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიგანტურ სლალომში (2.03,08) ავსტრიულ ჰუნდერშტუდერში. იქაც მასპინძლებმა - მარია გუდრიჩმა (2.02,46) და ტერეზა ოფენჰაუზერმა (2.03,01) გაუსწრეს.

ევროპულ ტურნირებში ასპარეზობენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც. რამდენიმე დღის წინათ **ჯაბა გელაშვილმა** ავსტრიულ სიფელდში მე-9 ადგილი (სლალომი, 1.35,07) დაიკავა, ხოლო კვირას იტალიურ ზოლტო ალდოში **შოთა ნათაძე** (2.09,78) და **სოსო ჯაფარიძე** (2.10,33), შესაბამისად, მე-17 და 27-ე ადგილებს (ორივე - გიგანტური სლალომი) დასჯერდნენ.

# დიდველზე სპეციალური სლალომით

**სამთო თხილამურობაში საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპს ბაკურიანმა უმასპინძლა. დიდველზე სლალომით გოგო-ბიჭები სამ ასაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გაუწყებთ საპრიზო ადგილებზე გასულთა ვინაობას.**

### პირველი დღე

**გოგონები. 1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.46,15), 2. ანა ოგბაიძე (გუდაური, 2.00,49), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 2.02,52). **1997-1998 წ.წ.** 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 1.41,81), 2. ნუცა ხურცილავა (გუდაური, 1.44,49), 3. სალომე კვიციანი (მესტია, 1.49,21). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნატაშა გავა (ბორჯომი, 1.37,82), 2. სუსანა გავა (ბაკურიანი, 1.38,14), 3. ნატა მგელაძე (გუდაური, 2.06,61). **ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.39,07), 2. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 1.44,45), 3. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.45,63). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.30,43), 2. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური, 1.35,28), 3. ანზორ ჯაფარიძე (მესტია, 1.44,80). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. კოტე ვახტანგიშვილი (ბორჯომი, 1.25,40), 2. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 1.29,53), 3. ნოდარ ჩუბკო (ბაკურიანი, 1.30,53).

### მეორე დღე

**გოგონები. 1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.40,04), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.50,57), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 1.56,91). **1997-1998 წ.წ.** 1. ანა გორდეზიანი (გუდაური, 1.45,11), 2. მარიამ ჭკადუა (მესტია, 1.48,53), 3. ილონა შავაძე (აჭარა, 1.51,62). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 1.34,12), 2. ნატაშა გავა (ბორჯომი, 1.36,90), 3. ნატა მგელაძე (გუდაური, 2.03,27).

**ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 1.39,27), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.40,92). 3. ბექა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 1.44,43). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.29,77), 2. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური, 1.41,13), 3. ლევან ჯაფარიძე (მესტია, 1.43,07). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. კოტე ვახტანგიშვილი (ბორჯომი, 1.22,74), 2. კახა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.24,22), 3. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 1.28,32).

საქართველოს თასის გათამაშების მესამე ეტაპიც ბაკურიანში 9-10 თებერვალს გაიმართება, ამჯერად - გიგანტურ სლალომსა და სლალომში.

● ჭადრაკი

# სამოსნეები დაწინაურდნენ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ 18 წლის მოჭადრაკეთა მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. გოგონებში ერთპიროვნულად დაწინაურდა **ნატო იმნაძე,** რომელმაც ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო. გუშინ თეთრი ფიგურებით ლიკა კობეშავიძეს სძლია. ნანი უნაფქოშვილმა მარიამ ჯავახიშვილი დაამარცხა, მარიამ ჭოლაძემ ადა ქაქუთიას აჯობა, ხოლო ანა კუჭავა და ნინო ხომერიკი დაზავდნენ. 2,5-2,5 ქულით, მეორე-მესამე ადგილებს ჭოლაძე და უნაფქოშვილი იყოფენ.

ვაჟებსაც ერთი ლიდერი ჰყავთ - **ნიკა ლვამბერია,** რომელიც, ასევე, უდანაკარგოდ განაგრძობს პაექრობას. გუშინ მან ნოე თუთისანი დაამარცხა. დაზავდნენ ირაკლი ბერაძე - გიგლა ბენიძე, შალვა ნადირაშვილი - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ხოლო ალექსანდრე ებრალიძემ გიგა ბურდულს გააჩერებინა საათი. ბერაძეს, ებრალიძეს, ნადირაშვილის, ქუმსიაშვილსა და ბენიძეს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

დღეს მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ანა კუჭავა, ნანი უნაფქოშვილი, ნატო იმნაძე და ნინო ხომერიკი

● ჩოგბურთი




# პეთ-თრიკით ძირითად ბადეში

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (ATF-ის რეიტინგით მას 182 ქულა აქვს და 262-ე ადგილზე იმყოფება) იტალიაში ბერგამოს საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 42 500 ევრო) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება. წლევანდელი სეზონის სტარტი წარმატებული გამოდგა - ბასილაშვილმა ზედიზედ სამ მასპინძელს სძლია: პირველ წრეში ემანუელ მოლინას მოუგო - 6:7, 6:0, 6:4, მეორეში ანდრეა პატრაჩინი დაჯაბნა - 7:5, 6:3, მესამე რაუნდში კი მარკო ჩეჩინატოს აჯობა - 6:3, 3:6, 6:3, რითაც ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამ წარმატებით მან 3 სარეიტინგო ქულაც მოინაგრა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### სუპერლიგა 2012-13. XII ტური

# განახლდა

სუპერლიგის მეორე წრე რეგიონებში დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს ფავორიტებმა, „რუსთავმა“ და „შსს აკადემიამ“ და სატურნირო ცხრილში კვარტეტის ნაცვლად დუეტი გალიდერდა. თუმცა, ეს შეიძლება დროებითი მოვლენა იყოს, რადგან ხვალ ტურის დანარჩენი სამი მატჩი უნდა გაიმართოს და „ოლიმპს“ ლიდერ დუეტთან გათანაბრების კარგი შანსი აქვს. რაც შეეხება „არმიას“, იგი მეორე წრის პირველ ტურში ისვენებს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 11 | 9 | 2 | 919/716 | 20 |
| 2. რუსთავი | 11 | 9 | 2 | 902/766 | 20 |
| 3. არმია | 10 | 8 | 2 | 894/651 | 18 |
| 4. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 865/726 | 18 |
| 5. ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 782/732 | 16 |
| 6. დინამო | 10 | 6 | 4 | 782/748 | 16 |
| 7. თსუ | 10 | 4 | 6 | 693/783 | 14 |
| 8. ბათუმი-რსუ | 11 | 3 | 8 | 760/899 | 14 |
| 9. სოხუმი | 10 | 3 | 7 | 779/858 | 13 |
| 10. სამედიცინო | 10 | 1 | 9 | 604/867 | 11 |
| 11. სტუ | 11 | 0 | 11 | 710/944 | 11 |

**ბათუმი 56 – შსს აკადემია 89**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 13 | 13 | 13 | 17 |
| შსს აკადემია | 18 | 28 | 21 | 22 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | მ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მაისურაძე | 21 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 | 6 |
| რამიშვილი | 38 | 5 | 6 | 3 | 2 | 0 | 9 |
| ნანიტაშვილი | 33 | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 20 |
| ელიაშვილი | 24 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| სიგუა | 20 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ყველაშვილი | 38 | 13 | 0 | 2 | 0 | 2 | 7 |
| კეზელავა | 16 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 |
| ნინუა | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოკოზინაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |

| შსს აკადემია | წთ | მ | პ | მ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 20 | 3 | 5 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ვონი | 27 | 6 | 4 | 2 | 1 | 0 | 10 |
| ბოქოლიშვილი | 20 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 10 |
| ლონდარიძე | 20 | 8 | 2 | 0 | 1 | 2 | 12 |
| ლომოური | 18 | 5 | 2 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ანთაძე | 16 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 8 |
| ბექაური | 20 | 4 | 2 | 4 | 0 | 2 | 5 |
| არჩიბეკი | 33 | 16 | 3 | 1 | 1 | 1 | 24 |
| რეიმონდი | 22 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 9 |

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე, მიხეილ ვართანოვი*

**რუსთავი 112 – სტუ 70**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 27 | 26 | 29 | 30 |
| სტუ | 10 | 20 | 18 | 22 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | მ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 15 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 18 |
| ცეკვავა | 14 | 6 | 4 | 0 | 1 | 0 | 7 |
| ვატადი | 13 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 9 |
| აბაიშვილი | 24 | 1 | 12 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ჩაჩანიძე | 18 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 14 |
| გუგავა | 12 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |
| ნელსონი | 20 | 11 | 3 | 1 | 2 | 1 | 19 |
| ტუჯანი | 21 | 9 | 1 | 2 | 1 | 0 | 10 |
| მაჭავარიანი | 21 | 4 | 5 | 2 | 2 | 0 | 1 |
| არაბული | 13 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 8 |
| ხმელიძე | 23 | 10 | 4 | 2 | 1 | 2 | 18 |

| სტუ | წთ | მ | პ | მ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თევზაძე | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კვეტენაძე | 24 | 2 | 3 | 4 | 0 | 0 | 7 |
| კორკოტაძე | 20 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 6 |
| მინაშვილი | 18 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 3 |
| მაჩალაძე | 32 | 12 | 3 | 4 | 2 | 4 | 6 |
| სულაბერიძე | 14 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 7 |
| დვალიშვილი | 20 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 7 |
| კუჭავა | 13 | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ძიძიგური | 17 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 9 |
| ჯანაშია | 19 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 8 |
| ქორიძე | 14 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 8 |

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე, მალხაზ ანდღულაძე*

### სუპერლიგა. თსუ

# დრუზელი თსუ-ს ცაზე

გუშინ შევიტყვეთ მეტად არასახარბიელო ინფორმაცია, რომლის თანახმად სუპერლიგის წარმომადგენელ თსუ-ს მეორე წრეში გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშაა. ჩვენს პირობებში მიზეზის კითხვაც არ იქნება საჭირო, ისედაც გასაგებია, ეს დალხენილი ცხოვრებით არ იქნება გამოწვეული.




არადა, ოთხშაბათს, 14 საათზე სტუდენტები ტურის ცენტრალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ უნდა დაუპირისპირდნენ. ისიც შევიტყვეთ, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი საბოლოოდ დღეს უნდა გადაწყდეს. იმედი დავიტოვოთ, რომ გამოინახება საშუალება მდიდარი ტრადიციების (თსუ-ს ხომ საქართველოს თასიც აქვს მოგებული, ჩემპიონატის ფინალებშიც არაერთხელ უთამაშია და ეროვნული ნაკრების კალათბურთელებიც გამოუწვრთნია) გუნდის შესანარჩუნებლად.

### ექსკლუზიური ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# გალათასარაიში, ნაბიჯი წინ



ზედიზედ მეორე სეზონია **მანუჩარ მარკოიშვილი** იტალიურ „კანტუსთან“ ერთად ევროლიგაში თამაშობს. ამაზე მაღალი საკლუბო ლიგა ევროპაში არ არსებობს. სადღეისოდ ევროლიგაზე არ თამაშობს თურქული „გალათასარაი“, მაგრამ ბიუჯეტით ევროლიგის გრანდებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება. სტამბოლელები განსაკუთრებით ზამთარში გააქტიურდნენ, კალათბურთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საფეხბურთო „გალათასარაიში“ ერთმანეთის მიყოლებით გადაიყვანეს **დროგბა** და **სნეიდერი**... იმის თქმა გვინდა, რომ „გალა“ მომავალ სეზონში ევროპული მწვერვალებისკენ გზის გასაკვლევად ემზადება როგორც კალათბურთში, ასევე ფეხბურთში.

აქედან გამომდინარე, მანუჩარის „გალათასარაიში“ გადასვლა წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

- მედალს ორი მხარე აქვს, - მოგვითრობს მანუჩარი, - „კანტუსთან“ ერთად ევროლიგა ვითამაშე. იგი იტალიაში ერთ-ერთი წამყვანი გუნდია. თან, „კანტუში“ 2009 წლიდან ვარ და იქაურობას ყველანაირად შეგუებული ვიყავი. მეორე მხრივ, „გალათასარაი“ უფრო მდიდარი გუნდია, თურქეთის ჩემპიონატის პარალელურად ევროთასზე თამაშობს და მაღალ მიზნებსაც ისახავს. ასე რომ, მეც ვთვლი, რომ სტამბოლურ გუნდში გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმედი მაქვს, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგაც ამას ვიტყვი.

**- დაიწერა, მარკოიშვილმა „გალასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმაო. იქნებ კონკრეტულად გვითხრა, როდემდე დარჩები სტამბოლში?**

- ხელშეკრულება წელიწადნახევრიანია - „გალათასარაიში“ 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე ვითამაშებ.

**- შორეულ 2008 წელს ევროთასზე „კიევის“ მაისურით სტამბოლში „გალას“ 23 ქულა ჩაუგდე, 80:73 დაამარცხე და მეოთხედფინალში გახვედი. ის მატჩი სტამბოლში ახლაც ხომ არ ახსოვთ?**

- არ ვიცი თურქეთში ახსოვთ თუ არა, მაგრამ მე არ დამვიწყებია, მართლაც კარგად ვითამაშეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. თუმცა არა მგონია, ამ ამბავს ჩემს ტრანსფერზე ემოქმედა. ახლა გუნდში სხვა მწვრთნელი, სხვა შემადგენლობა და სხვა მენეჯმენტია. „გალათასარაის“ პრობლემა შეექმნა უკანა ხაზში მას შემდეგ, რაც დოპინგ-ტესტზე ჩავარდა ჰოუკინსი და სწორედ ამ ამბის შემდეგ დაიწყეს შესაფერისი კანდიდატურის ძიება. ჩემ გარდა კიდევ იყო სხვა არაერთი ვარიანტი, სხვადასხვა გუნდთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და საბოლოოდ თანხმობა „კანტუსგან“ მიიღეს.

**- იტალიელები შენი წამოსვლით გულდაწყვეტილები არიან. ალბათ, შენც გიძნელდა „კანტუს“ დატოვება...**

- გული მეც დამწყდა, რადგან ნამდვილად არ მეგონა, „კანტუდან“ წასვლა შუა სეზონში თუ მომიწევდა. სეზონის იტალიაში ჩამთავრებას ვაპირებდი, მაისის შემდეგ კონტრაქტის ვადა ამომეწურებოდა და განვიხილავდი სხვადასხვა კლუბის ვარიანტს. მათ შორის „კანტუსასაც“... ქალაქიდან ქალაქში გადაბარგება, გუნდის გამოცვლა ყოველთვის რთულია. მით უმეტეს მაშინ, როცა გულშემატკივრისგან დიდ სიყვარულს გრძნობ, გუნდთან წლების განმავლობაში კარგად ხარ შეწყობილი და ლიდერის ფუნქციებიც გაკისრია.

**- კვირას „კანტუს“ მატჩს დაესწარი, გუნდის პრეზიდენტის გვერდით იჯექი...**

- მეუღლე იტალიაში მყავდა და მის ჩამოსაყვანად კანტუში ჩავედი. კვირას „დინამო სასარისთან“ მატჩი დაემთხვა და სანახავად მივედი. სასიამოვნოა, რომ „კანტუმ“ გაიმარჯვა, მნიშვნელოვანი თამაში იყო.

**- „გალათასარაის“ სამომავლო მიზნებზე თუ ელაპარაკე ხელმძღვანელობას?**

- სიმართლე ვთქვა, ამ საკითხზე ბევრი არ მისაუბრია. გუნდში სათამაშოდ გადმოვედი და იმედი მაქვს, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში სათანადოდ დავეხმარები.

**- უკვე ორი მატჩის ჩატარება მოასწარი...**

- „გალათასარაი“ „კანტუსგან“ განსხვავებული სისტემით თამაშობს. ასეც რომ არ იყოს, ახალ სისტემასთან სათანადოდ მოსარგებად დროა საჭირო. იმედი მაქვს, მალე შევეჩვევი და თამაშიც გამიადვილდება.

**- გუნდში თუ დაგხვდა კალათბურთელი, რომელთანაც ადრე ნათამაშები გქონდა?**

- ასეთი მხოლოდ ენდერ არსლანია, რომელთანაც სლოვენიის „ოლიმპიაში“ გამოვდიოდი, თუმცა იგი სლოვენიიდან მელევე წავიდა.

**- სტამბოლში როგორ მოეწყვე?**

- ჯერჯერობით სასტუმროში ვარ. საერთოდ კი, აქ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა.

**- ბოლოს „კანტუს“ იტალიელ მწვრთნელ ანდრეა ტრინკიერიზე გკითხავ, რომელიც საბერძნეთის ნაკრების თავკაცად დაინიშნა. ევრობასკეტზე შეხვედრამდე დაემშვიდობე?**

- ასე გამოდის. საქართველო და საბერძნეთი ევროპის ჩემპიონატზე სხვადასხვა ჯგუფებში ითამაშებენ და პირველ ეტაპზე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. ძალიან მინდა, მეორე ეტაპზე საბერძნეთის ნაკრებთან დაპირისპირება. ამით მეც კმაყოფილი ვიქნები და ანდრეა ტრინკიერიც. მანამდე საკლუბო სეზონი მაქვს კარგად ჩასატარებელი.

### ლეგიონის კვირა

# GRAZIE...



განვლილ კვირას იტალიურ მასმედიაში საკალათბურთო გვერდებზე ყველაზე ხშირად **მანუჩარ მარკოიშვილის** სურათს შეხვდებოდით. შუა სეზონში მისი „კანტუდან“ „გალათასარაიში“ გადასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. იტალიელი ჟურნალისტები გულდაწყვეტით წერდნენ, ქომაგებიც შეწუხდნენ, მაგრამ მადლობის სიტყვებს არ იშურებდნენ.

შაბათს მანუმ „გალათსარაის“ მაისურით თურქეთის ჩემპიონატში ითამაშა და მეორე დღეს იტალიაში გადავიდა, რათა ბარგი ჩაელაგებინა და საბოლოოდ სტამბოლში გადაცხოვრებულიყო. კვირას იგი ლომბარდიაში „კანტუ“-“დინამო სასარის“ შეხვედრას დაესწრო და კანტუელთა პრეზიდენტის, **ანა კრემასკოლის** გვერდით, ტრიბუნის საპატიო ადგილიდან ადევნებდა შეხვედრას თვალს. მატჩის დასრულების შემდეგ მარკოიშვილი თბილად გამოემშვიდობა კანტუელ ქომაგებს.

■ ■ ■

კვირასვე, უფრო გვიან, სიენაში „მონტეპასკიმ“ „ვარეზეს“ უმასპინძლა და ლოგიკური შედეგი დააფიქსირა (იხილეთ ცხრილში). **ვიქტორ სანიკიძემ** გამარჯვებულებს 10 ქულა შესძინა, რომელთა აბსოლუტური უმეტესობაც მეორე პერიოდში მოაგროვა.

ამ მოგებით „მონტეპასკიმ“ სატურნირო ცხრილში „კანტუს“ გაასწრო. სიენელებს 14 გამარჯვება აქვთ და მე-3 ადგილზე არიან, კანტუელებს - 13. პირველადგილოსან „ვარეზეს“ 15 მოგება უწერია.

■ ■ ■

იტალიის ჩემპიონატის რიგით მესამე ლიგაში ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს **ნიკა მეტრეველის** „ომენა“, რომელმაც ამჯერად „ფერინზე“ სტუმრად დაამარცხა.

წარმატებაში დიდი წვლილი ქართველმა ფორვარდმა შეიტანა, რომელმაც 11-დან 6 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო და 17 ქულას მოუყარა თავი.

12 მოგებით (8 წაგება) „ომენა“ ცხრილში მესამე პოზიციაზეა და ორი გამარჯვებით ჩამორჩება მეორეადგილოსან „მატერას“.

■ ■ ■

გუშინ, თბილისის დროით 21 საათზე, საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ **გიორგი შერმადინისთვის** ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი დაიწყო. გიორგის „ოლიმპიაკოსი“ მისსავე ყოფილ კლუბ „პანათინაიკოსს“ დაუპირისპირდა.

პირეოსელებმა გაიმარჯვეს თუ ათენელებმა და როგორ ითამაშა შერმადინმა, ამის შესახებ ცხრილის შესაბამისი გრაფა „გესაუბრებათ“.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 30.01 | NBA | VS ტორონტო | 93:92 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 2.02 | NBA | VS ჩიკაგო | 76:93 | არ უთამაშია | | | | | |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 28.01 | NBA | VS ორლანდო | 97:77 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 30.01 | NBA | VS მაიამი | 85:105 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 1.02 | NBA | VS ჩიკაგო | 93:89 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 30.01 | ევროთასი | ულმი VS | 91:70 | 22 | 8 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 3.02 | თურქეთის ჩემპ. | ალიაღა VS | 77:78 | 14 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 31.01 | ევროლიგა | ბარსელონა (ესპ) VS | 86:66 | 14 | 2 | 4 | 0 | 2 | 0 |
| | | 3.02 | იტალიის ჩემპ. | VS ვარეზე | 89:75 | 24 | 10 | 4 | 1 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 3.02 | იტალიის ჩემპ. | ფერინზე VS | 72:81 | 24 | 17 | 8 | 0 | 2 | 2 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 31.01 | ევროლიგა | VS ფენერბაჰჩე (თურ) | 82:71 | 17 | 8 | 3 | 1 | 1 | 0 |
| | | 4.02 | საბერძნეთის ჩემპ. | VS პანათინაიკოსი | 72:67 | 5 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 30.01 | ევროთასი | ბუდუჩნოსტი (ჩერ) VS | 75:77 | 32 | 12 | 2 | 7 | 2 | 0 |
| | | 3.02 | უკრაინის ჩემპ | VS კიევი | 72:62 | 26 | 5 | 1 | 5 | 1 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 30.01 | ევროთასი | ლოკომოტივი (რუს) VS | 83:72 | 9 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 |
| | | 3:02 | ესპანეთის ჩემპ. | კანარია VS | 77:68 | 6 | 5 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტეღლალი (ირანი) | 24.12 | ირანის ჩემპ. | VS პეტროჩიმი | 63:82 | 27 | 18 | 7 | 2 | 1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# შავ ეშმაკებს ლუზიტანელი მგლები შეცვლიან

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელი გათამაშება, რომელიც იმავდროულად 2015 წელს გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, მძიმედ დაიწყო. „ბორჯღალოსნებმა" სტუმრად, ბრიუსელში, ბელგიის ნაკრები გაჭირვებით დაამარცხეს - 17:13.

ცხადია, არავინ ელოდა ჩვენს ნაკრებს ბელგიაში ამდენი სირთულე თუ შეექმნებოდა. ამიტომ, იმის გასარკვევად - ბრიუსელური ბრძოლა დროებითი ჩავარდნა იყო თუ გუნდის რეგრესი, მომავალ უქმეებს უნდა დაველოდოთ. საქართველოს ნაკრები შაბათს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კარგად ნაცნობ პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

ბელგიელებთან მატჩის დასაწყისში ატეხილი გუნდური ჩხუბის გამო, არბიტრმა ჩვენი შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი** გააძევა. FIRA AER-ის სადისციპლინო კომიტეტმა ინციდენტის შესახებ იმსჯელა და მას ათდღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შესაბამისად, ქუბრიაშვილი პორტუგალიის ნაკრებთან თამაშს ვერ შეძლებს.

ნაკრების რიგები დატოვა და კლუბს დაუბრუნდა პირველხაზელი **ლევან ჩილაჩავა** („ტულონი"). მათ ნაცვლად საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა დავით ზირაქაშვილს** და **ირაკლი მირცხულავას** უხმო.

ზირაქაშვილის შესახებ არაფერს ვიტყვით - ის დიდი ხანია „ბორჯღალოსნების" ერთ-ერთი ლიდერია და პორტუგალიასთან დაპირისპირებაში ჩვენს შერკინებას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. მირცხულავა კი საქართველოს A ნაკრების წევრია და შარშან ერთა თასის გათამაშებაში ეროვნული ნაკრების კვართიც მოირგო.

საგულისხმოა, რომ მატჩის შემდეგ, ბელგიური საინფორმაციო საშუალებები თამაშის ხარისხს და მათი გუნდისთვის ამ შეხვედრის მნიშვნელობას, ფაქტობრივად, არ განიხილავენ. იქაური მედია ძირითად აქცენტს თამაშის დასაწყისში მომხდარ გუნდურ ჩხუბზე აკეთებს. არადა, „შავ ეშმაკებს" ქართველმა მორაგბეებმა მუშტი-კრივშიც აჯობეს. ბელგიელებს, ფაქტობრივად, არც უჩხუბიათ, ძირითადად სახეზე ხელებს იფარებდნენ.

საქართველოს ნაკრები ბრიუსელიდან გუშინ გამთენიისას დაბრუნდა და დღეს, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" 16 საათიდან ღია ვარჯიშს გამართავს. „ბორჯღალოსნების" მომავალი მეტოქე ბელგიის ნაკრებზე ბევრად გამოცდილი და ძლიერიცაა, ამიტომ, სავარაუდოდ, „ლობუშებთან" უშელავათო ბრძოლა გველის.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე გამართულ ერთა თასის პირველ ტურში პორტუგალიელებმა ლისაბონში რუმინეთის ნაკრებთან წააგეს 13:19 და მსოფლიოს კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაქვეითდნენ.

სარეიტინგო ცვლილება არ შეხებია საქართველოს ნაკრებს. „ბორჯღალოსნები" 66,59 ქულით ისევ მე-17 ადგილზე არიან.



### მსოფლიოს კლასიფიკაცია

1. ახალი ზელანდია - 90,08 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 86,94 3. ავსტრალია - 86,87 4. ინგლისი - 83,90 5. საფრანგეთი - 83,49 6. ირლანდია - 81,33 7. სამოა - 78,71 8. არგენტინა - 78,71 9. იტალია - 77,82 10. უელსი - 77,27 11. ტონგა - 76,10. 12. შოტლანდია - 75,83 13. ფიჯი - 71,52 14. კანადა - 71,41 15. იაპონია - 70,09 16. აშშ - 68,32 17. საქართველო - 66,59 18. რუმინეთი - 63,17 19. რუსეთი - 62,35 20. ესპანეთი - 62,23 21. ბელგია - 59,67 22. ურუგვაი - 59,37 23. პორტუგალია - 58,58

### საქართველო

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ირაკლი მირცხულავა (ტაბი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).

**№15:** ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

### პორტუგალია

**შერკინება:** ფრანსისშკუ ფერნანდესი, ჟოაო კორეია, ჟიან მურე, დავიდ რიესი, გონსალო უვა, ჟაკ ლე რუ, ჟუან სოუსა, ჟუან სევერინო, ლიონელ კამპერო, ჟორჟე სეგურადო, ტონი მარტინსი, ტიაგუ ჟირაუ, ვაშკუ უვა,

**უკანა ხაზი:** ნუნო კოსტა, ადერიტო ეტევეში, ფედერიკო ოლივეირა, კარლ მურეი, გონსალო ფორო, პედრო ლეალი, ფრანსიშკუ მაგალიაეში, ლორან ბელანჟე, ფრანსისკო აპელტონი, ჯოზე ლიმა.

**მსაჯი:** ვენსან ბლასკო (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +6 | 4 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 6. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 |

### II ტური. 9 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

ექვსი ერი



# გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ნაზავი

ახლა, როცა ექვსი ერის პირველი ტურის მატჩებით გამოწვეული ვნებათაღელვა ჩაცხრა, შეიძლება ცივი გონებით გავაანალიზოთ გასული ბატალიები და იქიდან საუკეთესო მოთამაშეები შევარჩიოთ.

ექვსი ერის პირველი ტურის სიმბოლური ნაკრების საკუთარი ვერსია ტრადიციულად შემოგვთავაზა სარაგბო ვებგვერდმა PLANETRUGBY-მ, რომელშიც ფრანგი მორაგბეები ვერ მოხვდნენ (რაც სულ არ არის გასაკვირი). „ლე ბლო" იმდენად უნიათოდ გამოიყურებოდა რომში „სტადიო ოლიმპიკოზე", რომ მის ფავორიტობას ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა. შინ დაბრუნებულ ფრანგთა გუნდს ადგილობრივი პრესის კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. ყველაზე დაბალი შეფასება ახალმა კაპიტანმა **პასკალ პაპემ**, შერკინების კვაჭმა **დიმიტრი სყარჟევსკიმ** და შუამარბმა **მაქსიმ მერმოსმა** მიიღეს.

სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, ხუთი მორაგბე ირლანდიის ნაკრებიდან მოხვდა, ოთხ-ოთხი მოთამაშე მიავლინეს იტალიისა და ინგლისის ნაკრებებმა, თითოთითო კი უელსელი და შოტლანდიელია.

მოწინავეთა რიგებში გამორჩეულებად კი შეიძლება მივიჩნიოთ ირლანდიის ნაკრების ვეტერანი ლიდერი **ბრაიან ოდრისკოლი**, ინგლისის ნაკრების დებიუტანტი, შუამარბი **ბილი თველვეტრისი**, „სკუადრა აძურას" მგეზავი **ლუჩანო ორკუერა**, შოტლანდიის ნაკრების ფულბეკი **სტიუარტ ჰოგი** და იტალიის ნაკრების არგენტინული წარმოშობის შერკინების შემკვრელი **სერჯო პარისე**.

ოდრისკოლი, როგორც ყოველთვის, „სამყურების" შეტევების სულისჩამდგმელი იყო. მისი შემართება თანაგუნდელებსაც გადაეცათ და ირლანდიის ნაკრებმა ბოლო წლებში თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. ორდისკოლიმ ერთი ლელო თანაგუნდელს გაატანინა, ერთიც თვითონ მიითვალა და ყველას დაანახვა, რომ რაგბიდან მისი წასვლა ჯერ ადრეა. საინტერესოა, როგორ გამოიჩენს თავს დიდი ბრაიანი შემდეგი ტურის მატჩში ინგლისის ნაკრებთან.

როგორც ჩანს, ინგლისელთა თავკაცს, **სტიუარტ ლანკასტერს** ყოველთვის უნდა ვენდოთ. მან იპოვა ზუსტად ისეთი შუამარბი, როგორიც „პომებს" დიდი ხანია არ ჰყოლიათ. ხოლო ახალგაზრდა ბილი თველვეტრისს მსგავსი დებიუტი, მსოფლიო დონის თითოოროლა ვარსკვლავს თუ ჰქონია. ის დიდებული იყო თამაშის ყველა ასპექტში.

სერჯო პარისე იტალიის ნაკრების თილისმაა. ამჯერად, ის მარტო არ იყო მეტოქესთან ბრძოლაში. თანაგუნდელებმა კაპიტანს მხარი აუბეს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ნაკრებმა ისტორიაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. სერჯოს პირველმა ლელომ „სკუადრა აძურას" ფრთები შეასხა. ამასთან, მან დიდი მოცულობის შავი სამუშაოც შეასრულა.

სტიუარტ ჰოგი „ნარშავების" შემადგენლობაში გამორჩეული ფიგურა იყო. მისი 50-მეტრიანი დიდოსტატური დრიბლინგი არასდროს დაავიწყდებათ იმ დღეს „თვიქნემზე" მისულ ქომაგებს. ჰოგს „ბრიტანელი ლომების" რიგებში მიწვევის შანსი გაუჩნდა. ამ გუნდს ივნისში ავსტრალიაში აქვს ტურნე.

**დიეგო დომინგესის** შემდეგ იტალიის ნაკრებს ასეთი გაწონასწორებული, სწორად მოაზროვნე და ტექნიკურად შესანიშნავად აღჭურვილი მგეზავი არასდროს ჰყოლია. ლუჩანო ორკუერა „სკუადრა აძურასთვის" ნამდვილი ხსნაა.

საერთო ჯამში სიმბოლური ნაკრები გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ნაზავი გამოვიდა, რაც სრულიად ბუნებრივია. გამორიცხული არ არის, მეორე ტურში, რომელიც მომავალ უქმეებზე გაიმართება, კიდევ რამდენიმე აღმოჩენა გავაკეთოთ.

### სიმბოლური ნაკრები

15. სტიურატ ჰოგი (შოტლანდია), 14. საიმონ ზებო, 13. ბრაიან ოდრისკოლი (ორივე-ირლანდია), 12. ბილი თველვეტრისი, 11. მაიკ ბრაუნი (ორივე-ინგლისი), 10. ლუჩანო ორკუერა (იტალია), 9. ბენ იანგ ზი (ინგლისი). 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი (ორივე-ირლანდია), 3. მარტინ კასტორჯოვანი (იტალია), 4. ენდრიუ კუმბსი (უელსი), 5. ჯო ლანჩბერი (ინგლისი), 6. ალესანდრო ძანი (იტალია), 7. შონ ობრაიანი (ირლანდია), 8. სერჯო პარისე (იტალია).

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველში თითქმის ყველაფერი გარკვეულია... უმაღლესში?

განახლდა საქართველოს ჩემპიონატი პირველ ლიგაში. შეგახსენებთ, რომ აქ ტურნირი დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში მიმდინარეობს. აღმოსავლეთში ფინალურ ოთხეულში გასასვლელად ცხრა გუნდი უბრძვის, დასავლეთში - ექვსი. დასკვნით სტადიაზე ორ-ორი საუკეთესო ორ წრედ ითამაშებს და პირველ-მეორე ადგილზე გასულები უმაღლეს ლიგაში ორ აუტსაიდერს გადასასვლელ მატჩებში დაუპირისპირდებიან.

აღმოსავლეთ ზონაში მე-13 ტურის მატჩები გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ტურის ოთხი თამაშიდან ოთხივეში სტუმრებმა გაიმარჯვეს. გათამაშების ლიდერმა „თიბისიმ" სამოყვარულო კლუბი თბილისის „დევები" დაამარცხა დიდი ანგარიშით - 70:0. „თიბისის", რომელიც დღემდე დაუმარცხებლად ასპარეზობს, ამ გამარჯვების შემდეგ 52 ქულა დაუგროვდა და უახლოეს მდევარს, პატარძეულის „ვეფხვებს" 12 ქულით უსწრებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიდერს პირველობას ვერავინ შეეცილება.

დასავლეთ ზონაში ექვსი ტურის შემდეგ 29 ქულით ქუთაისის „ბაგრატი" ლიდერობს, რომელმაც სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „მარტვილი" - 52:7. ქუთათურებს შვიდი ქულით ჩამორჩება ფოთის „რაინდები", რომელმაც ასევე სტუმრად შეძლო უშუალო კონკურენტთან, ბათუმის „დელფინებთან" მოგება - 14:12. „დელფინები" ფოთურ გუნდს ახლა ხუთი ქულით ჩამორჩება. ფინალურ ოთხეულში გამსვლელთა ვინაობა, სავარაუდოდ, სწორედ ამ სამეულის დავაში გაირკვევა.

### I ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

### XIII ტური

დევები-თიბისი 0:70, მგელები-ვეფხვები 7:94, დინამო-ხულიგანა 7:13, ტორნადო-უნივერსიტეტი 7:10

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. თიბისი - 52 ქულა 2. ვეფხვები - 39, 3. ხულიგანა - 38, 4. ივერია - 32, 5. დინამო - 30, 6. მგლები - 23, 7. ტორნადო - 15, 8. დევები - 15, 9. უნივერსიტეტი - 6.

**XIV ტური.** მგლები-დევები, ხულიგანა-ივერია, უნივერსიტეტი-ვეფხვები, თიბისი-დინამო.

### დასავლეთი ზონა

### VI ტური

მარტვილი-ბაგრატი 7:52, დელფინები-რაინდები 12:14, ჯრუჭი-არწივები 10:20.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბაგრატი - 29 ქულა, 2. რაინდები - 22, 3. დელფინები - 17, 4. არწივები - 14, 5. ჯრუჭი - 4, 6. მარტვილი - 1.

**VII ტური.** რაინდები-მარტვილი, ჯრუჭი-დელფინები, არწივები-ბაგრატი.

## კალენდარი დადგინდა

ამასობაში, დამტკიცდა უმაღლესი ლიგის საგაზაფხულო ეტაპის კალენდარი. ჩემპიონატის მე-13 ტურის მატჩები 16 თებერვალს განახლდება. მეორე ეტაპის პირველივე დღეს ორი ცენტრალური მატჩი გაიმართება. გათამაშების ლიდერი თბილისის „ლელო" მეორეადგილოსანს, საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელს, „არმიას" დაუპირისპირდება.

ორივე გუნდი ჩემპიონატის განახლებას დანაკარგით ხვდება. ლელოელთა რიგებში დისკვალიფიკაციის გამო არ ითამაშებს შერკინების ბურჯი **მიხეილ სუჯაშვილი,** რომელიც ამ გუნდისთვის უდიდესი ძალაა და მის გარეშე, ჩემპიონატის ლიდერის მორკინალთა მარგი ქმედების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ორი მორაგბე დააკლდა „არმიას". ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე და** პირველხაზელი **გიორგი ხოსიტაშვილი** რუმინეთის ჩემპიონ „ტიმიშოარაში" გადაბარგდნენ. არმიელები ამჟამად თურქეთში იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც რუსეთის ჩემპიონთან, კრასნოიარსკის „ენისეისთან" ორ საწვრთნელ მატჩს გამართავენ. „ლელო" კი თბილისში ემზადება.

მეორე, საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება ქუთაისში გაიმართება, სადაც ტრადიციული მეტოქეები - „აია" და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" ითამაშებენ. ამ გუნდების შემადგენლობაში სერიოზული ცვლილება არ მომხდარა. ორივემ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე დაიმატა, რომლებიც თავიანთი სკოლის აღზრდილები არიან.

რკინიგზელებს ტრავმის გამო დააკლდებათ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი.** ქუთაისელთა რიგებში კი, შესაძლოა, ვერ ითამაშოს გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ,** რომელმაც ზამთრის არდადეგებზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

### უმაღლესი ლიგა

**XIII ტური. 16 თებერვალი.** ჯიქები-აკადემია, არმაზი-ბათუმი, ხარები-ყოჩები, ლელო-არმია, ლოკომოტივი-აია.

**XIV ტური. 24 თებერვალი.** აკადემია-ყოჩები, არმია-არმაზი, ჯიქები-ლოკომოტივი, აია-ლელო, ბათუმი-ხარები.

**XV ტური. 2 მარტი.** ყოჩები-ჯიქები, არმაზი-აია, აკადემია-ბათუმი, ლელო-ლოკომოტივი, ხარები-არმია.

**XVI ტური. 23 მარტი.** არმია-აკადემია, აია-ხარები, ბათუმი-ყოჩები, არმაზი-ლოკომოტივი, ჯიქები-ლელო.

**XVII ტური. 30 მარტი.** აკადემია-აია, ჯიქები-ბათუმი, ყოჩები-არმია, ხარები-ლოკომოტივი, ლელო-არმაზი.

**XVIII ტური. 6 აპრილი.** აია-ყოჩები, ლოკომოტივი-აკადემია, არმაზი-ჯიქები, ხარები-ლელო, ბათუმი-არმია.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ლელო - 52 ქულა, 2. არმია - 50, 3. აია - 40, 4. არმაზი - 38, 5. ლოკომოტივი - 27, 6. ჯიქები - 26, 7. ხარები - 16, 8. ბათუმი - 14, 9. აკადემია - 14, 10. ყოჩები - 7.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ოთხი წლის შემდეგ

დევისის თასის პარალელურად, გასულ კვირას ქალები WTA-ის ორ ტურნირში არკვევდნენ ურთიერთობას.

პატაიასა და პარიზში ელიტის მოთამაშეები არ ჩასულან, მაგრამ ორივე ტურნირის შემადგენლობა ნორმალური იყო. მაგალითად, ტაილანდში განთესილთა სიას მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ანა ივანოვიჩი** ჩაუდგა სათავეში. სერბმა კარგად დაიწყო ახალი სეზონი – სამ-სამი მატჩი მოიგო ჰოპმანის თასზე და ავსტრალიის ღიაზე, მაგრამ პატაიაში პირველივე შეხვედრა დათმო - იაპონელ **აიუმი მორიტასთან**. საინტერესოა, რომ ეს მატჩი სამშაბათს დაიწყო და ხუთშაბათს დასრულდა, რისი მიზეზიც ცუდი ამინდი იყო. ამიტომაც აირია გრაფიკი და ზოგიერთ ჩოგბურთელს ერთ დღეს ორი მატჩის ჩატარებამ მოუწია.

საბოლოოდ, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** და რუსმა **მარია კირილენკომ**. ეს უკანასკნელი შარშანაც თამაშობდა გადამწყვეტ მატჩში და დამარცხდა სლოვაკ **დანიელა ჰაანტუხოვასთან**. საერთოდ, კირილენკოს ბოლო ოთხი წელი ტურნირი არ ჰქონდა მოგებული და ამ დროის განმავლობაში WTA-ის ოთხი ფინალი წააგო.

რუსისთვის ეს ფინალიც ცუდად დაიწყო. კირილენკომ თითქოს მოიპოვა ინიციატივა, მაგრამ ორგეიმიანი უპირატესობის შემდეგ, ინციატივა მეტოქეს გადაულოცა და ანგარიში გათანაბრდა – 3:3. ამის შემდეგ, ჩოგბურთელები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიდიოდა, მაგრამ ბოლო გეიმში რუსი ჩავარდა და მეტოქეს სეტი დაუთმო.

მეორე პარტიის დასაწყისში ლისიცკიმ ბრეიკის კარგი შანსი მიილო, მაგრამ ვერ გამოიყენა, რამაც კირილენკოს დამაჯერებლობა შესძინა. ლისიცკის ვარდნა კი ცხრა გეიმის განმავლობაში გაგრძელდა - მან საკუთარი გეიმი მხოლოდ მაშინ აილო, როცა მესამე სეტში ანგარიში 0:3 იყო. შემდეგ გერმანელმა ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ კირილენკოს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა მატჩი ყოველგვარი ნერვული დაძაბულობის გარეშე მიეყვანა გამარჯვებამდე – 5:2-ზე ორი მატჩბოლი მიილო მეტოქის მოწოდებაზე, შემდეგ გეიმში კი 30:15-ს იგებდა. მაგრამ მარიამ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. უფრო მეტიც, გერმანელმა კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და თავად გავიდა მატჩზე ჩასაწოდებლად. კირილენკომ მაქსიმალური კონცენტრაცია მოიკრიბა და "მშრალი" ანგარიშით აილო ბრეიკი, შემდეგ კი დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე ტაი-ბრეიკზე – 5:7, 6:1, 7:6(1). ამ მოგებით, კირილენკომ WTA-ის რეიტინგში მეთხუთმეტედან მეცამეტე ადგილზე გადაინაცვლა.

■ ■ ■

პარიზის ტურნირზე მთავარი ვარსკვლავები იყვნენ **სარა ერანი** და **პეტრა კვიტოვა**. ჩეხი კვლავაც დაკარგული ფორმის ძიებაშია, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მან ორ სეტში წააგო მეოთხედფინალი **კრისტინა მლადენოვიჩთან**.

ერანი კი გაცილებით წარმატებული იყო. თუმცა ფინალამდე მისაღწევად იტალიელს მხოლოდ ერთი სრულფასოვანი მატჩის ჩატარება დასჭირდა. პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში 0:4-ის შემდეგ თამაში აღარ გააგრძელა **მაგდალენა რიბარიკოვამ**, მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილმა დაძაბული სამსეტიანი შეხვედრა ჩაატარა **კარლა სუარეს-ნავაროსთან**, ნახევარფინალში კი **კიკი ბერტენსმა** ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და თამაში მიატოვა.

ფინალში სარა შეხვდა **მონა ბარტელს**, რომელმაც გადამწყვეტ მატჩამდე მოუგო წყვილებში ერანის პარტნიორს - **რობერტა ვინჩის**, აგრეთვე ადგილობრივი პუბლიკის იმედს **მარიონ ბარტოლის**. ფინალური მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, მაგრამ გერმანელმა ორ სეტში მოახერხა მოგება. პირველში სარას ბრეიკ-პოინტების ცუდი რეალიზაცია ჰქონდა (შვიდიდან ერთი), მეორეში კი მონამ 5:2-ზე ორჯერ მატჩზე ვერ ჩააწოდა და ტაი-ბრეიკის თამაში დასჭირდა, რომელიც უკეთ ჩაატარა – 7:5, 7:6(4).

**PTT Pattaya Open**

**ფინალი**

**მარია კირილენკო (რუს, 2)**-საბინა ლისიცკი (გერ, 5) 5:7, 6:1, 7:6(1).

**Open GDF Guez**

**ფინალი**

**მონა ბარტელი (გერ)**-სარა ერანი (იტა, 1) 7:5, 7:6(4).



მონა ბარტელი

ტრამპლინიდან ხტომა

# არის რეკორდი!

ისტორიული მოვლენა მოხდა ჩეხეთის ქალაქ გარახოვში, სადაც ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გაიმართა.

ორდღიანი შეჯიბრება მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელის - ავსტრიელი **გრეგორ შლირენცაუერის** ტრიუმფით დასრულდა. მან ორივე სტარტი პირველ ადგილზე დაასრულა და მსოფლიოს თასზე თავისი გამარჯვებების რიცხვი 47-მდე აიყვანა. ეს კი სპორტის ამ სახეობის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდია.

აქამდე რეკორდის მფლობელი იყო ლეგენდარული ფინელი **მატი ნიუკანენი**, რომელსაც 46 ეტაპი ჰქონდა მოგებული.

მორიგი წარმატებების შემდეგ, შლირენცაუერმა განიმტკიცა უპირატესობა მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში. ახლა მას 1200 ქულა აქვს და 443 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ნორვეგიელ **ანდერს ბარდალს**.


გრეგორ შლირენცაუერი

დევისის თასი




# კანადამ ისტორია შექმნა

ესპანეთის ნაკრების დამარცხებით, კანადა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა მეოთხედფინალში, პირენეელთა დამრიგებელ ალექს კორეჩას კი ეს წაგება პოსტის დატოვებად დაუჯდა. მას, სავარაუდოდ, კარლოს მოია ან ხუან კარლოს ფერერო შეცვლის...

**კანადა–ესპანეთი 3:2**

ერთეულებში პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ, კანადელებს შეეძლოთ ყველაფერი შაბათს დაესრულებინათ, მაგრამ **დანიელ ნესტორისა** და **ვაჩეკ პოსპიშილის** დუეტმა ხუთ პარტიაში წააგო შემაჯამებელი ტურნირის ჩემპიონთან - **მარსელ გრანოლერსისა** და **მარკ ლოპესის** წყვილთან. თუმცა ეს ვერ იმოქმედებდა მატჩის საბოლოო შედეგზე - **რაფაელ ნადალის, დავიდ ფერერისა** და **ნიკოლას ალმაგროს** გარეშე დარჩენილი ესპანეთი მზად არ იყო სწრაფ ჰარდზე კანადის ნაკრების წინააღმდეგ საბრძოლველად. კვირას ეს **მილოშ რაონიჩმა** დაადასტურა, როცა სამ სეტში გაუსწორდა **გილერმო გარსია-ლოპესს**. ასე გამოეთიშა ტურნირს შარშანდელი გათამაშების ფინალისტი და ახლა, პირველად ბოლო შვიდ წელიწადში, პლეი ოფში თამაში მოუწევს. კანადამ კი, სხვათა შორის, ისტორიულ შედეგს მიაღწია - აქამდე ეს გუნდი მსოფლიოს ჯგუფის მეოთხედფინალში არასოდეს გასულა.

**იტალია–ხორვატია 3:2**

კანადისგან განსხვავებით, იტალიას არა მხოლოდ მეოთხედფინალში უთამაშია, არამედ დევისის თასიც მოუპოვებია (1976 წელს), მაგრამ ბოლო დროს, აპენინელები იშვიათად ახარებდნენ თავიანთ გულშემატკივრებს. 1998 წელს, იტალიამ ფინალში გააღწია და მას შემდეგ მსოფლიო ჯგუფში არც ერთი (!) თამაში არ მოუგია. უფრო მეტიც, ელიტიდან 2000 წელს გავარდნის შემდეგ, იქ მხოლოდ 2012 წელს დაბრუნდა.

ასე რომ, შაბათს, წყვილთა მატჩის მოგების შემდეგ, იტალიას ერთი ნაბიჯი აკლდა პირველ მეოთხედფინალამდე ბოლო 15 წლის განმავლობაში. **ანდრეას სეპიმ** სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ხორვატთა ლიდერ **მარინ ჩილიჩს**, ამიტომაც, ყველაფერი მეხუთე მატჩში წყდებოდა. საინტერესო, მაგრამ არასტაბილური **ფაბიო ფონინი** ვერ გაუმკლავდა პირველი პარტიის მღელვარებას, მაგრამ შემდეგ გონს მოეგო და დაამარცხა **ივან დოდიგი**, რომელიც ხორვატთა სუსტი წერტილი აღმოჩნდა - მან ორივე ერთეულთა მატჩი წააგო. საინტერესოა, რომ ფონინი პარასკევის მატჩებში არ იყო შეყვანილი განაცხადში, მაგრამ ბოლო მომენტში გაცვალა **პაოლო ლორენცი** და გადამწყვეტი ქულა იტალიას სწორედ ფაბიომ მოუტანა. ახლა, აპრილის დასაწყისში იტალია სტუმრად ითამაშებს მეოთხედფინალს კანადის წინააღმდეგ.

**ბელგია–სერბეთი 2:3**

ამ წყვილში ყველაფერი შაბათს გადაწყდა. ნაკრებში დაბრუნებულმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** (მას ტრიუმფალური 2010 წლის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა დევისის თასის მატჩებში) სერბეთს სამიდან ერთი ქულა მოუტანა. ასევე მოიგო **ვიქტორ ტროიცკიმ** და მანვე **ნენად ზიმონჯიჩთან** წყვილშიც იმარჯვა. შედეგად, კვირას კორტზე ვიხილეთ **ბორის პაშანსკი** და ზიმონჯიჩი, რომელიც ერთეულებში პრაქტიკულად არ თამაშობს. მათ წააგეს თავიანთი შეხვედრები, მაგრამ ამას სერბეთის განწყობაზე არ უმოქმედია.

**აშშ–ბრაზილია 3:2**

ისე ჩანდა, რომ აშშ-ს არანაირი პრობლემა არ უნდა შექმნოდა, მით უმეტეს, პირველი დღის შემდეგ, როცა **ჯონ ისნერმა** და **სემ კუერიმ** დამაჯერებლად მოიგეს ერთეულთა მატჩები. მაგრამ შაბათს, ძმებმა **ბრაიანებმა** ვერ დასვეს წერტილი მატჩში - **მარსელო მელომ** და **ბრუნო სოარეშმა** მოულოდნელად მოიგეს წყვილების შეხვედრა. კვირას, მასპინძლები კატასტროფის ზღვარზე აღმოჩდნენ: ტრავმისგან ახლადმომჯობინებულმა ისნერმა ხუთ სეტში წააგო **ტომაშ ბელუჩისთან**, ასე რომ, კუერის გადამწყვეტი თამაშის ჩატარება მოუწია. **ტიაგუ ალვეშმა** მოუგო მას პირველი სეტი, მაგრამ ამის შემდეგ, ამერიკელმა შეძლო გარდატეხის შეტანა. მართალია, მეოთხე სეტში მან მატჩზე ვერ მოაწოდა, მაგრამ ტაიბრეიკზე მოიგო. ამერიკა მეოთხედფინალსაც თავის მოედანზე ითამაშებს – ის სერბეთს მიიღებს შინ.

**საფრანგეთი–ისრაელი 5:0**

ამ დაპირისპირების შესახებ ბევრი არაფერია მოსაყოლი. წყვილთა მატჩის შემდეგ, საფრანგეთს უკვე მოპოვებული ჰქონდა მეოთხედფინალის საგზური, ამიტომაც კვირის მატჩებს ფორმალური ხასიათი ჰქონდათ: საჩვენებელ გამოსვლებში **მიკაელ ლოდრამ ნოამ ოკუნს** მოუგო, **რიშარ გასკე** კი **ამირ ვაინტრაუბს** გაუსწორდა.

**არგენტინა–გერმანია 5:0**

აქაც, არგენტინამ წერტილი მეოთხედფინალს შაბათს დაუსვა, როცა **ორასიო სებალიოსმა** და **დავიდ ნალბანდიანმა** მოიგეს წყვილთა მატჩი. სხვათა შორის, ნალბანდიანმა შარშანდელი აგვისტოს შემდეგ პირველად ითამაშა ოფიციალური მატჩი. დავიდი სპეციალურად ემზადებოდა დევისის თასის მატჩისთვის და სხვათა შორის, კინაღამ გამოტოვა ის იანვრის შუაში მარჯვენა ფეხზე მიღებული ტრავმის გამო.

არგენტინელებს ძალიან დაეხმარათ სტუმრების ლიდერის - **ფილიპ კოლშრაიბერის** ტრავმა. გერმანელი იძულებული გახდა შეეწყვიტა შეხვედრა მაშინ, როცა **კარლოს ბერლოკს** გადამწყვეტ სეტს 5:4-ს უგებდა. კოლშრაიბერი სტუმრების უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო და მისი დაკარგვით, გერმანიის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი გახდა. კვირას კი ეს შანსი აღარ არსებობდა და აქაც, ორი ფორმალური მატჩი ჩატარდა: **ხუან მონაკომ** და კარლოს ბერლოკმა შესაბამისად **ტობიას კამკესა** და **კრისტოფერ კასს** მოუგეს.

აღვნიშნავთ, რომ არგენტინა საფრანგეთთან მეოთხედფინალს ასევე შინ ჩაატარებს.

**ყაზახეთი–ავსტრია 3:1**

ყაზახეთმა შეძლო ორი წლის წინ მიღწეული შედეგის გამეორება და ისევ გავიდა მეოთხედფინალურ ეტაპზე. მაშინ პირველ რაუნდში ჩეხეთი იქნა დამარცხებული, ახლა კი პლეი ოფში ავსტრიელები გაემგზავრნენ. სტუმრებმა მხოლოდ წყვილთა მატჩში აიღეს ქულა, დანარჩენი სამი ერთეულთა მატჩი კი (მათ შორის ორი **მელცერის** მონაწილეობით) წააგეს. გამარჯვების ქულა მასპინძლებს **ანდრეი გოლუბევმა** მოუტანა, რომელმაც ოთხ სეტში დაამარცხა ავსტრიელთა ლიდერი.

**შვეიცარია–ჩეხეთი 2:3**

**როჯერ ფედერერის** არყოფნით დასუსტებულმა შვეიცარიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მოქმედ ჩემპიონს, მაგრამ მაინც დამარცხდა. დანაკლისი სტუმრებსაც ჰქონდათ - მათ რიგებში არ იყო **რადეკ შტეპანეკი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ხერხემალზე ოპერაცია გადაიტანა. თუმცა შვეიცარიის დასამარცხებლად **ტომაშ ბერდიხის** მონდომებაც საკმარისი აღმოჩნდა. ჩეხების ლიდერმა სამი დღის განმავლობაში კორტზე 13 საათი გაატარა. აქედან 7 საათი წყვილთა მატჩზე მოდის, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა დევისის თასის ისტორიაში.

იმ მარათონის მეორე დღეს, **სტანისლას ვავრინკამ** და ბერდიხმა მაინც შეძლეს კორტზე გასვლა და რთული მატჩი ჩაატარეს. ორი პარტიის განმავლობაში ტომაში ფლობდა ინიციატივას და უკეთ ატარებდა გადამწყვეტ გათამაშებებს, მაგრამ შემდეგ, თამაშის სურათი შეიცვალა - მესამე სეტში თავისი შანსები უკეთ ვავრინკამ გამოიყენა. მეოთხე პარტიაში შვეიცარიელს ჰქონდა მცირე სათამაშო უპირატესობა, მაგრამ ბერდიხმა გადაარჩინა 3:5-დან ტაი-ბრეიკი და თავიდან აიცილა მეხუთე პარტია. ახლა, ჩეხეთი ყაზახეთში გაემგზავრება და შეეცდება 2011 წლის მარცხისთვის რევანშს.

მეოთხედფინალები 5-7 აპრილს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სელტიქსს რონდო არ სჭირდება

როგორც ჩანს, "ბოსტონ სელტიქსს" სწორედ **რაჟონ რონდო** უშლიდა ხელს. "კელტებმა" ძირითადი გამთამაშებლის გარეშე ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს, მათ გუშინდელ მეტოქეს - „კლიპერსს" კი პირიქით, ძალიან აკლია თავიანთი ვარსკვლავური გამთამაშებელი **კრის პოლი**. მის გარეშე კალიფორნიელებმა ძალიან უკლეს თამაშს და "ტორონტოს-თან" გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, "ბოსტონთან" წააგეს, არადა, იყო მოგების შანსი.

"კლიპერსმა" მეოთხე მეოთხედში ძალიან მოინდომა. პირველი ტაიმის შემდეგ, კალიფორნიელები 19 ქულას აგებდნენ, სირენამდე ათი წუთით ადრე კი მათი ჩამორჩენა 16 ქულას უდრიდა. სწორედ ამ დროს ათამაშდნენ სტუმრები ისე, როგორც ამას მისი გულშემატკივრები ითხოვენ. **ბლედსოუმ** და **კროუფორდმა** ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის, მაგრამ სწორედ კროუფორდი დაჯარიმდა შეტევაში 26 წამით ადრე, არადა, იყო ანგარიშის გათანაბრების შანსი. "ბოსტონს" საპასუხო შეტევისთვის 26 წამი რჩებოდა. თითქოს, "კლიპერსს" შეგნებული ჯარიმის ალება მართებდა, მაგრამ ეს არ გააკეთა და როგორც მატჩის შემდეგ **ვინი დელ ნეგრომ** ახსნა, იერიშის მოგერიების შემთხვევაში, მის გუნდს 2-3 წამი უნდა ჰყოფნოდა საკუთარი შეტევისთვის. მაგრამ **პოლ პირსმა** სამქულიანი ჩააგდო და "კლიპერსი" უშანსოდ დატოვა.

■ ■ ■

"ლეიკერსმა" მოუხშირა მოგებებს - ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ გაიმარჯვა, თუმცა ყოველ შეხვედრაში ანერვიულებს თავის გულშემატკივრებს. "დეტროიტთან" მატჩში, კალიფორნიელებმა უკვე ზედიზედ მეოთხედ გაფლანგეს მეორე ტაიმში ორნიშნა უპირატესობა. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ბოლო წამებზე ორიდან ორი საჯარიმო ააცილა **სტივ ნეშმა**. "ლეიკერსი" თითქოს შეგნებულად აგებდა მოგებულ შეხვედრას. ნეშის აცილებამდე იყო ასევე ორი გაფუჭებული საჯარიმო **ირლ კლარკისგან** და **კობი ბრაიანტის** ცუდი სროლა. და მაინც, იღბალი სტუმრების მხარეს იყო, რადგან სირენამდე 3.6 წამით ადრე, **უილ ბაინუმმა** იოლი ტყორცნა ააცილა მიზანს. მაგრამ ლეიკერსელთა ნერვიულობა ამით არ დასრულებულა. სირენამდე ორი წამით ადრე, **ანდრე დრამონდმა** რატომღაც ერთი ხელით სცადა **სინგლერის** პასის დაჭერა და ამის გამო ვერ გახდა მატჩის გმირი. ეს ნერვიულობა შეიძლებოდა არც ყოფილიყო, "ლეიკერსს" მეორე ტაიმში 37-პროცენტიანი სიზუსტით რომ არ ესროლა. თან ბრწყინვალედ ათამაშდა **გრეგ მონრო**, ხოლო მეოთხე მეოთხედში **ჩარლი ვილანუევა** შევიდა თამაშში წარმატებით, 10 ქულა ჩააგდო და შეამცირა 18-ქულიანი ჩამორჩენა.

■ ■ ■

რთული მატჩი ჰქონდა "მაიამი ჰიტს", რომელმაც მხოლოდ უკანასკნელ სამ წუთში გატეხა "ტორონტოს" წინააღმდეგობა. არადა, ამ მატჩამდე ფლორიდელები ზედიზედ 10-ჯერ ამარცხებდნენ კანადურ კლუბს. გუშინ, "რეპტორზმა" ვერ შეძლო "დიდი ტრიოს" შეჩერება. **უეიდმა, ჯეიმსმა** და **ბოშმა** ერთად 81 ქულა მიითვალეს - ოდნავ ნაკლები, ვიდრე მთელმა მასპინძელმა გუნდმა ერთად. პირველ ნახევარში "ჰიტს" თამაში არ მისდიოდა, დიდი შესვენების შემდეგ კი კრის ბოშმა გადაწყვიტა, რომ მშობლიური კლუბის განადგურების დრო დადგა და მესამე მეოთხედში 9 ქულა დააგროვა, მეოთხეში – 12. თუ პირველ ტაიმში ლიდერობა თავის თავზე უეიდმა აიღო, მეორში ის თავის თავს არ ჰგავდა მუხლის დაზიანების გამო, თუმცა 7 ქულა, 3 მოხსნა და 4 პასი მაინც მიითვალა.

**რუდი გეი** ჯერჯერობით კარგად შეეწყო ახალ გუნდს, ყოველ შემთხვევაში, პირველ ორ მატჩში ის ღირსეულად გამოიყურებოდა, თან დაცვაშიც ყოჩაღობდა (ყოველთვის ვერ ნახავთ, როგორ უფარებს რუდი ლებრონს). მაგრამ ექსმემფისელმა და **დეროზანმა** პარტნიორების დახმარების გარეშე ვერ შეძლეს "დიდი ტრიოს" შეჩერება. თან ძალიან რთულია ფლორიდელების დამარცხება, როცა თამაშიდან 37-პროცენტიანი სიზუსტით ისვრი.



ბოსტონი კარგ ხასიათზეა

**ბოსტონი-კლიპერსი 106:104**

**33:30, 26:10, 33:37, 14:27**

ბ: პირსი (22+5 მოხსნა), გრინი (14), ბარბოზა (14), ტერი (13+6 პასი), გარნეტი (12+5 მოხსნა).

კ: ბლედსოუ (23+7 მოხსნა+10 პასი), კროუფორდი (23+6 პასი), გრიფინი (20+11 მოხსნა+5 პასი), ბატლერი (18+5 მოხსნა), ჯორდანი (12+5 მოხსნა).

**დეტროიტი-ლეიკერსი 97:98**

**27:32, 24:30, 21:16, 25:20**

დ: მონრო (20+12 მოხსნა), ბაინუმი (18+10 პასი), სინგლერი (11+6 მოხსნა), ნაითი (10+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ვილანუევა (10), დრამონდი (9+11 მოხსნა+4 დაფარება).

ლ: გასოლი (23+10 მოხსნა), ბრაიანტი (18+5 პასი), კლარკი (17+10 მოხსნა), ნეში (11+5 მოხსნა+10 პასი), ჯეიმისონი (10).

**ტორონტო-მაიამი 85:100**

**21:24, 29:20, 17:27, 18:29**

ტ: გეი (29+3 ჩაჭრა), დეროზანი (27), ლოური (10), გრეი (6+12 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (30+8 მოხსნა+7 პასი), ბოში (28+5 მოხსნა), უეიდი (23+5 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

# აღმოსავლეთის სპოელსტრა გაწვრთნის




ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, „მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** „ყველა ვარსკვლავის მატჩში" აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდს გაუძღვება. შეგახსენებთ, რომ „ოლ სტარი" 17 თებერვალს ჰიუსტონში გაიმართება.

კვირას, „ტორონტოს" დამარცხების შემდეგ, ფლორიდელებმა 44 მატჩში 30-ე გამარჯვება იზეიმეს და 3 თებერვლისთვის პირველი ადგილი დაიბევეს აღმოსავლეთ კონფერენციაში. შარშან, აღმოსავლეთის მწვრთნელი იყო „ჩიკაგოს" თავკაცი **ტომ ტიბოდო**.

უფრო ადრე ცნობილი გახდა, რომ დასავლეთის დამრიგებელი იქნება „სან ანტონიოს" მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი**.

სხვათა შორის, აღმოსავლეთის მწვრთნელად არჩევის შემდეგ სპოელსტრამ განაცხადა, რომ მისი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ტრავმირებულ **რაჟონ რონდოს კრის ბოში** შეცვლის. ასე რომ, აღმოსავლეთის სასტარტოში „მაიამის" სამ კალათბურთელს ვიხილავთ: ბოშს, **ლებრონ ჯეიმსსა** და **დუეინ უეიდს**.

# კლიპერსს გარნეტი უნდა




როგორც ამერიკული პრესა წერს, „ლოს ანჯელეს კლიპერსი" დაინტერესებულია „ბოსტონის" ვეტერანი ფორვარდის **კევინ გარნეტის** გადაბირებით. მოსალოდნელ ტრეიდთან დაკავშირებით კლუბებმა უკვე გამართეს მოლაპარაკებები. კალიფორნიელები „სელტიქსს" გარნეტში გამთამაშებელ **ერიკ ბლედსოუსა** და ფორვარდ **კერონ ბატლერს** სთავაზობენ.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ „ბოსტონის" წარმომადგენლები შეხვდნენ ცენტრ **გრეგ ოდენს** და მასთან კონტრაქტის გაფორმების საკითხი განიხილეს.

*„გვინდოდა გრეგთან დაკავშირება იმის გასაგებად, როგორ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება ის. ოდენი დღეს არ არის მზად სათამაშოდ, მაგრამ მისი ვარიანტი საინტერესოა ჩვენთვის",* - განაცხადა ეინჯმა.

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აუსტრია-სტ. პოლტენი | 2:2 |
| პაკ35-ჰაკა | 0:2 |
| გრიოდიგი-გლორია | 0:0 |
| ჩერნომორეცი-პოდბესკიძე | 0:1 |
| კონკორდია-გუანგჟოუ | 1:4 |
| დინამო (კ)-ოცელული | 1:0 |
| სპარტა-კრასნოდარი | 2:3 |
| დინამო (ბ)-ლეხი | 3:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჯილინგემი-უიკომბი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-ლანჩანო | 1:1 |
| **სერია C1 A** | |
| ზუდტიროლი-ლუმეცანე | 4:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რეალ კასტილია-ალმერია | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-კაიზერი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II ლიგა** | |
| არლი-მონაკო | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი | 3:1 |
| იგლზი-ვეენდამი | 1:1 |
| მაასტრიხტი-ვოლენდამი | 3:4 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ეშტორილი | 0:0 შეწყდა |
| **II დივიზიონი** | |
| ბენფიკა B-მადეირა | 4:1 |
| **საბერძნეთი** | |
| ლევადია-იანინა | 1:1 |
| **კოლუმბია** | |
| იტაგუი-კუკუტა | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| როანი-ლე მანი | 87:89 (ო) |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 93:74 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 72:67 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-ჰაჩეთეფე | 91:61 |

● TV პროგრამა

**5 თებერვალი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ევერტონი-ასტონ ვილა.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. მაინცი-ბაიერნი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ტვენტე-უტრეხტი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. სანტოსი-სან პაულუ.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი - ნიუელსი.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიუკასლი-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პონტე პრეტა-პენაპოლენსე.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-მაიამი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი.
17:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. ჩეხეთი-შვეიცარია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბორუსია (მ).
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-პორტლენდი.
01:15 NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
14:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დენვერი.
16:30 სპორტ-NEWS.
17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
22:30 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 15 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 16 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 14 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 15 | (მზე) |
| ზუგდიდი | 5 | 15 | (მზე) |
| გორი | -4 | 15 | (მზე) |
| თელავი | -1 | 16 | (მზე) |
| სიღნაღი | -2 | 15 | (მზე) |
| გუდაური | -10 | 2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -12 | 4 | (მზე) |
| ბორჯომი | -7 | 11 | (მზე) |
| მესტია | -10 | 6 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2456 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6563 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6032 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5348 |

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პიტსბურგული ჰეთ-თრიკი

ოთხმატჩიანი სათამაშო დღე შედგა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და პირველი ვარსკვლავი გახდა „პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **კრის კუნიტცი**, რომელმაც „ვაშინგტონთან" მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა.

მეორე ვარსკვლავია „ნიუ ჯერსი დევილზის" სათადარიგო მეკარე **იოჰან ჰედბერგი**. მან „აილენდერსის" 22 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი შატაუტი შეასრულა.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავს, ეს სტატუსი ერგო **სტივ ბერნიეს**. „ნიუ ჯერსის" ფორვარდმა ორი გოლი გაიტანა „აილენდერსის" კარში.


კრის კუნიტცი

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 3:6**

**1:2, 1:3, 1:1**

**გოლები:** 0:1 მარტინი-2 (კროსბი-7), 1:1 მაიკ გრინი-2 (ვოლსკი-2, რიბეირო-8), 1:2 კუკი-1 (ენგელანდი-1, ბორტუცო-1), 2:2 ჯ. კარლსონი-1 (ბექსტრიომი-6), 2:3 ლეტანგი-3 (ბ. სატერი-2, კუკი-1), 2:4 კუნიტცი-3 (კროსბი-8, მალკინი-9), 2:5 კუნიტცი-4 (მალკინი-10, ჯ. ნილი-1), 3:5 რიბეირო-2 (ბროუერი-1, ოვეჩკინი-2), 3:6 კუნიტცი-5 (კროსბი-9, ლეტანგი-5).

**მონრეალი-ოტავა 2:1**

**2:1, 0:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 სილფბერბერგი-2 (ვირჩიოკი-4, ტარისი-4), 1:1 დეშარნე-3 (პასიორეტი-5), 2:1 ე. კოული-2 (ბუიონი-4, სუბანი-2).

**ბაფალო-ფლორიდა 3:4**

**2:1, 1:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ვანეკი-8 (პომინვილი-8, ჰოჯსონი-3), 1:1 მატიასი-1 (სმიტსონი-1), 2:1 ჰოჯსონი-5 (ვანეკი-10), 3:1 ზულცერი-2 (ვანეკი-11, ჰოჯსონი-4), 3:2 პაროსი-1 (ვეისი-2), 3:3 მიულერი-4 (მორი-1, კოპეცკი-3), 3:4 ბ. კემპბელი-4 (კოპეცკი-4, ჰაბერდო-3).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 0:3**

**0:0, 0:0, 0:3**

**გოლები:** 0:1 ბერნიე-2 (ენრიკე-1, ე. გრინი-1), 0:2 ბერნიე-3 (რ. კარტერი-3, ს. ჯონტა-3), 0:3 კლარკსონი-5 (ე. გრინი-2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ახალი მერსედესი უკვე გასინჯეს

გერმანულმა საჯინიბო „მერსედესმა“ ზამთრის ტესტების პირველი სერიის დაწყებამდე ერთი დღით ადრე წარადგინა ახალი ბოლიდი. პრეზენტაცია გუშინ, ხერესის ავტოდრომის ტრასაზე შედგა, თუმცა ჟურნალისტებმა ახალი მანქანა უფრო ადრე იხილეს, როცა გერმანელებმა W04 ფოტოების გადასაღებად ტრასაზე გაიყვანეს. საჭესთან **ნიკო როსბერგი** იჯდა, დღის მეორე ნახევარში კი ბოლიდი **ლუის ჰემილტონმა** ჩაიბარა.

გუნდმა წარადგინა არა მხოლოდ ახალი მანქანა, არამედ **ტოტო ვოლფი** Mercedes Motorsport-ის ხელმძღვანელის რანგში, ბრიტანელი პილოტი ლუის ჰემილტონი და ახალი სპონსორი - კომპანია BlackBerry.

ადგილობრივი დროით დაახლოებით 14 საათზე, როსბერგმა და ჰემილტონმა დამცავი შალითა მოაცილეს ბოლიდს. მანქანა ძველ ფერებშია გადაწყვეტილი და შარშანდელი W03-ის განვითარებულ ვერსიას წარმოადგენს. ის **ალდო კოსტასა და ბობ ბელის** მიერ არის შემუშავებული.

მანქანაზე ვხედავთ ახალ ხუთელემენტიან წინა ანტიფრთას, არ შეცვლილა წინა დაკიდების კონსტრუქცია. „ცხვირზე“ საფეხური დეკორატიული საფარით „მოაშორეს“. გუნდი ამტკიცებს, რომ ამ ელემენტის გამოყენებით, „მერსედესმა“ გარკვეული უპირატესობაც კი მიიღო.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, 2013 წლის პელოტონში ერთი ვაკანტური ადგილია დარჩენილი - გასარკვევია „ფორს ინდიას“ მეორე პილოტის ვინაობა. ევროპულ პრესაში წერენ, რომ ამ ადგილზე ოთხი ავტომრბოლი აცხადებს პრეტენზიას: **ჟიულ ბიანკი, ადრიან სუტილი, ბრუნო სენა** და **კამუი კობაიაში**.

*„დღეისთვის გუნდის კარი ნებისმიერისთვის ღიაა,* - ამბობს „ფორს ინდიას“ წარმომადგენელი **ბობ ფერნლი**. *- ბიანკი შესანიშნავი პილოტია, სუტილი - გამოცდილებით გამოირჩევა... მოკლედ, ჩვენ ჯერ ვირჩევთ“.*



ახალი მერსედესი, ჰემილტონი და როსბერგი

კრივი

# მარკესს მენი აღარ უნდა

## ვლადიმერ კლიჩკო ხუთ მეტოქეს შორის ირჩევს



ხუან მანუელ მარკესი

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი **ხუან მანუელ მარკესი** ადასტურებს, რომ 2013 წელს დაბრუნდება რინგზე, ოღონდ მას აღარ სურს მეხუთედ **მენი პაკიაოსთან** შეხვედრა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის დეკემბერში მარკესმა ნოკაუტით მოუგო პაკიაოს. ეს ბრძოლა მეოთხე იყო მათ შორის პროფესიულ რინგზე. ორი მოგება აქვს ფილიპინელს, ერთი მექსიკელს და ერთი ბრძოლა ფრედ დასრულდა.

*„ჯერ კიდევ მეოთხე ბრძოლამდე ვთქვი, რომ ეს იქნებოდა ბოლო შეხვედრა ჩემსა და მენის შორის - ნებისმიერი შედეგის მიუხედავად. ყოველ შემთხვევაში, მე ახლა ველაპარაკე საკუთარ მეგობრებს და ყველა დამეთანხმა იმაში, რომ მეხუთე ბრძოლა საჭირო არ არის“,* - ამბობს მარკესი.

პაკიაოს პრომოუტერი **ბობ არუმი** ადრე აცხადებდა, რომ აპირებს მეხუთე ბრძოლის ორგანიზებას ამ ორ მოკრივეს შორის.

■ ■ ■

ძმები **კლიჩკოების** მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ ჯერ ცნობილი არ არის, ვის შეხვდება ვლადიმერ კლიჩკო ამა წლის აპრილში.

*„ჩვენ ხუთ პოტენციურ მეტოქესთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს“,* - ამბობს ბენტი Boxingscene.com-თან კომენტარში.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ვლადიმერის მომდევნო მეტოქე იქნებოდა 28 წლის ამერიკელი **ბარიანტს ჯენინგსი**.

შეგახსენებთ, რომ WBA-მ ნება დართო ვლადიმერს ამ ვერსიით ჩემპიონის ტიტულის ნებაყოფლობით დაცვაზე (სავარაუდოდ, 6 აპრილს), შემდეგ კი უკრაინელი აუცილებლად უნდა შეხვდეს WBA-ის „რეგულარულ“ ჩემპიონს, რუს **ალექსანდ პოვეტკინს**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული

# ბალტიმორი ჩემპიონია

## სუპერბოული დაძაბული ბრძოლით, ბეიონსეს შოუთი და შუქის გათიშვით...

კვირა დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში მთლიანად სპორტის ერთ სახეობას დაეთმო - ამერიკულ ფეხბურთს. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ნიუ ორლეანში გაიმართა ფეხბურთის ეროვნული ლიგის (NFL) ფინალური მატჩი, რომელსაც სუპერბოული ჰქვია. NBA-სა და NHL-ის მატჩებიც ამერიკისთვის უჩვეულოდ ადრე დასრულდა, რათა ხელი არაფერს შეეშალა გრანდიოზული სპორტული შოუსთვის. ტიტულისთვის იბრძოდნენ „სან ფრანცისკო ნაინერზი“ და „ბალტიმორ რეივენსი“.

მატჩის წინ, ქვეყნის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ტრადიციული 20-წუთიანი მიმართვით გამოვიდა, რასაც მოჰყვა გუნდების მოედანზე გასვლა, ფოიერვერკი და აშშ-ის ჰიმნი.

ამჯერად, ბეიონსეს არ მოუწია სირცხვილისგან გაწითლებამ: ჰიმნი შეასრულა სოულის მეორე პოპულარულმა მომღერალმა **ალიშია კისმა**, თანაც ეს ისე გააკეთა, რომ ორი გუნდის მოთამაშეებმა ცრემლი ვერ შეიკავეს. შემდეგ გაიჟღერა კიდევ ერთმა პატრიოტულმა სიმღერამ (America the Beatiful), რომელიც შეასრულა სენდი ჰუკის დაწყებითი სკოლის გუნდმა. ეს ის სასწავლებელია, სადაც ცოტა ხნის წინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა.



მატჩის დაწყების პატივი „ბალტიმორს“ ერგო. შეხვედრის პირველი ნაწილი დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა. მთელი ეს დრო გუნდებმა ნამდვილი “ჩეხვა” მოაწყვეს, თუმცა “ბალტიმორის” აშკარა უპირატესობა იგრძნობოდა. “რეივენსი” ბუკმეიკერთა შეფასებით არ მიიჩნეოდა ფავორიტად, მაგრამ სერიოზული გამოცდა მოუწყო “სან ფრანცისკოს”. საბოლოოდ, ბეიონსეს შოუმდე გუნდები შესვენებაზე ასეთი ანგარიშით გავიდნენ – 21:6 “ბალტიმორის” სასარგებლოდ. “ყვავებს” შეეძლოთ ოდნავ მოდუნება, “სან ფრანცისკოს” მოთამაშეებს კი სიმღერების და ცეკვების ნაცვლად, სერიოზული საუბარი ელოდათ გასახდელში.

ამასობაში, ბეიონსე სცენაზე გავიდა და მთელი მსოფლიოს გასახარად შთამბეჭდავი მინი-კონცერტი მისცა. თუმცა მომღერალმა თავის გამოსვლაში დიდი აქცენტი ქორეოგრაფიაზე გააკეთა, ვიდრე ვოკალურ შემადგენელზე, მაგრამ მაყურებელი მაინც აღფრთოვანებული დარჩა. დაახლოებით 20 წუთში კი გუნდები მეორე ნახევრის სათამაშოდ გავიდნენ.

როგორც ჩანს, არენამ დაძაბულობას ვერ გაუძლო. მოკლე ჩართვა მოხდა და დაახლოებით ნახევარი საათით სტადიონზე სიბნელემ დაისადგურა. ამ პაუზამ “სან ფრანცისკოზე” იმოქმედა დადებითად და გუნდი საბოლოოდ შევიდა თამაშში.

“ნაინერზმა”, რომელიც დენის გამორთვის მომენტში 7:28-ს აგებდა, თამაშში გარდატეხა შეიტანა და დაიწყო “ბალტიმორის” განადგურება. ზედიზედ ორი თაჩდაუნისა და ფილდ-გოლის შემდეგ, სხვაობისგან თითქმის არაფერი დარჩა... საბოლოოდ, “სან ფრანცისკოს” სულ მცირედი არ ეყო. “ბალტიმორმა” მაინც მოიგო. 34:31 და “რეივენსი” სუპერბოულის ორგზის ჩემპიონი გახდა.

სუპერბოულის MVP “ბალტიმორის” კვოტერბეკი **ჯო ფლაკო** გახდა. მოთამაშემ, რომელსაც სეზონის წინ კრიტიკოსები სასაცილოდ იგდებდნენ ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რასაც ნიშნავს საკუთარი თავის რწმენა. ახლა უკვე ის დასცინის სკეპტიკოსებს.

„ბალტიმორმა“ ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველი გამარჯვება მოიპოვა, „სან ფრანცისკომ“ კი პირველად წააგო ფინალი.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**